

ინფორმაცია საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო მოსმენების დროს „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის და საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის თაობაზე გამოთქმული შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვლისწინების შესახებ

**ინფორმაცია საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტზე საქართველოს პარლამენტის კომიტეტების დასკვნების და რეკომენდაციების გათვალისწინების თაობაზე**

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<b>საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი</b>	
<p>ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტით პროგრამებისა და პროექტების ინდიკატორები (როგორც რაოდენობრივი ისე ხარისხობრივი) ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად წარმოდგენილი, ზოგიერთ შემთხვევაში ინდიკატორი ძალიან ზოგადია, რაც პროგრამებისა და პროექტების დაფინანსების ოდენობის რაციონალურობისა და შესაძლო ეფექტიანობის შეფასების შესაძლებლობას არ იძლევა. შესაბამისად აღნიშნული მაჩვენებელი საჭიროებს შემდგომ დახვეწასა და სრულყოფას.</p>	<p>პროგრამული ბიუჯეტირების დანერგვა კვლავ გამოწვევას წარმოადგენს ბევრი განვითარებული ქვეყნისათვის, გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული რეფორმის სრულყოფილად დანერგვა რთული და შრომატევადი პროცესია.</p> <p>პროგრამული ბიუჯეტის გაუმჯობესების მიმართულებით მუშაობა გრძელდება. ბოლო 2 წლის ბიუჯეტის პროგრამული დანართი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. მიმდინარეობს მუშაობა სამინისტროებთან და ასევე დონორებთან პროგრამული ბიუჯეტირების გაუმჯობესების მიზნით. მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს პროგრამული ბიუჯეტის და სამოქმედო გეგმების გადამუშავება, მისი გაუმჯობესების მიზნით. სამოქმედო გეგმები დეტალურად ასახავს თითოეული სამინისტროს პროგრამების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას, აღნიშნული პროცესი დაკავშირებულია სხვადასხვა სირთულეებთან და პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე (მათ შორის, რეალური გაზომვადი ინდიკატორების განსაზღვრა და მათი პროგრამებში ასახვა გაზომვის შესაძლებლობების არსებობის გათვალისწინებით, სტატისტიკური მონაცემების დამუშავება, რეალური რისკების განსაზღვრა და სხვა), ბუნებრივია, რომ არსებობდეს გარკვეული ხარვეზები ამ მიმართულებით. აღნიშნული რეფორმის სრულყოფილად დანერგვა რთული და შრომატევადი პროცესია და მომდევნო წლებშიც აქტიურად</p>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
	<p>გაგრძელდება მუშაობა. ამასთან, ცალკეულ სამინისტროებთან მიმართებაში შეძლებისდაგვარად არსებული დროის და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით განხორციელდა პროგრამული ბიუჯეტის და სამოქმედო გეგმების გადამუშავება და კვლავ გაგრძელდება აღნიშნულ თემებზე მუშაობა.</p>
<p>ბიუჯეტის პროექტთან ერთად წარმოდგენილი საპროგნოზო მაკროეკონომიკური პარამეტრებთან ერთად მიზანშეწონილია გაგრძელდეს კონსულტაციები ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის, კერძოდ, მშპ-ს 4,5%-იანი ზრდის ტემპის გადახედვის მიმართულებით და არსებული რეზერვების არსებობის შემთხვევაში მოხდეს ფისკალური პარამეტრების კორექტირება, რაც სოციალური, მათ შორის საპენსიო უზრუნველყოფის გაუმჯობესებისა და სხვა პრიორიტეტული მიმართულებების დამატებითი დაფინანსების საშუალებას იძლევა.</p>	<p>ბიუჯეტის პირველადი ვარიანტის წარმოდგენის შემდგომ საქართველოში იმყოფებოდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია, რომელთან ერთადაც განხილული იქნა 2017 წელს ეკონომიკური ზრდის ტენდენციები და 2018 წლის პროგნოზები. ასევე გაანალიზებულ იქნა ჩვენი ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა და მომდევნო წლის პროგნოზები.</p> <p>აღნიშნულმა ანალიზმა აჩვენა, რომ შესაძლებელია 2018 წელს მივიღოთ 4,5%-ზე უფრო მაღალი ეკონომიკური ზრდა, თუმცა საგარეო რისკების გათვალისწინებით მიზანშეწონილია ბიუჯეტის დაგეგმვა მოხდეს შედარებით კონსერვატიულ მაჩვენებელზე.</p> <p>ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სავალუტო ფონდთან მოხდა შეთანხმება, რომ 2018 წლის ბიუჯეტს დავეგეგმავთ ეკონომიკის რეალური ზრდის 4,5%-იან მაჩვენებელზე.</p>
<p>ბიუჯეტის პროექტით ინფლაცია გათვალისწინებული 3,5%-ის დონეზე, თუმცა არა არის დასაბუთებული რამდენად შესრულებადია ეს მაჩვენებელი, მაშინ როდესაც 2017 წლის ანალოგიური მაჩვენებელი დაგეგმილია 4%-ის დონეზე. ხოლო სექტემბრის მდგომარეობით წლიურმა ინფლაციის დონემ 6,2% შეადგინა.</p>	<p>განახლებული მაკროეკონომიკური პროგნოზების მიხედვით მომდევნო წელს ინფლაციის მაჩვენებელი შეადგენს 3,0%-ს, რაც შესაბამისობაშია ეროვნული ბანკის მიზნობრივ მაჩვენებელთან. აღნიშნული მაჩვენებელი ასევე თანხმედრაშია საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზთანაც (ფონდის პროგნოზი 2,8%-ს შეადგენს), რომელიც ეფუძნება არამხოლოდ საქართველოში არსებულ ტენდენციებს, არამედ საერთაშორისო ბაზარზე ფასების</p>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
	<p>ცვლილების პროგნოზებს.</p> <p>აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს მიზნობრივ ინფლაციასთან შედარებით მაღალი მაჩვენებელი გამოწვეულია ერთჯერადი ეფექტებით (საიმპორტო პროდუქციის ფასების ზრდით და აქციზის განაკვეთების ცვლილებით), რაც მომდევნო წლის ინფლაციის მაჩვენებელზე ვეღარ იმოქმედებს.</p>
<p>ბიუჯეტის კანონპროექტით მიმდინარე წლის გეგმასთან შედარებით დღეს ზრდის პირობებში მცირდება აქციზის გადასახადის მოცულობა 177 მლნ ლარით და იმპორტის გადასახადი 16 მლნ ლარით. კანონპროექტზე თანდართულ განმარტებით ბარათში წარმოდგენილია საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები, კერძოდ თითოეული გადასახადის საპროგნოზო მოცულობა ნომინალურ გამოხატულებაში და მისი წილი მშპ-სთან მიმართებაში, თუმცა აღნიშნული გადასახადების შემცირების გამომწვევ მიზეზებზე არაფერია ნათქვამი. ამ გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების შემცირება განპირობებულია ამ მაჩვენებლების მიმდინარე წლის გეგმების შესრულებაში არსებული ჩამორჩენებით თუ სხვა მიზეზებიც არსებობს?</p>	<p>აქციზის გადასახადის დაგეგმილია მიმდინარე წელს მოსალოდნელი შესრულების გათვალისწინებით. შემცირება გამოწვეულია:</p> <p>1. თამბაქოს აქციზი:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• 2017 წლის განმავლობაში საქართველოში არსებული თამბაქოს პროდუქციის მარაგები (ძირითადად იმპორტირებული) შემცირდა მნიშვნელოვნად. 2016 წლის განმავლობაში საქართველოში საშუალოდ თამბაქოს პროდუქციის 2 თვის მარაგი არსებობდა მუდმივად. 2017 წლის განმავლობაში საქართველოში არსებული მარაგები განახევრდა და საშუალოდ საქართველოში თამბაქოს პროდუქციის 1 თვის მარაგია (30 მლნ კოლოფი). იმის გათვალისწინებით რომ აღნიშნულ მარაგებზე კომპანიების მიერ აქციზის გადასახადი გადახდილია გასულ წლებში, მარაგების შემცირება ერთჯერადად აისახა აქციზის გადასახადის სახით ბიუჯეტში შემოსულ თანხებზე;</li> <li>• აქციზის განაკვეთების ცვლილების შედეგად, მიმდინარე წელს მნიშვნელოვნად შემცირდა თამბაქოს მოხმარება საქართველოში. 2016 წლის იანვარ-აგვისტოში სულ რეალიზებული იყო 5,8 მილიარდი ღერი სიგარეტი, ხოლო 2017 წლის იანვარ-აგვისტოში სულ რეალიზებულია 4,9 მილიარდი ღერი სიგარეტი.</li> </ul>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
	<p>თამბაქოს მოხმარება მიმდინარე წელს (8 თვის მონაცემებით) შემცირებულია 900 მილიონი ლერით, რაც არის მოხმარების 15.5%-იანი შემცირება. იმის გამო რომ თამბაქოს მოხმარება 2017 წელს შემცირდება საპროგნოზო მაჩვენებელზე (8%) მეტად, (საპროგნოზო შემცირება - 0.7 მილიარდი ლერი, ხოლო ფაქტიური შემცირება - 1.3 მილიარდი ლერი) ბიუჯეტში აქციზის გადასახადის სახით მობილიზებული თანხები ჩამორჩება 2017 წლის საპროგნოზო მაჩვენებელს.</p> <p>2. ავტომობილების აქციზი:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საგადასახადო პოლიტიკის ცვლილების შედეგად, მნიშვნელოვნად შემცირებდა იმპორტირებული ავტომობილების ასაკი (9 წლამდე ავტომობილების წილი მთლიან იმპორტში ბოლო 4 თვის (ივნისი-სექტემბერი) განმავლობაში გაიზარდა 29%-იდან 76%-მდე), რაც აისახა საბიუჯეტო შემოსავლის ნაწილზეც, ვინაიდან შედარებით ახალი ავტომობილები იბეგრებიან უფრო დაბალი აქციზის განაკვეთით;</li> <li>• მნიშვნელოვნად გაზრდილია ჰიბრიდულ და ელექტრო ძრავიანი ავტომობილების იმპორტი, რაც ასევე შემცირებული განაკვეთით იბეგრება: ჰიბრიდი - სტანდარტულ განაკვეთზე 60%-ით დაბალი განაკვეთით იბეგრება, ხოლო ელექტრო - სრულად განთავისუფლებულია გადასახადებისაგან (ჰიბრიდულ და ელექტრო ძრავიანი ავტომობილების წილი მთლიან იმპორტში ბოლო 4 თვის (ივნისი-სექტემბერი) განმავლობაში გაიზარდა 7%-იდან 42%-მდე);</li> <li>• ბიუჯეტის დამტკიცების შემდგომ, მსუბუქი ავტომობილების იმპორტთან მიმართებაში ფიზიკურ</li> </ul>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
	<p>და იურიდიულ პირებს დაუწესდათ დამატებითი შეღავათები. კერძოდ: ავტომობილები რომლებიც გამოგზავნილი იყო საქართველოში 2017 წლის 1 იანვრამდე და საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილ იქნა არაუგვიანეს 2017 წლის 31 მარტისა, მათთვის აქციზის გადასახადის განაკვეთები დარჩა უცვლელი. შესაბამისად, აღნიშნულ პერიოდში იმპორტირებული ავტომობილებზე აქციზი გადახდილი იქნა ძველი (შემცირებული) განაკვეთებით.</p> <p>3. კომუნიკაციების აქციზი 2017 წელს 8,0%-იდან შემცირდა 3%-მდე და 2018 წლის იანვრიდან უქმდება.</p> <p>რაც შეეხება იმპორტის გადასახადს, ბოლო წლების განმავლობაში გვაქვს კლებადი ტენდენცია, ვინაიდან იმპორტი ძირითადად გვეზრდება იმ ქვეყნებიდან, რომლებთანაც გაფორმებული გვაქვს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები და შესაბამისად ამ ქვეყნებიდან შემოსული პროდუქცია არ იბეგრება იმპორტის გადასახადით (მომდევნო წელს ჩინეთთან ხელშეკრულების სრული წლის ეფექტი გვექნება).</p>
<p>მცირდება სხვა შემოსავლების ერთ-ერთი წყაროდან, დივიდენდებიდან მისაღები შემოსავლები. სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მოგებიდან მიღებული დივიდენდი 2017 წელს დაგეგმილია 66,4 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო 2018 წლის ბიუჯეტის პროექტით წარმოდგენილია 61,0 მლნ ლარი. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში დივიდენდებიდან მისაღები შემოსავლები ხან იზრდება ხან მცირდება. ეს განპირობებულია საწარმოთა განკარგულებაში გარკვეული თანხების დატოვებით, რამაც ხელი უნდა შეიწყოს მათი ეკონომიკური ზრდის სტიმულირებას და დაჩქარებას. სასურველია წარმოდგენილ იქნას ინფორმაცია თუ რა ოდენობის თანხები რჩება ადგილზე და საწარმოების</p>	<p>დივიდენდებიდან მისაღები შემოსავლების ძირითადი წყაროა ეროვნული ბანკის მოგება. 2017 წელს ეროვნული ბანკიდან მივიღეთ 65,0 მლნ ლარი, ხოლო 2018 წელს გათვალისწინებულია 60,0 მლნ ლარი. ეროვნულ ბანკთან დამატებით მიმდინარეობს კონსულტაციები და შესაძლებელია ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტში მოხდეს აღნიშნული თანხის მცირედი ზრდა. სხვა სახელმწიფო საწარმოებიდან ბიუჯეტში მიღებული დივიდენდები უმნიშვნელო მოცულობის არის.</p> <p>რაც შეეხება სახელმწიფო საწარმოების ანალიზს ფისკალური რისკების დოკუმენტში, ამ ეტაპზე შეუძლებელია მისი</p>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>მიერ რამდენად ეფექტიანად ხდება მათი გამოყენება, რა შედეგებია მიღებული ასეთი შეღავათით და ა.შ. მითუმეტეს რომ ბიუჯეტის პროექტის დანართში ფისკალური სექტორის მაკროეკონომიკური რისკების ანალიზის დოკუმენტში წარმოდგენილი არ არის სახელმწიფო საწარმოების ფინანსური მდგომარეობის ამსახველი ინფორმაცია და შესაბამისი შეფასებები, რისი წარმოდგენაც აუცილებელია.</p>	<p>წარმოდგენა, ვინაიდან მაღალი ბრუნვების მქონე სახელმწიფო საწარმოების ფინანსური მდგომარეობის აუდიტებული ანგარიშები მირებულ იქნა ოქტომბრის ბოლოს. ამ ეტაპზე ფინანსთა სამინისტრო საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტებთან ერთად მუშაობს ფისკალური რისკების დოკუმენტის დახვეწაზე და ამავდროულად მიმდინარეობს სახელმწიფო საწარმოების ფინანსური ანგარიშების განხილვა. ფისკალური რისკების სრულყოფილი დოკუმენტი მზად იქნება ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის წარმოდგენისას და შესაბამისად კომიტეტის შენიშვნაც გათვალისწინებული იქნება.</p>
<p>ბიუჯეტის პროექტი შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო წესით წარმოდგენილ „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონპროექტით გათვალისწინებულ ნორმებთან.</p>	<p><b>გათვალისწინებულია</b> - ბიუჯეტის გადამუშავებულ პროექტში ასახულია შესაბამისი დებულებები.</p>
<p>წარმოდგენილი პროექტით არ არის გათვალისწინებული ასიგნებები სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტის“ ჩამოყალიბებისა და ამოქმედებისათვის. რატომ ვერ ხერხდება და როდისთვის იგეგმება ამ საკითხის მოგვარება.</p>	<p><b>გათვალისწინებულია</b> - ბიუჯეტის გადამუშავებულ პროექტში აღნიშნული სსიპ-ის დაფინანსებისთვის გათვალისწინებულია 300,0 ათასი ლარი, რომელიც შესაძლებელია დაზუსტდეს პროექტის საბოლოო ვარიანტის წარმოდგენისას.</p>
<b>საპარლამენტო უმრავლესობა</b>	
<p>ჯანდაცვის მიმართულებით ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას უფასო მედიკამენტების კომპონენტი</p>	<p><b>გათვალისწინებულია</b> - პროგრამა მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების მედიკამენტებით უზრუნველყოფის შესახებ მიმდინარე წელს დაიწყო და პროგრამა გაგრძელდება შემდგომ საბიუჯეტო წელსაც, რისთვისაც გათვალისწინებულია 10,0 მლნ ლარი.</p>
<p>მნიშვნელოვანია გაიზარდოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაფინანსება სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროსთვის საჭირო ტექნიკისა და ინვენტარის შეძენა/განახლების მიზნით, ასევე აღნიშნული სფეროს თანამშრომლების ხელფასების ზრდის მიმართულებით</p>	<p>ამ ეტაპზე გათვალისწინებული არ არის, თუმცა გრძელდება მუშაობა სამინისტროსთან არსებული საჭიროებების და შიდა რესურსების ოპტიმიზაციის კუთხით და ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტის წარმოდგენისას, არსებული რესურსების</p>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
	ფარგლებში გათვალისწინებული იქნება გარკვეული თანხების დამატება.
მნიშვნელოვანია დაფინანსდეს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ ან მუნიციპალურ პროგრამებში გათვალისწინებული იყოს სოფლის მხარდაჭერის მიმართულება	ამ ეტაპზე არსებული რესურსების ფარგლებში ვერ მოხდა პროგრამის დასაფინანსებლად 50,0 მლნ ლარის მოძიება. მიზანშეწონილია აღნიშნულ საკითხზე დამატებით გაგრძელდეს მსჯელობა ბიუჯეტის განხილვის პროცესში.
უმრავლესობა არ იზიარებს არგუმენტებს „მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამის დაფინანსების შემცირებასთან დაკავშირებით	ეკონომიკის სამინისტროს ფარგლებში, პროგრამული კოდის „24 07 - მეწარმეობის განვითარება“ გათვალისწინებულია 41,7 მლნ ლარი. 2017 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში აღნიშნულ პროგრამულ კოდზე გათვალისწინებული იყო ასევე 41,7 მლნ ლარი. დამატებითი თანხის მოძიება ამ ეტაპზე ვერ მოხდა, თუმცა შესაძლებელია დამატებით გაგრძელდეს მსჯელობა და განხორციელდეს სამინისტროსთვის გამოყოფილი ჯამური თანხის ფარგლებში პროგრამებს შორის თანხების გადანაწილება.
აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის მიზნით, მნიშვნელოვანია 2018 წლისთვის დამატებითი დაფინანსების გამონახვა	<b>გათვალისწინებულია</b> - ამ ეტაპზე აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებებისთვის გათვალისწინებულია 14,0 მლნ ლარი, თუმცა აღსანიშნავია რომ კონსულტაციები გრძელდება სამინისტროსთანაც და დონორებთანაც და შესაძლებელია ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტში მოხდეს პროგრამის დაფინანსების ზრდა.
საქართველოს რეგიონების დარჩენილ სოფლებსა და უბნებზე გაზიფიკაციის პროცესის დაჩქარების მიზნით, მნიშვნელოვანია გაიზარდოს გაზიფიკირებისთვის გათვალისწინებული დაფინანსება	2017 წელს გაზიფიკირების სამუშაოებისთვის ენერგეტიკის სამინისტროსთვის გათვალისწინებული იყო 20,5 მლნ ლარი, 2018 წლის ბიუჯეტის პროექტში აღნიშნული თანხა გაზრდილია და გათვალისწინებულია 30,0 მლნ ლარი. ამასთან, აღსანიშნავია რომ წლის განმავლობაში გარკვეული ეკონომიების ხარჯზე მოხდეს პროგრამისთვის დამატებითი თანხების მოძიება, ისევე როგორც ეს განხორციელდა 2017



რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
	წელს.
სოფლების წყალმომარაგების ღონისძიებებისთვის, მიზანშეწონილია დამატებითი დაფინანსების გათვალისწინება	წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციის მიზნით გათვალისწინებული თანხები 2017 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 70,9 მლნ ლარით, საიდანაც ძირითადად ფინანსდება შედარებით დიდი ურბანული დასახლებების წყლის სისტემების აღდგენა-რეაბილიტაცია. სოფლებში წყალმომარაგების სამუშაოები ფინანსდება მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებიდან და საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, რომლისთვისაც ბიუჯეტში გათვალისწინებულია 260,0 მლნ ლარი.
მნიშვნელოვანია მეტი ფინანსური რესურსის მობილიზება შეზღუდული შესაძლებლობების და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირთა რეაბილიტაციის, რესოციალიზაციისა და მხარდაჭერის პროგრამებისთვის, გარემოს ადაპტირების მიზნით	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ფარგლებში სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვზე ზრუნვის პროგრამისთვის დაფინანსება გაზრდილია 5,2 მლნ ლარით და შეადგენს 28,2 მლნ ლარს. დამატებით გრძელდება კონსულტაციები სამინისტროსთან და შესაბამის კომიტეტთან ერთად, რის შემდგომაც არსებული რესურსის ფარგლებში ჩამოყალიბდება პროგრამის საბოლოო ვარიანტი.
საჭიროა დაზუსტდეს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ბიუჯეტში გათვალისწინებული რესურსები	ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება უმეტეს შემთხვევაში დაკავშირებულია ინტელექტუალურ შრომასთან და ფინანსდება სხვადასხვა უწყებებში დასაქმებულთა ხელფასების სახით. ამ ეტაპზე ცალკე გამოყოფა იმ ხარჯების რაც უშუალოდ უკავშირდება ევროკავშირთან არსებული ვალდებულებების შესრულებას შეუძლებელია. ამ მიმართულებით უკვე დაწყებულია მუშაობა და მომდევნო წელს 2019 წლის ბიუჯეტთან ერთად შესაძლებელი იქნება ცალკე საინფორმაციო დოკუმენტის მომზადება, სადაც თითოეული უწყების მიხედვით წარმოდგენილი იქნება რა

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
	თანხა იხარჯება ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე.
სასურველია სსიპ-იურიდიული დახმარების სამსახურის დაფინანსების გაზრდა	სსიპ-იურიდიული დახმარების სამსახურის საკასო ხარჯი 2016 წელს იყო 4 848,6 ათასი ლარი, 2017 წელს გათვალისწინებულია 5 800,0 ათასი ლარი, ხოლო 27 ოქტომბრის მდგომარეობით ფაქტი შეადგენს 3 702,9 ათას ლარს და წლის ბოლომდე მოსალოდნელი ათვისება არ გადააჭარბებს 5,0 მლნ ლარს. ათვისებლობის მიუხედავად 2018 წლის პროექტში სამსახურისთვის გათვალისწინებულია 6 000,0 ათასი ლარი, რომლის ფარგლებში მიმდინარე ხარჯები (საიდანაც ფინანსდება სამსახურის ფუნქციები) შეადგენს 5 860,0 ათას ლარს, რაც მიმდინარე წლის გეგმიურ მაჩვენებელზე (4 776,0 ათასი ლარი) 1 084,0 ათასი ლარით (22,7%-ით) მეტია. ზემოაღნიშნულის მიუხედავად გაგრძელება დამატებითი კონსულტაციები სამსახურთან და საჭიროების შემთხვევაში მოხდება მათი ბიუჯეტის გადახედვა.
მნიშვნელოვანია გარემოსდაცვითი ზედამხედველობის უზრუნველსაყოფად დაფინანსების გაზრდა	<b>გათვალისწინებულია</b> - გადამუშავებულ პროექტში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს დამატებით გამოეყო 1,3 მლნ ლარი და მისი ასიგნებები შეადგენს 10,9 მლნ ლარს.
სასურველია გაიზარდოს სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობისთვის გამოყოფილი დაფინანსება	მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის მიზნით გათვალისწინებულია 62,0 მლნ ლარი და არსებული რესურსის ფარგლებში შეუძლებელია დამატებითი თანხების გამოყოფა.
საჭიროა გაიზარდოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის დაფინანსება, რომელიც უზრუნველყოფს შემდეგ მიმართულებებს: კინოცენტრისთვის გაზრდილი დაფინანსება; სახელოვნებო სკოლებში მუსიკალური ინსტრუმენტების შესყიდვა; სახელმწიფო ორკესტრებისთვის მუსიკალური ინსტრუმენტების განახლება და კულტურის დაწესებულებებში	<b>გათვალისწინებულია</b> - გადამუშავებულ პროექტში კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაფინანსება იზრდება 14,5 მლნ ლარით

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
ინფრასტრუქტურული პროექტების გაგრძელება	
საჭიროა 2018 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყოს სახელმწიფო ენის დეპარტამენტის დაფინანსება	<p><b>გათვალისწინებულია</b> - ბიუჯეტის გადამუშავებულ პროექტში აღნიშნული სსიპ-ის დაფინანსებისთვის გათვალისწინებულია 300,0 ათასი ლარი, რომელიც შესაძლებელია დაზუსტდეს პროექტის საბოლოო ვარიანტის წარმოდგენისას.</p>
2018 წლის ბიუჯეტის პროექტში არასაკმარისია თამბაქოს კონტროლის მიმართულებით გამოყოფილი თანხები	<p><b>გათვალისწინებულია</b> - ბიუჯეტის გადამუშავებულ პროექტში თამბაქოს კონტროლის მიმართულებით ჯანმრთელობის ხელშეწყობის პროგრამას დაემატა 800,0 ათასი ლარი და პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 1,1 მლნ ლარის ოდენობით.</p>
<b>საპარლამენტო უმცირესობა</b>	
<p>ბიუჯეტის მიხედვით არ ხდება არცერთი ტიპის გადასახადის შემცირება, რაც უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკაზე და ეკონომიკის სტიმულირებაზე. მეტიც, დაგეგმილია კერძო სექტორიდან გადასახადების სახით 650 მილიონი ლარით მეტის ამოღება, ვიდრე ეს 2017 წელს იყო დაგეგმილი. „ევროპული საქართველოს“ აზრით, საჭიროა <b>საშემოსავლო და მოგების გადასახადების ეტაპობრივი შემცირება</b>, რათა მეტი სტიმული მიეცეს მოქალაქეებს და ბიზნესს დანაზოგების და, შესაბამისად, ინვესტიციების გასაზრდელად.</p> <p><b>დღგ-ს შემცირება სულ მცირე ერთი პროცენტული პუნქტით და აქციზის გადასახადის განახევრება ნავთობპროდუქტებზე და გაზზე</b> ხელს შეუწყობს ფასების დასტაბილურებას, რაც თავის მხრივ დადებითად აისახება ქვეყნის მაკროეკონომიკურ პარამეტრებზე.</p>	<p>2017 წელთან შედარებით გადასახადების სახით დაგეგმილი შემოსავლების ზრდა 650,0 მლნ ლარით არ უკავშირდება გადასახადების განაკვეთების ცვლილებას. აღნიშნული ზრდა დაკავშირებულია მთლიანი შიდა პროდუქტის ნომინალურ ზრდასთან (იზრდება 8%-ით) და ეკონომიკის ზრდის პარალელურად მუდმივად მოხდება საგადასახადო შემოსავლების ზრდა. შენიშვნა მისაღები იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ არ გაიზრდებოდა საგადასახადო შემოსავლები, რაც იმის მანიშნებელი იქნებოდა, რომ ან ეკონომიკა არ იზრდება, ან გადასახადების ადმინისტრირება არ ხდება. შესაბამისად არნიშნული შენიშვნის არგუმენტაცია გაუგებარია.</p> <p>გადასახადების შემცირებასთან და შესაბამისად ინვესტიციებთან და მაკროეკონომიკური პარამეტრების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მოგების გადასახადი რეფორმა, რომელიც 2017 წლის იანვრიდან შევიდა ძალაში სწორედ დანაზოგების და ინვესტიციების ზრდის ხელშეწყობი რეფორმა იყო და მის შემცირებაში ლოგიკა არ არსებობს, ვინაიდან</li> </ul>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
	<p>კომპანია საერთოდ არ იხდის მოგების გადასახადს იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ მოგებას დატოვებს კომპანიაში ან განახორციელებს ინვესტიციებს. აღსანიშნავია, რომ რეფორმის შედეგად მიმინარე წლის განმავლობაში კომპანიებში დარჩა 360,0 მლნ ლარზე მეტი;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საშემოსავლო გადასახადი წარმოადგენს ფიზიკური პირების გადასახადს და შესაბამისად მისი შემცირება ვერ მოახდენს პირდაპირ გავლენას ინვესტიციების ზრდაზე;</li> <li>• დღგ-ს 1%-ით შემცირება საგადასახადო შემოსავლებს შეამცირებს დაახლოებით 250,0 მლნ ლარით, ხოლო აქციზის განახევრება საწვავზე დამატებით შეამცირებს დაახლოებით 250,0 მლნ ლარით, ანუ დაგეგმილი შემოსავლები შემცირდება 500,0 მლნ ლარით, რისი კომპენსირებისთვის საჭირო ღონისძიებები შენიშვნაში წარმოდგენილი არ არის. იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება შემოსავლების შემცირების კომპენსირება, ბიუჯეტის დეფიციტი გაიზრდება დამატებით 1,2%-ით, რაც არათუ დადებითად არამედ მნიშვნელოვნად უარყოფითად იმოქმედებს მაკროეკონომიკურ პარამეტრებზე და გამოიწვევს სავალუტო ფონდთან არსებული პროგრამის შეჩერება, ქვეყნის სუვერენული რეიტინგის შემცირებას (რაც საკრედიტო რესურსს გაუძვირებს როგორც სახელმწიფოს, ისე კერძო სექტორს) და საბოლოო ჯამში შეაფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას;</li> </ul> <p>ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიუღებელია საპარლამენტო უმცირესობის მიერ წარმოდგენილი შენიშვნები გადასახადების შემცირებასთან დაკავშირებით.</p>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>2018 წლის ბიუჯეტში აქციზის გადასახადიდან შემოსულობების კლება დაგეგმილი მაშინ, როდესაც 2017 წელს მთავრობამ ნავთობპროდუქტებზე და გაზზე გადასახადები გააორმაგა და აქციზის გადასახადის სახით 600 მილიონი ლარით მეტის ამოღება დაგეგმა. მთავრობამ უნდა ახსნას, რატომ ელოდება შემოსულობების კლებას აქციზის გადასახადიდან 2018 წლის ბიუჯეტში.</p>	<p>აქციზის გადასახადის დაგეგმილია მიმდინარე წელს მოსალოდნელი შესრულების გათვალისწინებით. შემცირება გამოწვეულია:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. თამბაქოს აქციზი: <ul style="list-style-type: none"> <li>• 2017 წლის განმავლობაში საქართველოში არსებული თამბაქოს პროდუქციის მარაგები (ძირითადად იმპორტირებული) შემცირდა მნიშვნელოვნად. 2016 წლის განმავლობაში საქართველოში საშუალოდ თამბაქოს პროდუქციის 2 თვის მარაგი არსებობდა მუდმივად. 2017 წლის განმავლობაში საქართველოში არსებული მარაგები განახევრდა და საშუალოდ საქართველოში თამბაქოს პროდუქციის 1 თვის მარაგია (30 მლნ კოლოფი). იმის გათვალისწინებით რომ აღნიშნულ მარაგებზე კომპანიების მიერ აქციზის გადასახადი გადახდილია გასულ წლებში, მარაგების შემცირება ერთჯერადად აისახა აქციზის გადასახადის სახით ბიუჯეტში შემოსულ თანხებზე;</li> <li>• აქციზის განაკვეთების ცვლილების შედეგად, მიმდინარე წელს მნიშვნელოვნად შემცირდა თამბაქოს მოხმარება საქართველოში. 2016 წლის იანვარ-აგვისტოში სულ რეალიზებული იყო 5,8 მილიარდი ღერი სიგარეტი, ხოლო 2017 წლის იანვარ-აგვისტოში სულ რეალიზებულია 4,9 მილიარდი ღერი სიგარეტი. თამბაქოს მოხმარება მიმდინარე წელს (8 თვის მონაცემებით) შემცირებულია 900 მილიონი ღერით, რაც არის მოხმარების 15.5%-იანი შემცირება. იმის გამო რომ თამბაქოს მოხმარება 2017 წელს შემცირდება საპროგნოზო მაჩვენებელზე (8%) მეტად, (საპროგნოზო შემცირება - 0.7 მილიარდი ღერი, ხოლო ფაქტიური</li> </ul> </li> </ol>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
	<p>შემცირება - 1.3 მილიარდი ლერი) ბიუჯეტში აქციზის გადასახადის სახით მობილიზებული თანხები ჩამორჩება 2017 წლის საპროგნოზო მაჩვენებელს.</p> <p>2. ავტომობილების აქციზი:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საგადასახადო პოლიტიკის ცვლილების შედეგად, მნიშვნელოვნად შემცირებდა იმპორტირებული ავტომობილების ასაკი (9 წლამდე ავტომობილების წილი მთლიან იმპორტში ბოლო 4 თვის (ივნისი-სექტემბერი) განმავლობაში გაიზარდა 29%-იდან 76%-მდე), რაც აისახა საბიუჯეტო შემოსავლის ნაწილზეც, ვინაიდან შედარებით ახალი ავტომობილები იბეგრებიან უფრო დაბალი აქციზის განაკვეთით;</li> <li>• მნიშვნელოვნად გაზრდილია ჰიბრიდულ და ელექტრო ძრავიანი ავტომობილების იმპორტი, რაც ასევე შემცირებული განაკვეთით იბეგრება: ჰიბრიდი - სტანდარტულ განაკვეთზე 60%-ით დაბალი განაკვეთით იბეგრება, ხოლო ელექტრო - სრულად განთავისუფლებულია გადასახადებისაგან (ჰიბრიდულ და ელექტრო ძრავიანი ავტომობილების წილი მთლიან იმპორტში ბოლო 4 თვის (ივნისი-სექტემბერი) განმავლობაში გაიზარდა 7%-იდან 42%-მდე);</li> <li>• ბიუჯეტის დამტკიცების შემდგომ, მსუბუქი ავტომობილების იმპორტთან მიმართებაში ფიზიკურ და იურიდიულ პირებს დაუწესდათ დამატებითი შეღავათები. კერძოდ: ავტომობილები რომლებიც გამოგზავნილი იყო საქართველოში 2017 წლის 1 იანვრამდე და საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილ იქნა არაუგვიანეს 2017 წლის 31 მარტისა, მათთვის აქციზის გადასახადის განაკვეთები დარჩა</li> </ul>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
	<p>უცვლელი. შესაბამისად, აღნიშნულ პერიოდში იმპორტირებული ავტომობილებზე აქციზი გადახდილი იქნა ძველი (შემცირებული) განაკვეთებით.</p> <p>3. კომუნიკაციების აქციზი 2017 წელს 8,0%-იდან შემცირდა 3%-მდე და 2018 წლის იანვრიდან უქმდება.</p>
<p>2018 წლის ბიუჯეტის გეგმის მიხედვით, საქართველოს მთავრობა 3 278 ადამიანით ნაკლებს ასაქმებს, თუმცა შრომის ანაზღაურების პუნქტი 585 ათასი ლარით მცირდება (აღსანიშნავია, რომ მთლიანი შრომის ანაზღაურების პუნქტი 1.396 მილიარდ ლარს შეადგენს). ეს კი იმას ნიშნავს, რომ არანაირ “ქაშვების შემოჭერის” პოლიტიკას ადგილი არ აქვს და, პირიქით, უამრავ ჩინოვნიკს კვლავ ეზრდება ხელფასები, პრემიები და დანამატები</p>	<p>ყველანაირ ლოგიკას მოკლებულია იმის მტკიცება, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტის მიხედვით ხდება ჩინოვნიკებისთვის ხელფასების, პრემიებისა და დანამატების ზრდა. მუდმივად ხდება იმის მტკიცება თითქოს ბოლო 4 წელიწადში 400,0 მლნ ლარზე მეტით გაიზარდა პრემიები და დანამატები. რეალურად 2016 წელს პრემიებისა და დანამატების ჯამური მოცულობა მხოლოდ 20,0 მლნ ლარით აღემატება 2012 წლის მაჩვენებელს და ნაკლებია 2011 წლის მაჩვენებელზე. ამასთან, დასაქმებულთა ანაზღაურებაზე (როგორც შტატით გათვალისწინებულ, ისე შტატგარეშე თანამშრომლებზე ჯამში) 2017 წლის 9 თვეში გასულ წლის ამავე პერიოდთან შედარებით 71,6 მლნ ლარით ნაკლებია დახარჯული სახელმწიფო ბიუჯეტიდან და 90,0 მლნ ლარით ნაკლები ნაერთი ბიუჯეტიდან.</p> <p>გარდა ამისა, მუდმივად ხდება იმის მტკიცება თითქოს შესაძლებელია „ჩინოვნიკების“ ხარჯზე შრომის ანაზღაურების შემცირებით 440,0-450,0 მლნ ლარზე მეტის შემცირება და მისი მიმართვა პენსიების გასაზრდელად, რაც რათქმაუნდა არანაირ ლოგიკურ გათვლას არ ექვემდებარება, ვინაიდან შრომის ანაზღაურებაზე ჯამში განსაზღვრული 1 399,3 მლნ ლარიდან 975,0 მლნ ლარზე მეტი წარმოადგენს პოლიციის, ჯარის, უსაფრთხოების სამსახურებისა და სასამართლო სისტემის ხელფასებს, შესაბამისად აღნიშნული უწყებების გარდა ყველა სხვა ორგანიზაცია (მათ შორის თეატრები, ანსამბლები,</p>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>„ევროპულ საქართველოს“ <b>შენიშვნები აქვს ძირითად ფინანსურ და ეკონომიკურ ინდიკატორებთან</b>ცაგ. კერძოდ, 2021 წლამდე დაგეგმილი თითოეული წლის ეკონომიკური ზრდის ტემპი არის ძალიან დაბალი ისეთი განვითარებადი ქვეყნისთვის როგორც საქართველოა. განსაკუთრებით დაბალია 2017 წლის 4% და 2018 წლის 4.5%, რომ აღარაფერი ვთქვათ დაკარგულ 4 წელზე, როცა ეკონომიკური ზრდი ტემპი საშუალოდ 3.6% იყო.</p>	<p>სამინისტროები, პარლამენტი და სხვა) რომ გაუქმდეს მაინც ვერ ხდება 450,0 მლნ ლარის მობილიზება.</p> <p>საქართველოს ეკონომიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული რეგიონის ქვეყნებსა და სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკაში არსებულ მდგომარეობასთან. ბოლო 4 წლის ეკონომიკური ზრდის საშუალო მაჩვენებლით საქართველო ერთ-ერთი ლიდერია რეგიონის და სავაჭო პარტნიორ ქვეყნებს შორის. გასულ პერიოდში, როდესაც საქართველოს ეკონომიკა საშუალოდ 6%-ით იზრდებოდა უფრო მაღალი ზრდა იყო რეგიონისა და სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში ვიდრე ბოლო 4 წელიწადში, აღნიშნულ პერიოდში საქართველოზე მაღალი ზრდა ქონდა უშუალო მეზობლებს, სომხეთსა და აზერბაიჯანს. რა თქმა უნდა სასურველია იყოს ეკონომიკის ზრდის უფრო მაღალი მაჩვენებლები, თუმცა აღნიშნული დამოკიდებულია რეგიონსა და მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე ტენდენციებზე.</p> <p>იმას, რომ საქართველოს მთავრობას აქვს სწორი ეკონომიკური და ფისკალური პოლიტიკა ადასტურებს საერთაშორისო სავალუტო ფონდის, სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების და სარეიტინგო კომპანიების ანგარიშები.</p>
<p>მთავრობა წლებია საუბრობს “ქამრების შემოჭერის” პოლიტიკაზე, თუმცა ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი 2018 წელსაც 400 მილიონი ლარით იზრდება. არადა “ქამრების შემოჭერის” პოლიტიკა ხარჯების არა გაზრდაში, არამედ შემცირებაში უნდა გამოიხატებოდეს. მთავრობის ზომას ეკონომიკაში 2017 წელს 34.9%-მდეა ავიდა. საქართველოსნაირი განვითარებადი ქვეყნისთვის ეს ის ფუფუნებაა, რომლის უფლებასაც თავს ვერ მივცემთ. ამიტომ, ჩვენი რეკომენდაციაა <b>საბიუჯეტო ხარჯების 2017 წლის დონეზე დატოვება, ხოლო მომდევნო წლებში მისი იმგვარი დაგეგმვა, რომ ეკონომიკაში მთავრობის ზომა შემცირდეს.</b></p>	<p>გაურკვეველია როგორ არის დათვლილი შენიშვნაში მოცემული მთავრობის ზომა 34,9%. ნაერთი ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯები მშპ-ს 23,4%-ს შეადგენს და მომდევნო წლებშიც შემცირების ტენდენციაა გათვალისწინებული. იმ შემთხვევაშიც კი თუ ავიღებთ ნაერთი ბიუჯეტის მთლიან ხარჯვით ნაწილს (ვალების დაფარვის ჩათვლით), აღნიშნული მაჩვენებელი არის მშპ-ს 32,2%, შესაბამისად გაურკვეველია რა ფორმულის მიხედვით მოხდა დათვლა და რას მონაცემებია გამოყენებული მთავრობის ზომის გამოთვლის.</p>



რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
	<p>რაც შეეხება ბიუჯეტის ხარჯების 2017 წლის დონეზე დატოვებას ნომინალურ გამოხატულებაში (მშპ-სთან მიმართებაში მცირდება 1,4%-ით), ესეც რა თქმა უნდა არალოგიკური და შეუძლებელია, ვინაიდან რიგ პროგრამები დაკავშირებულია ბენეფიციართა რაოდენობის ზრდასთან და შესაბამისად ავტომატურ რეჟიმში საჭიროა დაფინანსების ზრდაც (მაგ: პენსიონერთა რაოდენობა იზრდება და აუცილებელია შესაბამისი თანხების გამოყოფა), ასევე რიგი პროგრამების შემთხვევაში დაფინანსების ზრდა აუცილებელია სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებით (მაგ: ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის ხარჯები, საჭადრაკო ოლიმპიადის ხარჯები და სხვა.)</p>
<p>2018 წლის ბიუჯეტის გეგმა არ არის ორიენტირებული დეფიციტის შემცირებასა და აღმოფხვრაზე, რისკენაც მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების უმეტესობა მიისწრაფის. საქართველოს მთავრობა ბიუჯეტის დეფიციტის ზომად 1.6%-ს განსაზღვრავს, რაც ბიუჯეტის დეფიციტის სადაო განსაზღვრების ხარჯზე ხდება. წლებია, საერთაშორისო ორგანიზაციები მოგვიწოდებენ, რომ დეფიციტი არაფინანსური აქტივების ზრდის გათვალისწინებით იქნას დათვლილი. თუ ასე დავითვლით, ვნახავთ, რომ დეფიციტი 4.9%-ია.</p>	<p>ამ შემთხვევაშიც გაუგებარია რა მეთოდოლოგიის გამოყენებით არის დათვლილი შენიშვნაში მოცემული დეფიციტის მაჩვენებელი მშპ-ს 4,9%-ის ოდენობით. საქართველოში 2008 წლიდან მოქმედი კლასიფიკაციის მიხედვით საბიუჯეტო დეფიციტი არის ბიუჯეტის მთლიანი სალდო (რაშიც შედის არაფინანსური აქტივების ზრდაზე გაწეული ხარჯებიც) და 2018 წლისთვის განსაზღვრულია მშპ-ს 1,4%-ის ოდენობით. რაც შეეხება საერთაშორისო სავალუტო ფონდს, რომლის მეთოდოლოგიით მიერ დათვლილ დეფიციტს (რომელსაც იყენებს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები), მათი მეთოდოლოგიით დათვლილი დეფიციტი (რაც გამოითვლება ვალის აღებას გამოკლებული მისი დაფარვა და დამატებული დეპოზიტებზე არსებული თანხის გამოყენება) 2017 წელს არის მშპ-ს 3,6%-ის, ხოლო 2018 წელს მშპ-ს 3,0%-ი, მომდევნო წლებშიც აქვს კლებადი ტენდენცია. ზემოაღნიშნული გამომდინარე გაუგებარია შენიშვნის არგუმენტაცია.</p>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>მთავრობა აგრძელებს ვალის ზრდის მავნე პრაქტიკას. 2018 წელს დამატებით 2 მილიარდი ლარის სესხებაა დაგეგმილი. 2012 წლიდან 2016 წლის ჩათვლით მთავრობის საშინაო და საგარეო ვალი მშპ-სთან მიმართებაში 34.8%-დან 44.6%-მდე ავიდა. 2017 წელს მოცემული რიცხვი 42.9%-მდე დაეცა, რაც ცალსახად დადებითი ტენდენცია იქნებოდა, რომ არა 2018 წელს 44.8%-მდე დაგეგმილი ზრდა.</p>	<p>2013-2016 წლებში ვალის ზრდა მშპ-სთან მიმართებაში ძირითადად გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით და არა ნომინალურ გამოხატულებაში ვალის მოცულობის მნიშვნელოვანი ზრდით. აღსანიშნავია, რომ ვალის სახიტ მიღებული სახსრები მთლიანად გამოიყენება იმ ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად, რომელთა განხორციელება შესაძლებელს გახდის ქვეყნის სატრანზიტო და ტურისტული პოტენციალის გამოყენებას და შესაბამისად დააჩქარებს ეკონომიკურ ზრდას. მომდევნო 4 წიან პერიოდში დაგეგმილია აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალის მშენებლობის დასრულება, ასევე ჩრდილოეთი-სამხრეთის კორიდორის გზების მშენებლობა-რეაბილიტაცია და სხვა ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი პროექტების განხორციელება. პროექტების განხორციელების პერიოდში ვალის მოცულობა მშპ-ს 45%-ის ფარგლებშია დაგეგმილი, ხოლო მათი დასრულების შემდგომ დაიწყება მისი ეტაპობრივი შემცირება.</p>
<p>იმ დროს, როცა ქვეყანაში იზრდება ფასები, იზრდება სიღარიბე, მთავრობა კვლავ არ აპირებს მოსახლეობის ყველაზე მოწყვლადი ფენისთვის - პენსიონერებისთვის პენსიის ზრდას. 2016 წლის მონაცემებით, საქართველოში 720 000 პენსიონერია, ხოლო პენსიის 50 ლარით გაზრდას ჭირდება დაახლოებით 430-440 მილიონი ლარი. იგივე პრობლემაა, როდესაც ამ გაჭირვების ჟამს მთავრობა უარს ამბობს სოციალური დახმარებების მიმღებთა რაოდენობის გაზრდაზე. დასაქმებისა და სიმდიდრის ზრდის პირობებში, რაც მთავრობის მიერ ჩვენს მიერ შეთავაზებული ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში იქნებოდა, სოციალური დახმარებების ზრდის აუცილებლობა არც დადგებოდა, თუმცა დღეს სახეზეა დაბალი ეკონომიკური ზრდის, მაღალი ინფლაცია და მაღალი უმუშევრობა. ასეთ პირობებში გარდაუვლად მნიშვნელოვანია</p>	<p>ასაკით პენსიონერთა რაოდენობა დაახლოებით 730 ათასია, გარდა ამისა საბაზო პენსიიდან ითვლება ძალოვანი უწყებების ყოფილ თანამშრომელთა და ყოფილი მოსამართლეების კომპენსაციები, ასევე პენსიის მოცულობით არის განსაზრვული I ჯგუფის შშმპ-ების სოციალური შემწეობები, შესაბამისად აღნიშნული ბენეფიციარებისთვის პენსიის 50 ლარიანი ზრდისთვის წელიწადში საჭიროა დამატებით მინიმუმ 450,0 მლნ ლარი, რომლის დაფინანსება არსებული რესურსის ფარგლებში შეუძლებელია. ბიუჯეტის საკომიტეტო განხილვების დროს მომხსენებლის მიერ მოთხოვნილი იყო დასკვნაში საპარლამენტო უმცირესობას წარმოედგინა ის პროგრამები, რომელთა</p>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>პენსიის ზრდა და სოციაური დახმარების მიმღებთა რაოდენობის ზრდა ბიუჯეტში ჩადებულ უამრავი არაეფექტიანი პროექტის ხარჯზე.</p>	<p>გაუქმების ხარჯზე შესაძლებელი იქნებოდა 450,0 მლნ ლარის მობილიზება, თუმცა დასკვნაში არნიშნული ასახული არ არის რის ხარჯზე ფიქრობს საპარლამენტო უმცირესობა აღნიშნული თანხის მობილიზებას.</p>
<p>სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2018 წლის ბიუჯეტში არ ჩანს, როგორ აპირებს მთავრობა, შეებრძოლოს აზიური ფაროსანას გამრავლება/გავრცელებას და დაეხმაროს იმ ადამიანებს, რომლებმაც იზარალებს აზიური ფაროსანას გავრცელების გამო. მთავრობის მიერ საბიუჯეტო თანხების უყარათო ფლანგვის ფონზე დაზარალებული მოსახლეობის სრული უგულვებელყოფა კატეგორიულად მიუღებელია. აღსანიშნავია, რომ 2017 წლის 9 თვეში, 2016 წლის 9 თვესთან შედარებით, თხილის ექსპორტიდან მიღებულმა შემოსავალმა 54 მლნ აშშ დოლარით იკლო</p>	<p>აზიური ფაროსანა წლებია მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ისეთი განვითარებული ქვეყნებისთვისაც კი, როგორცაა აშშ, იტალია, შვეიცარია და სხვა. მიუხედავად ამ ქვეყნების ფინანსური რესურსებისა ვერ ხერხდება აღნიშნული მწერის სრული ლიკვიდაცია და ძირითადი ღონისძიებები მიმართულია მისი გავრცელების არეალის შემცირების და ლოკალიზებისკენ.</p> <p>2018 წლის ბიუჯეტის გადამუშავებულ ვარიანტში აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებებისთვის გათვალისწინებულია 14,0 მლნ ლარი, თუმცა აღსანიშნავია რომ კონსულტაციები გრძელდება სამინისტროსთანაც და დონორებთანაც და შესაძლებელია ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტში მოხდეს პროგრამის დაფინანსების ზრდა.</p>
<p>2018 წლის ბიუჯეტი დაგეგმილია 2.5 ლარზე 1 აშშ დოლართან მიმართებაში. ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტი გამოხატავს მთავრობის პოლიტიკას, რომელიც არ იძლევა საშუალებას, რომ ლარის კურსი დოლართან მიმართებაში გამყარდეს. ეს შესაძლებელი იქნებოდა, თუ ეკონომიკური პოლიტიკა მიმართული იქნებოდა მეტი ინვესტიციის მოზიდვაზე, ქვეყნის მწარმოებლურობის ზრდაზე, ნაკლები ვალის აღებაზე.</p>	<p>ბიუჯეტის შემოსავლების და ხარჯების დაგეგმვა ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში. ერთადერთი მუხლი, სადაც ინფორმაციული მიზნებისთვის ნახსენებია გაცვლითი კურსი, არის სახელმწიფო ვალის მოცულობა 2018 წლის ბოლოსთვის, იმისთვის რომ ნათელი იყოს საგარეო ვალის რა კურსით არის დათვლილი. სავალუტო კურსის ცვლილება პრობლემას წარმოადგენს მაღალი დოლარიზაციის მქონე ეკონომიკაში, სწორედ ამიტომ საქართველოს მთავრობამ და ეროვნულმა ბანკმა ერთობლივად შეიმუშავა ლარიზაციის გეგმა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საქართველოში დოლარიზაციის მაჩვენებლის შემცირება და შესაბამისად მოსახლეობას და ბიზნესსაც ქონდეს წვდომა ლარის</p>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
	<p>გრძელვადიან რესურსზე და შემცირდეს მათი დამოკიდებულება გაცვლით კურსზე.</p> <p>იმას, რომ საქართველოს მთავრობას აქვს სწორი ეკონომიკური და ფისკალური პოლიტიკა ადასტურებს საერთაშორისო სავალუტო ფონდის, სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების და სარეიტინგო კომპანიების ანგარიშები.</p>
<p>მთავრობა კვლავ აგრძელებს ფულის ფლანგვას არაეფექტიან პროგრამებში. 2018 წლის ბიუჯეტში კვლავ ჩადებულია უამრავი ეკონომიკურად გაუმართლებელი პუნქტი. მაგალითების სახით, გთავაზობთ რამდენიმეს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ქართულ ჩაიზე 2016 წელს 3.5 მილიონი ლარი იყო გამოყოფილი, რომელიც 2017 წლის ბიუჯეტში 0.4 მილიონ ლარამდე დავიდა, ხოლო 2018 წელს კვლავ ზრდაა დაგეგმილი 0.9 მილიონ ლარამდე. ეს მიუთითებს მთავრობის ჩამოუყალიბებელ პოზიციაზე;</li> <li>უკანასკნელ წლებში დაახლოებით 500 მილიონი ლარი დაიხარჯა არაეფექტიან აგროპროექტზე, სადაც შედის “დანერგე მომავალი”, აგროკრედიტი, აგროდაზღვევა და ეკონომიკურად გაუმართლებელი სხვა პროგრამები. ცნობისათვის, 2016 წელს აგროსექტორში ზრდა 0 იყო, ხოლო 2017 წლის პირველ 6 თვეში სექტორი შემცირდა. ამ სავალალო მაჩვენებლების მიუხედავად, 2018 წელს მოცემულ პროგრამებისთვის 92 მილიონი ლარია გამოყოფილი;</li> </ul>	<p>სამწუხაროდ, ოპოზიცია მუდმივად თანხის ფლანგვას უწოდებს სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით გაწეულ ხარჯებს. არსებული პროგრამების ეფექტურობაზე და მათ მოსალოდნელ შედეგებზე მსჯელობა იყო შესაბამის კომიტეტზე განხილვის დროს და მომავალშიც შესაძლებელია თითოეულ პროგრამაზე მსჯელობა. აღსანიშნავია, რომ სოფლის მეურნეობის სექტორში მიმართულ თანხებს ვერ ექნება მყისიერი ეფექტი და შესაბამისად შედეგების დანახვაც გრძელვადიან პერიოდში ეტაპობრივად იქნება შესაძლებელი.</p> <p>მოკლე ინფორმაცია შენიშვნაში წარმოდგენილ პროგრამებთან მიმართებაში:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>შელავათიანი აგროკრედიტის ფარგლებში ჯამში გაცემულია 28 945 სესხი (პროგრამის დაწყებიდან), რომელთა საერთო მოცულობა აღემატება 1,5 მლრდ ლარს (რაც სოფლის მეურნეობაში კერძო სექტორის მიერ ჩადებული ინვესტიციაა), შეიქმნა 138 ახალი და გადაიარაღდა 750-ზე მეტი საწარმო;</li> <li>აგროდაზღვევის ფარგლებში დაზრდევულ იქნა 450,0 მლნ ლარზე მეტი ღირებულების მოსავალი, ანაზღაურებული ზარალის მოცულობა შეადგენს 20,0 მლნ ლარს;</li> <li>პროგრამის - „დანერგე მომავალი“ ფარგლებში</li> </ul>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
	<p>გაშენებული ფართობის მოცულობა შეადგენს 3,5 ათას ჰექტარს;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პროგრამის - „ქართული ჩაი“ ფარგლებში ხელშეკრულება გაფორმებულია 20 ბენეფიციართან, რომელთა პლანტაციების მოცულობა შეადგენს 495 ჰექტარს.</li> </ul>
<p><b>2018 წელს ბიუჯეტში დაგეგმილია 1.83 მილიარდი ლარის დახარჯვა ინფრასტრუქტურის სამინისტროზე</b>, აქედან 1.07 მილიარდი ლარისა - სესხის ხარჯზე. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ტენდერების გარეშე საბიუჯეტო თანხების ხარჯვა, განსაკუთრებით ინფრასტრუქტურის სფეროში უკვე გახდა საერთაშორისო ორგანიზაციების კრიტიკის საგანი. ვფიქრობთ, ამ სფეროში თანხების გამჭვირვალედ ხარჯვის შემთხვევაში, გაცილებით მაღალი იქნებოდა ეფექტურობა და ქვეყანას მოუწევდა ნაკლები ვალის აღება.</p>	<p>როგორც შენიშვნაშიც არის ასახული ინფრასტრუქტურის სამინისტროს ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი დონორების მიერ გამოყოფილი თანხებია და აღნიშნული თანხების თანადაფინანსება. აღნიშნული რეურსების ფარგლებში შეუძლებელია ტენდერების გარეშე ხელშეკრულებების გაფორმება, მეტიც პროექტების უმრავლესობაზე ცხადდება საერთაშორისო ტენდერები შესაბამისი დონორი შესყიდვების წესების მიხედვით და ყველა ტენდერში უზრუნველყოფილია სრული გამჭვირვალობა.</p>
<p>საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამიდან თანხების არასწორი ხარჯვა იმის მიზეზით, რომ უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში, საჭმლის მომნელებელი სისტემის პრეპარატები 63.8%-ით, ვიტამინები 57.5%-ით, ანთების საწინააღმდეგო პრეპარატები 42%-ით გაზვირდა. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ფასებმა ტკივილგამაყუჩებელ პრეპარატებზე მოიმატა 60.2%-ით, ხოლო ანტიბიოტიკებზე - 49.1%-ით. ასეთ პირობებში <b>“ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა”</b> პრობლემაზე რეაგირების არასაკმარის ნაბიჯს წარმოადგენს.</p>	<p>საყოველთაო ჯანდაცვა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პროგრამას, რომლის ამოქმედების შემდგომ საქართველოს ყველა მოქალაქისთვის ხელმწისაწვდომი გახდა სამედიცინო მომსახურება. მხოლოდ მიმდინარე წლის 9 თვის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 850,0 ათასზე მეტი სამედიცინო მომსახურება. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს მიზნობრიობის და ეფექტურობის გაზრდის მიზნით არაერთი ცვლილება განხორციელდა აღნიშნულ პროგრამაში. გაურკვეველია შენიშვნაში რა ლოგიკით არის დაკავშირებული კონკრეტული მედიკამენტების ფასების ზრდა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამასთან.</p>
<p><b>მასწავლებლის საბაზო ხელფასი არ იზრდება.</b> 60 000 მასწავლებლიდან 15 000 სერტიფიცირებულია და მათგან 8 000 ვერ იღებს კუთვნილ 800 ლარს,</p>	<p>მასწავლებელთა საბაზო ხელფასის ზრდა ბოლო წლების განმავლობაში რამდენჯერმე განხორციელდა. გარდა ამისა,</p>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>რადგან მათი სახელფასო დანამატი საათობრივ დატვირთვაზეა მიბმული, ხოლო სახელმწიფო/სკოლა ვერ უზრუნველყოფს მათ შესაბამის დატვირთვას.</p>	<p>მასწავლებელთა კარიერული წინსვლის სქემის შესაბამისად უფროს მასწავლებლებზე, წამყვან მასწავლებლებზე და მენტორებზე გათვალისწინებულია დანამატები.</p> <p>2018 წელს სკოლების ვაუჩერული დაფინანსება 2017 წელთან შედარებით გაზრდილია 23,4 მლნ ლარით, რომლის ფარგლებში გათვალისწინებულია შემდგომ საფეხურზე გადასული მასწავლებლებისთვის შესაბამისი დანამატების გაცემა. რაც შეეხება სამუშაო საათებს, აღსანიშნავია რომ სრული დატვირთვა გულისხმობას კვირაში 18 საგაკვეთილო საათს და მისი შემცირება არამიზანშეწონილია.</p>
<p>2018 წლის ბიუჯეტის მიხედვით, სუსის დაფინანსება კვლავ 5 მილიონი ლარით იზრდება და ჯამში საქართველოს გადასახადის გადამხდელებს 123 მილიონი ლარი უჯდება პოლიტიკური რეპრესიის მანქანის შენახვა. იმავდროულად, 2018 წელს არ არის დაგეგმილი ჯარისკაცებისთვის და რიგითი პოლიციელებისთვის ხელფასების მომატება.</p>	<p>სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური (რომელიც პოლიციის ნაწილს წარმოადგენდა 2015 წლამდე) შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად წარმოადგენს ქვეყნის უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვან ორგანიზაციას და შესაბამისა გამოყოფილი თანხები ხმარდება ქვეყნის უსაფრთხოებას და არა რომელიმე პოლიტიკური ჯგუფის მიზნებს.</p> <p>დამატებითი თანხა 2018 წელს გათვალისწინებულია სსიპ-ოპერატიულ ტექნიკური სააგენტოს შენობის მშენებლობისთვის, ვინაიდან სახელმწიფოს არ გააჩნია შესაბამისი შენობა სადაც შესაძლებელი იქნებოდა აღნიშნული სააგენტოს განთავსება.</p>
<b>აგრარულ საკითხთა კომიტეტი</b>	
<p>სოფლის მეურნეობა ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგია, თუმცა წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი სრულად არ ასახავს დარგის განვითარების პრიორიტეტულობას, რომელზეც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება. წარმოდგენილი პრიორიტეტები, ახალი რეალიების, გათვალისწინებით ეყრდნობა ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიას 2015-</p>	<p>მართალია 2017 წლის დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით ზრდა მხოლოდ 2,0 მლნ ლარია, თუმცა აღსანიშნავია რომ დამტკიცებულ მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 8,0 მლნ ლარით. დაზუსტებულ გეგმაში 6,0 მლნ ლარი გამოყოფილია მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან და აღნიშნული თანხა უფრო მეტად იქ</p>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>2020 წწ, რაც ასახვას პოვებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტის დაგეგმვაზე. აღნიშნული მიდგომა წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტში არ არის გამოკვეთილი. 2018 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, სოფლის მეურნეობის დაფინანსება 2017 წლის დაზუსტებულ ბიუჯეტთან შედარებით მცირედით იზრდება (2 მილიონი ლარით).</p>	<p>მაცხოვრებელი მოსახლეობის ხელშეწყობის მიზნით იყო მიმართული და არა ზოგადად სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებისთვის.</p> <p>გარდა ამისა აღსანიშნავია რომ 2017 წლის ბიუჯეტში 20,0 მლნ ლარი გათვალისწინებული იყო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სესხისა და ლიზინგის ვალდებულებების დაფარვისათვის, რომელიც მთავრდება მიმდინარე წელს და აღნიშნული თანხა 2018 წელს მოხმარდება სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის სამინისტროს ფარგლებში დაგეგმილი პროგრამების განხორციელებას, შესაბამისად რეალურად სამინისტროს ფარგლებში სოფლის მეურნეობის განვითარებაზე დაგეგმილი პროგრამების დაფინანსება გაზრდილია 28,0 მლნ ლარით, რაც 10%-ზე მეტია, იმ პირობებში როდესაც მთლიანად ეკონომიკა იზრდება 8%-ით.</p>
<p>უნდა გაიზარდოს 700 ათასი ლარით და 2017 წლის დაფინანსების დონეზე (8 მილიონ 700 ათასი ლარი) შენარჩუნდეს ქვეპროგრამა „დანერგე მომავალი“, 265,0 ათასი ლარით უნდა გაიზარდოს „მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის ქვეპროგრამა, 890,0 ათასი ლარით უნდა გაიზარდოს ქართული ღვინო პროდუქციის პოპულარიზაციის ხელშეწყობისთვის გათვალისწინებული თანხები.</p>	<p>გარდა ამისა აღსანიშნავია რომ 2017 წლის ბიუჯეტში 20,0 მლნ ლარი გათვალისწინებული იყო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სესხისა და ლიზინგის ვალდებულებების დაფარვისათვის, რომელიც მთავრდება მიმდინარე წელს და აღნიშნული თანხა 2018 წელს მოხმარდება სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის სამინისტროს ფარგლებში დაგეგმილი პროგრამების განხორციელებას, შესაბამისად რეალურად სამინისტროს ფარგლებში სოფლის მეურნეობის განვითარებაზე დაგეგმილი პროგრამების დაფინანსება გაზრდილია 28,0 მლნ ლარით, რაც 10%-ზე მეტია, იმ პირობებში როდესაც მთლიანად ეკონომიკა იზრდება 8%-ით.</p>
<p>აგრარულ სექტორში სასოფლო - სამეურნეო პროდუქციის ზრდა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ეფექტური სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენებაზე. ამჟამად ქვეყანაში სასოფლო სამეურნეო ტექნიკის ქრონიკული დეფიციტია. კერძო სექტორში არსებული ტექნიკის დიდი ნაწილი გაუმართავი და ამორტიზირებულია, რაც აფერხებს სოფლად სამუშაოების აგროვადებში შესრულებას და ზრდის წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებას. საჭიროა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოს ფინანსური რესურსი ქვეყანაში სატრაქტორო პარკის განახლების მიმართულებით.</p>	<p>რეალურად სამინისტროს ფარგლებში სოფლის მეურნეობის განვითარებაზე დაგეგმილი პროგრამების დაფინანსება გაზრდილია 28,0 მლნ ლარით, რაც 10%-ზე მეტია, იმ პირობებში როდესაც მთლიანად ეკონომიკა იზრდება 8%-ით.</p> <p>რაც შეეხება სხვადასხვა პროგრამებისთვის თანხების დამატებას, არსებული რესურსი ფარგლებში ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა დამატებითი თანხების მოძიება, თუმცა განხილვის პროცესში დამატებით შესაძლებელია მსჯელობა სად არის აუცილებელი თანხების დამატება და რის ხარჯზე რამდენი უნდა დაემატოს ამა თუ იმ პროგრამას.</p> <p>ამასთან, გადამუშავებულ ვარიანტში აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებებისთვის დამატებით გამოყოფილია 10,0 მლნ ლარი.</p>
<p>წარმოდგენილი პროგრამების, ქვეპროგრამების შეფასების ინდიკატორების გაწერა ძალიან ზოგადია და არ იძლევა მოსალოდნელი შედეგების დეტალური შეფასების საშუალებას, პროგრამული ბიუჯეტირების სტანდარტების გათვალისწინებით, ცალკე აღებული ნებისმიერი ქვეპროგრამის მახასიათებლებიდან მინიმუმ მოტანილი უნდა იყოს: დასაქმებულთა რიცხოვნობა (როგორც გათვალისწინებული -</p>	<p>საქართველოს პარლამენტის მიერ სამინისტროს პროგრამული ბიუჯეტის ნაწილზე გამოთქმული შენიშვნები ძალზეც მნიშვნელოვანია. საქართველოს მთავრობა აგრძელებს მუშაობას პროგრამული ბიუჯეტირების შემდგომი დახვეწის მიმართულებით. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ შედეგზე ორიენტირებული დაგეგმვის რეალურად</p>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>დაგეგმილი, ასევე ფაქტიურად დასაქმებული), განხორციელების ვადა, შედეგების შესრულების შეფასების ინდიკატორები. ქვეპროგრამის ასეთი სახით წარმოდგენა 2018 ბიუჯეტის პროექტში არ არის მოცემული, აგრეთვე შეუძლებელია რომელიმე ინდიკატორის დროში შესადარისობა გასულ პერიოდთან მიმართებაში, არსად არის აღებული რაიმე ათვლის წერტილი, საბაზო დრო ან/და მაჩვენებელი, რომელსაც შეიძლება შეედაროს რომელიმე კრიტერიუმში.</p>	<p>დანერგვისათვის აუცილებელია წარმატებით განხორციელდეს სამინისტროების შიგნით შიდა ფინანსური მართვისა და კონტროლის დანერგვის რეფორმა, რათა თითოეული პროგრამისა და ქვეპროგრამის მიზნობრიობა, მოსალოდნელი შედეგები და შესრულების პროცესში მიღწეული პროგრესიდან გამომდინარე მათი მიღწევადობა ფასდებოდეს შესაბამისი ჩართული მხარეების მხრიდან. საქართველოს პარლამენტში ბიუჯეტის განხილვისას მსგავსი ხასიათის ინფორმაციის მოთხოვნა და მსჯელობა მის ირგვლვ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან შესაბამისი კომიტეტებთან აქტიური თანამშრომლობა დააჩქარებს პროგრამული ბიუჯეტის სრულყოფის პროცესს.</p>
<p><b>გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი</b></p>	
<p>გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო არსებული დაფინანსებით (33 680,0 ათასი ლარი-დონორების დაფინანსებისა და თანადაფინანსების გარეშე) ვერ შეძლებს თავისი ფუნქციების ეფექტურად და სრულყოფილად განხორციელებას.</p>	<p>გათვალისწინებულია ნაწილობრივ - არსებული რესურსების ფარგლებში ამ ეტაპზე შესაძლებელი გახდა სამინისტროსთვის 3,0 მლნ ლარის დამატება, მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სამინისტროს აპარატს დაემატა 20 საშტატო ერთეული და 500,0 ათასი ლარი;</li> <li>• გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს დაემატა 26 საშტატო ერთეული და 1 300,0 ათასი ლარი;</li> <li>• სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტოს დაემატა 104 საშტატო ერთეული და 150,0 ათასი ლარი. აღსანიშნავია რომ სააგენტოს თანაშრომელთა ხელფასები ნაწილობრივ ფინანსდება საკუთარი შემოსავლებიდან და ჯამში 2017 წელს შრომის ანაზღაურებაში არსებული 4 217,5 ათასი ლარი იზრდება 6 457,0 ათას ლარამდე (2 239,5 ათასი ლარით, 53%-ით), რაც შესაძლებლობას მიცემს სააგენტოს გაზარდოს დაცულ ტერიტორიებზე რეინჯერების ხელფასები;</li> </ul>
<p>მნიშვნელოვანია "საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებით" აღებული ვალდებულებების ბიუჯეტში ასახვა, ამ ვალდებულებების განხორციელებისთვის აუცილებელი თანხების ბიუჯეტში გათვალისწინება მეორე წარდგენისას შუალედური და საბოლოო შედეგების ინდიკატორების დონეზე.</p>	
<p>ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად აუცილებელია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სამინისტროს ცენტრალურ აპარატში მინიმუმ 18 საშტატო ერთეულის დამატება,</li> <li>• შრომის ანაზღაურების ფონდით და საოფისე ხარჯებით - 462.0 ათ. ლარი (მ.შ შრომა-334.0 ლარი);</li> <li>• პროექტის - „სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლება“</li> </ul>	



რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>საქართველოს მასშტაბით ბაგა-ბაღებში დანერგვა - 50.0 ათასი ლარი;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლების გადამზადება ორჰუსის კონვენციისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულებების, პროცედურებისა და ვადების შესაბამისად - 43.0 ათასი ლარი.</li> </ul> <p><b>სულ - 555.0 ათასი ლარი</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>სსიპ - სატყეო სააგენტოს დაემატა 196 საშტატო ერთეული და 900,0 ათასი ლარი. სააგენტოს თანამშრომელთა ხელფასები ნაწილობრივ ფინანსდება საკუთარი შემოსავლებიდან და ჯამში 2017 წელს შრომის ანაზღაურებაში არსებული 8 325,0 ათასი ლარი იზრდება 10 516,0 ათას ლარამდე (2 191,0 ათასი ლარით, 26%-ით), რაც შესაძლებლობას მიცემს სააგენტოს გაზარდოს ტყის მცველების ხელფასები;</li> <li>ეროვნულ საშენ მეურნეობას დაემატა 150,0 ათასი ლარი.</li> </ul>
<p><b>გარემოს დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება, რეგულირება და მართვა (38 01):</b></p> <p><b>სამინისტროს (38 00) დამატებითი მოთხოვნა:</b></p> <p>რიცხოვნობა - 417 (171+246) ერთეული, ასიგნებები - 9 995.0 ათასი ლარი. მათ შორის:</p> <p><b>დამატებითი მოთხოვნა:</b></p> <p>რიცხოვნობა - 34 ერთეული, ასიგნებები - 2 625.0 ათასი ლარი</p>	
<p><b>გარემოსდაცვითი ზედამხედველობა (38 02):</b></p> <p><b>დამატებითი მოთხოვნა:</b></p> <p>რიცხოვნობა - 48 ერთეული (8 ეკიპაჟის დამატება რეგიონებში), ასიგნებები - 2 425.0 ათ. ლარი.</p>	
<p><b>დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (38 03):</b></p> <p><b>დამატებითი მოთხოვნა:</b></p> <p>რიცხოვნობა - 44 ერთეული, ასიგნებები - 1 075.0 ათასი ლარი.</p>	
<p><b>სატყეო სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (38 04):</b></p> <p><b>დამატებითი მოთხოვნა:</b></p> <p>რიცხოვნობა - 120 ერთეული, ასიგნებები - 3 415.0 ათასი ლარი.</p>	
<p><b>საშენი მეურნეობის სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (38 05):</b></p>	

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p><b>დამატებითი მოთხოვნა:</b> ასიგნებები - 150,0 ათასი ლარი.</p>	
<p><b>გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობა (38 06):</b> <b>დამატებითი მოთხოვნა:</b> ასიგნებები - 210.0 ათასი ლარი.</p>	
<p><b>ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დაცვა (38 07):</b> <b>დამატებითი მოთხოვნა:</b> ასიგნებები - 95.0 ათასი ლარი.</p>	
<b>დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტი</b>	
<p>„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის პროექტის გადამუშავებულ ვარიანტის პარლამენტში წარმოდგენისას, მე-15 მუხლში მოცემული ასიგნებების გრაფაში ცალკე პროგრამად (28 03) ან ქვეპროგრამად (28 01 04) გამოიყოს „დიასპორული პოლიტიკა“ და მიენიჭოს შესაბამისი პროგრამული კოდი</p>	<p><b>გათვალისწინებულია</b> - გადამუშავებულ ვარიანტში საგარეო საქმეთა სამინისტროს ჯამში დაემატა 4,0 მლნ ლარი და მისი ბიუჯეტი განისაზღვრა 118,0 მლნ ლარის ოდენობით. ცალკე ქვეპროგრამად გამოიყო დიასპორული პოლიტიკა (28 01 04), რომელშიც გათვალისწინებულია 1 400,0 ათასი ლარი;</p>
<b>ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი</b>	
<p>სოციალური რეაბილიტაცია-აბილიტაციის ფარგლებში დაგეგმილი ქვე-პროგრამების ასიგნებები განისაზღვროს ისეთი ოდენობით, რომ შესაძლებელი გახდეს სპეციალური საჭიროების მქონე ადამიანებისთვის შესაძლებელი გახდეს გარემოსთან უკეთ ადაპტირება, მაგალითისთვის ისეთი პროგრამების განხორციელება რომელიც შესაძლებელს გახდის უსინათლო პირების პროთეზირებას, სმენის არ მქონე პირების აღჭურვას ვიდეოზარის მხარდაჭერის მქონეს სმარტ-ფონებით, ასევე ბენეფიციარების ელექტროეტლებით მომარაგება.</p>	<p>სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვზე ზრუნვის პროგრამის დაფინანსება გაზრდილია 5,2 მლნ ლარით და შეადგენს 28,2 მლნ ლარს. დამატებით გრძელდება კონსულტაციები სამინისტროსთან და შესაბამის კომიტეტთან ერთად, რის შემდგომაც არსებული რესურსის ფარგლებში ჩამოყალიბდება პროგრამის საბოლოო ვარიანტი.</p>
<p>ინკლუზიური განათლებისთვის 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია 4 950 000 ლარი წინა წელს განსაზღვრული 5 134 000 ლარისგან განსხვავებით. რეკომენდირებულია დაფინანსების გაზრდა ამ მიმართულებით, რადგან ინკლუზიური განათლება არის წამყვანი ბერკეტი შ.შ.მ. და ს.ს.ს.მ. პირთა საზოგადოებაში</p>	<p><b>გათვალისწინებულია</b> - გადამუშავებულ ვარიანტში პროგრამის დაფინანსება გაზრდილია და შეადგენს 5 135,0 ათას ლარს.</p>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>ინტეგრაციის გზაზე. ასევე მნიშვნელოვანია, რომ პროგრამით გათვალისწინებული იყოს სპეცპედაგოგების პროფესიული განვითარების მაქსიმალური ხელშეწყობა და დაფინანსების გაზრდა.</p>	
<p>უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბიუჯეტში და ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამებში არ იკვეთება ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იქნებოდა სოციალური მუშაკის ინსტიტუტის გაძლიერებისკენ. თუმცა სულ უფრო იზრდება სოციალური მუშაკის ფუნქცია-მოვალეობები და მისი როლი ადამიანის უფლებების რეალიზაციისა და დაცვის კუთხით. აქედან გამომდინარე <b>საჭიროა სამინისტრომ გაითვალისწინოს რიგი ღონისძიებები, რომელთა მიზანი იქნებოდა სოციალური მუშაკების რაოდენობრივი ზრდა მათი ფუნქცია-მოვალეობების დროული, ხარისხიანი და ეფექტური განხორციელების მიზნით.</b></p>	<p>არსებული რესურსების ფარგლებში ამ ეტაპზე შეუძლებელია დამატებითი თანხების მიმართვა სოციალური მუშაკების რაოდენობის ზრდისთვის, თუმცა სამინისტროსთან და შესაბამის კომიტეტებთან ერთად გაგრძელდება კონსულტაციები ამ მიმართულებით და მომდევნო წელს საკანონმდებო ცვლილებების პარალელურად განხორციელდება რესურსების მოძიება სოციალური მუშაკების რაოდენობის ეტაპობრივი ზრდის მიზნით.</p>
<p>პრინციპულად მნიშვნელოვანია მოხდეს საქართველოს იურიდიული დახმარების სამსახურის 2018 წლის ბიუჯეტის 10 %-იანი ზრდა 2016 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით რათა თავიდან ავიცილოთ 2015 წლის 14 მაისის, საქართველოს მთავრობასა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ფინანსური შეთანხმება მართლმსაჯულების/იუსტიციის სექტორში 2015-2018 წლების საბიუჯეტო დახმარების პროგრამასთან დაკავშირებით.</p>	<p>სსიპ-იურიდიული დახმარების სამსახურის საკასო ხარჯი 2016 წელს იყო 4 848,6 ათასი ლარი, 2017 წელს გათვალისწინებულია 5 800,0 ათასი ლარი, ხოლო 27 ოქტომბრის მდგომარეობით ფაქტი შეადგენს 3 702,9 ათას ლარს და წლის ბოლომდე მოსალოდნელი ათვისება არ გადააჭარბებს 5,0 მლნ ლარს. ათვისებლობის მიუხედავად 2018 წლის პროექტში სამსახურისთვის გათვალისწინებულია 6 000,0 ათასი ლარი (ევროკავშირთან არსებული შეთანხმების გათვალისწინებით), რომლის ფარგლებში მიმდინარე ხარჯები (საიდანაჯ ფინანსდება სამსახურის ფუნქციები) შეადგენს 5 860,0 ათას ლარს, რაც მიმდინარე წლის გეგმიურ მაჩვენებელზე (4 776,0 ათასი ლარი) 1 084,0 ათასი ლარით (22,7%-ით) მეტია.</p>
<p>ხარჯვით ნაწილში ბიუჯეტის გაზრდა მოხდეს იმგვარად, რომ იურიდიული დახმარების სააგენტოს მანდატის გაფართოების შესაბამისად შესაძლებელი გახდეს კონსულტანტი იურისტების რაოდენობრივი ზრდა და შესაბამისად შრომის ანაზღაურების ნაწილში ბიუჯეტის გაზრდა. თანამშრომელთა რაოდენობრივი ზრდა ემსახურება მანდატის ფარგლებში ბენეფიციართა გაზრდილი რაოდენობისთვის საჭირო სერვისების დროულ და ხარისხიან მიწოდებას;</p>	<p>ზემოაღნიშნულის მიუხედავად გაგრძელდება დამატებითი კონსულტაციები სამსახურთან და საჭიროების შემთხვევაში მოხდება მათი ბიუჯეტის გადახედვა.</p>
<p>არაფინანსური აქტივების ზრდა 2017 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან</p>	<p>ამასთან, ევროკავშირთან არსებულ შეთანხმებაში არსებული</p>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>შედარებით შემცირებულია 884 000 ლარით. ბიუჯეტის ხარჯების გადანაწილება მოხდეს იმგვარად, რომ შესაძლებელი გახდეს საჭიროების შესაბამისად ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.</p>	<p>ჩანაწერის მიხედვით 2018 წლის დაფინანსება 2016 წელთან შედარებით უნდა გაიზარდოს 10,0%-ით, არ არის დაკონკრეტებული რომ თავდაპირველ გეგმასთან შედარებით უნდა იყოს აღნიშნული ზრდა. ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის წარმოდგენამდე დამატებით კონსულტაციებს გავივლით ევროკავშირის წარმომადგენლებთან და გავითვალისწინებთ მათ პოზიციას აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში.</p>
<p>ასევე განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ წარმოდგენილი კანონპროექტის მიხედვით 2018 წლისთვის დაგეგმილია შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმის პროგრამის (პროგრამული კოდი 35 05) დაფინანსების შემცირება 550 ათასი ლარით. აღნიშნული პროგრამა დაინერგა და განხორციელდა ევროკავშირის მხარდაჭერით „განათლების, მეცნიერების, დასაქმების, ჯანდაცვის საკითხების ინსტიტუციური აღმშენებლობის პროგრამის“ ფარგლებში. ამ მიმართულებით ევროკავშირი კვლავაც აგრძელებს მხარდაჭერას და 2018 წლის ბოლოსთვის იგეგმება განახლებული პროგრამის დაწყება. განახლებული პროგრამის წარმატებულად დამტკიცებისთვის მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მთავრობის მხრიდან ასევე გამოიხატოს გაძლიერებული ინტერესი, მზადყოფნა და მზარდი ფინანსური მხარდაჭერა შრომისა და დასაქმების სისტემის განვითარებისა და გაძლიერების კუთხით. არ უნდა მოხდეს აღნიშნული პროგრამის ბიუჯეტის შემცირება 2017 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით.</p>	<p>შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამის მიზნებისათვის თანხის შემცირება რეალურად არ ხდება, ვინაიდან პროგრამის ნაწილი (შრომის ბაზრის ანალიზი) გადავიდა ეკონომიკის სამინისტროში. გადამუშავებულ ვარიანტში პროგრამას დაემატა 200,0 ათასი ლარი. ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის წარმოდგენამდე დამატებით კონსულტაციებს გავივლით ევროკავშირის წარმომადგენლებთან და გავითვალისწინებთ მათ პოზიციას აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში.</p>
<b>განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი</b>	
<p>აუცილებელია მეტი საბიუჯეტო რესურსის მობილიზება როგორც განათლების, ისე კულტურისა და ძეგლთა დაცვის სფეროებში</p>	<p><b>გათვალისწინებულია</b> - გადამუშავებულ ვარიანტში გაზრდილია ორივე სამინისტროს დაფინანსება</p>
<p>განათლების სფეროს განვითარებისა და რეფორმირებისათვის მიზანშეწონილია დამატებითი ფინანსური რესურსის მობილიზება პროფესიული განათლების სისტემისთვის, ასევე მნიშვნელოვანია უმაღლესი სახელოვნებო განათლების სფეროსთვის საბიუჯეტო</p>	<p>გათვალისწინებულია ნაწილობრივ - არსებული რესურსების ფარგლებში შესაძლებელია გახდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის დამატებით 3,0 მლნ ლარის გამოყოფა, რომელიც მიმართული იქნა პროფესიულ</p>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
ასიგნებების გაზრდა. მნიშვნელოვანია ინლუზიური განათლების სფეროში საბიუჯეტო სახსრების გაზრდას მიმდინარე საკანონმდებლო რეფორმის კონტექსტში.	განათლებასა და ინკლუზიური განათლების პროგრამების დასაფინანსებლად;
მნიშვნელოვანია კულტურის სფეროში საბიუჯეტო დაფინანსების გაზრდა, ფრანკფურტის ბაზრობაში ქვეყნის ღირსეულად წარმოჩენა ჩვენი კულტურის პოპულარიზაციისა და ინტეგრაციის ხელშეწყობის ფაქტორია. თუმცა ეს საკმარისი არ არის და უნდა გაიზარდოს ისეთი ინსტიტუტებისა და პროგრამების საბიუჯეტო დაფინანსება, როგორცაა ეროვნული კინოცენტრი. მუსიკალური ინსტრუმენტებით აღჭურვა და კულტურულ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პროგრამები	<b>გათვალისწინებულია</b> - გადამუშავებულ პროექტში კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაფინანსება იზრდება 14,5 მლნ ლარით
სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს კანონიდან გამომდინარე საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის პროექტში უნდა უზრუნველყოს სახელმწიფო ენის დეპარტამენტის შექმნისა და ფუნქციონირებისთვის მოქმედი კანონიდან გამომდინარე საბიუჯეტო რესურსის ასახვა.	<b>გათვალისწინებულია</b> - ბიუჯეტის გადამუშავებულ პროექტში აღნიშნული სსიპ-ის დაფინანსებისთვის გათვალისწინებულია 300,0 ათასი ლარი, რომელიც შესაძლებელია დაზუსტდეს პროექტის საბოლოო ვარიანტის წარმოდგენისას.
<b>დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი</b>	
2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის თანახმად, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ქვეპროგრამისთვის - „მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა“ მცირდება დაფინანსება (კოდი 24 07 02). კერძოდ, 2017 წელთან შედარებით 2018 წლის ბიუჯეტის პროექტით განსაზღვრული დაფინანსება 2.3 მილიონი ლარით ნაკლებია, ხოლო 2016 წელთან - 1.9 მილიონი ლარით. არ არის მიზანშეწონილი დაფინანსების შემცირება აღნიშნული ქვეპროგრამისთვის.	ეკონომიკის სამინისტროს ფარგლებში, პროგრამული კოდის „24 07 - მეწარმეობის განვითარება“ გათვალისწინებულია 41,7 მლნ ლარი. 2017 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში აღნიშნულ პროგრამულ კოდზე გათვალისწინებული იყო ასევე 41,7 მლნ ლარი. დამატებითი თანხის მოძიება ამ ეტაპზე ვერ მოხდა, თუმცა შესაძლებელია დამატებით გაგრძელდეს მსჯელობა და განხორციელდეს სამინისტროსთვის გამოყოფილი ჯამური თანხის ფარგლებში პროგრამებს შორის თანხების გადანაწილება.
ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების (2018-2021 წლებისათვის) დოკუმენტის პრიორიტეტულ მიმართულებად კვლავაც რჩება მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა. უნდა აღინიშნოს, რომ	მიუხედავად იმისა, რომ ცალკე პროგრამა მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობისთვის ბიუჯეტში გათვალისწინებული არ არის, პროგრამები - „მეწარმეობის განვითარება“ და

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულია მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია. მიუხედავად აღნიშნულისა, წარმოდგენილ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში არ ჩანს თუ რა დაფინანსება და ქმედებებია გათვალისწინებული უშუალოდ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის. შესაბამისი პროექტი არ ითვალისწინებს სათანადო ინდიკატორებსაც.</p>	<p>„შეღავათიანი აგროკრედიტები ძირითადად სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშემწყობ პროგრამებს წარმოადგენს. გარდა ამისა, აღსანიშნავია რომ მოგების გადასახადი რეფორმა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას.</p>
<p>საქართველოს ეკონომიკისა და მდგარი განვითარების სამინისტროს პროგრამა „ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება (24 01)“, აღნიშნული პროგრამის ინდიკატორი, თავისი შემადგენელი ქვეპროგრამების გათვალისწინებით, არ იძლევა შეფასების საშუალებას და არ არის გაზომვადი. მიზანშეწონილია პროგრამის ინდიკატორის განსაზღვრისას გათვალისწინებულ იქნეს შემადგენელი ქვეპროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებები.</p>	<p>საქართველოს პარლამენტის მიერ სამინისტროს პროგრამული ბიუჯეტის ნაწილზე გამოთქმული შენიშვნები ძალზეც მნიშვნელოვანია. საქართველოს მთავრობა აგრძელებს მუშაობას პროგრამული ბიუჯეტირების შემდგომი დახვეწის მიმართულებით. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ შედეგზე ორიენტირებული დაგეგმვის რეალურად დანერგვისათვის აუცილებელია წარმატებით განხორციელდეს სამინისტროების შიგნით შიდა ფინანსური მართვისა და კონტროლის დანერგვის რეფორმა, რათა თითოეული პროგრამისა და ქვეპროგრამის მიზნობრიობა, მოსალოდნელი შედეგები და შესრულების პროცესში მიღწეული პროგრესიდან გამომდინარე მათი მიღწევადობა ფასდებოდეს შესაბამისი ჩართული მხარეების მხრიდან. საქართველოს პარლამენტში ბიუჯეტის განხილვისას მსგავსი ხასიათის ინფორმაციის მოთხოვნა და მსჯელობა მის ირგვლვ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან შესაბამისი კომიტეტებთან აქტიური თანამშრომლობა დააჩქარებს პროგრამული ბიუჯეტის სრულყოფის პროცესს.</p>
<p>საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პროგრამა - „წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია“ (25 04). სასურველია ამ პროგრამის საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორების მიზნობრივ მაჩვენებლებში მოცემული ინფორმაცია იყოს უფრო დეტალური და მეტად</p>	<p>გათვალისწინებული იქნება ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტის წარმოდგენისას. ამასთან, აღსანიშნავია რომ ბიუჯეტზე თანდართულ კაპიტალური პროექტების დანართში დეტალურადაა წარმოდგენილი ინფორმაცია პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი პროექტების შესახებ, მათ შორის</p>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>დაკონკრეტებული, რათა ბიუჯეტის განხილვის დროს გვექონდეს უფრო მკაფიო სურათი თუ კონკრეტულად რა პროექტის განხორციელებაზეა ლაპარაკი. მაგ: მიზნობრივ მაჩვენებლებში მოცემულია 11 წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა-რეაბილიტაცია. გაურკვეველია რომელ ქალაქებში მოხდება აღნიშნული სამუშაოების განხორციელება. შესაბამისად, ინდიკატორი არ გვადლევს შეფასების საშუალებას.</p>	<p>შესაბამისი დასახლებული პუნქტების მითითებით.</p>
<p>რეგიონული ელექტროგადამცემის გაუმჯობესების პროექტისათვის (კოდი 36 04 05) ქვეპროგრამისათვის 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში არ არის გათვალისწინებული დაფინანსება. ვინაიდან, აღნიშნულ დონისძიებასთან დაკავშირებით ხელშეკრულებები უკვე დადებულია დონორ ორგანიზაციებთან და 2018 წელს იგეგმება თანხის ჩამორიცხვა, მიზანშეწონილია აღნიშნული აისახოს ბიუჯეტში.</p>	<p>ამ ეტაპზე არსებული ხელშეკრულებების ფარგლებში მოსალოდნელი ათვისება სრულად არის გათვალისწინებული ენერგეტიკის სამინისტროს ბიუჯეტში. ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტის წარმოდგენამდე დამატებითი კონსულტაციები გაიმართება პროექტების დონორებთან და საჭიროების შემთხვევაში მოხდება სამინისტროს ბიუჯეტის დაკორექტირება.</p>
<b>ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი</b>	
<p>რეკომენდებული იურიდიული დახმარების სამსახურის ბიუჯეტი გაიზარდოს დამატებით 120,0 ათასი ლარით (ანუ ჯამში შეადგინოს 6 500,0 ათასი ლარი), რათა შეძლოს განხორციელოს სტრუქტურული რეორგანიზაცია.</p>	<p>სსიპ-იურიდიული დახმარების სამსახურის საკასო ხარჯი 2016 წელს იყო 4 848,6 ათასი ლარი, 2017 წელს გათვალისწინებულია 5 800,0 ათასი ლარი, ხოლო 27 ოქტომბრის მდგომარეობით ფაქტი შეადგენს 3 702,9 ათას ლარს და წლის ბოლომდე მოსალოდნელი ათვისება არ გადააჭარბებს 5,0 მლნ ლარს. ათვისებლობის მიუხედავად 2018 წლის პროექტში სამსახურისთვის გათვალისწინებულია 6 000,0 ათასი ლარი (ევროკავშირთან არსებული შეთანხმების გათვალისწინებით), რომლის ფარგლებში მიმდინარე ხარჯები (საიდანაც ფინანსდება სამსახურის ფუნქციები) შეადგენს 5 860,0 ათას ლარს, რაც მიმდინარე წლის გეგმიურ მაჩვენებელზე (4 776,0 ათასი ლარი) 1 084,0 ათასი ლარით (22,7%-ით) მეტია. ზემოაღნიშნულის მიუხედავად გაგრძელდება დამატებითი კონსულტაციები სამსახურთან და საჭიროების შემთხვევაში მოხდება მათი ბიუჯეტის გადახედვა.</p>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
	<p>ამასთან, ევროკავშირთან არსებულ შეთანხმებაში არსებული ჩანაწერის მიხედვით 2018 წლის დაფინანსება 2016 წელთან შედარებით უნდა გაიზარდოს 10,0%-ით, არ არის დაკონკრეტებული რომ თავდაპირველ გეგმასთან შედარებით უნდა იყოს აღნიშნული ზრდა. ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის წარმოდგენამდე დამატებით კონსულტაციებს გავივლით ევროკავშირის წარმომადგენლებთან და გავითვალისწინებთ მათ პოზიციას აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში.</p>
<p>თავდაცვის სამინისტროს ასიგნების ფარდობა მშპ-სთან შეადგენ 1,7%-ს. ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის წევრი ქვეყნებისთვის დაწესებულია სტანდარტი, რომლის თანახმად თავსაცვის მიმართულებით გამოყოფილი სახსრების მოცულობა უნდა შეადგენდეს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 2%-ს. საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია, რომ ჩვენს დავიცვათ აღნიშნული სტანდარტი</p>	<p>როგორც შენიშვნაშიც არის არნიშნული მთიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში 2%-ის ოდენობით თავდაცვის სამინისტროს დაფინანსების განსაზღვრა არ წარმოადგენს ჩვენს ვალდებულებას. თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტის დაგეგმვისას აქტიურად მიმდინარეობდა კონსულტაციები ჩვენს პარტნიორებთან და წარმოდგენილი ვარიანტი მათთან არის შეთანხმებული. თავდაცვის საჭიროებების მიუხედავად, ამ ეტაპზე არსებული რესურსების ფარგლებში ვერ მოხერხდა დამატებითი თანხების გამოყოფა, თუმცა ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტის წარმოდგენისას შესაძლებელია მოხდეს სამინისტროს დაფინანსების ზრდა.</p>
<p>მნიშვნელოვანია, რომ გარემოს სამინისტროს ასიგნებები 20%-ით იზრდება. თუმცა ასიგნებების მუხლიდან არ ჩანს რამდენად ნაწილდება ეს თანხა ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებიდან გამომდინარე გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მიღებით გამოწვეული ვალდებულებების შესრულებაზე.</p>	<p>ბიუჯეტის გადამუშავებულ ვარიანტში სამინისტროს დაფინანსება დამატებით გაიზარდა 3,0 მლნ ლარით და განისაზღვრა 46,0 მლნ ლარის ოდენობით. გარდა ამისა სამინისტროს ფარგლებში არსებული სსიპ-ების საკუთარი შემოსავლების ხარჯზე დაგეგმილი აქვთ 34,0 მლნ ლარის ხარჯების დაფინანსება. აღნიშნული თანხების ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება როგორც ასიგნებით ნაკისრი ვალდებულებების, ასევე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისთვის საჭირო ფინანსური რესურსი.</p>



რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>მნიშვნელოვანია სახელმწიფო ბიუჯეტში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს გახშირებული მასშტაბური ხანძრების როგორც პრევენციას, ისე ხანძრის დროული ლოკალიზებისთვის საჭირო ტექნიკის შეძენას</p>	<p>წარმოდგენილ ბიუჯეტში 20,0 მლნ ლარით არის გაზრდილი სახანძრო-სამაშველო სამსახურის დაფინანსება, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია შესაბამისი ტექნიკის შესყიდვა. გარდა ამისა დამატებით მიმდინარეობს მუშაობა ვერტმფრენებისთვის საჭირო რესურსის მოძიების კუთხით და შესაძლებელია ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტში გაიზარდოს სამინისტროს დაფინანსება.</p>
<p>რამდენად მიიმართება ჯანდაცვის სამინისტროსთვის გაზრდილი (3%) რესურსი შრომის ინპექციის გამლიერებისკენ</p>	<p>ბიუჯეტის პირველად ვარიანტში შრომის პირობების ინსპექტირებისთვის გამოყოფილი თანხა 2017 წელთან შედარებით გაზრდილი იყო 23%-ით და შეადგენდა 710,0 ათას ლარს. გადამუშავებულ ვარიანტში დამატებით გამოიყო 200,0 ათასი ლარი და პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 910,0 ათას ლარს.</p>
<b>თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი</b>	
<p>მიზანშეწონილია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის და სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის საბიუჯეტო ასიგნებების გაზრდა, რაც აუცილებელია ზემოაღნიშნული სტრუქტურებისთვის კანონდებლობით დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების სრულყოფილად განხორციელებისთვის.</p>	<p>ამ ეტაპზე არსებული რესურსების ფარგლებში ვერ მოხერხდა დამატებითი თანხების გამოყოფა. მიმდინარეობს დამატებითი რესურსების მოძიება და შესაძლებელია ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტში განხორციელდეს ზოგიერთი უწყების დაფინანსების ზრდა.</p>
<b>იურიდიულ საკითხთა კომიტეტი</b>	
<p>საქართველო-ევროკავშირის ფინანსური შეთანხმებით, რომელიც 2015-2018 წლების პერიოდს მოიცავს, ხელმისაწვდომი მართლმსაჯულების უზრუნველყოფის კომპონენტში, სხვა ვალდებულებებთან ერთად განსაზღვრულია, რომ საქართველოს 2018 წლისთვის უნდა უზრუნველყოს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურისთვის საბიუჯეტო დაფინანსების გაზრდა ისე, რომ 2018 წლისთვის ასიგნებები სულ მცირე 10%-ით აღემატებოდეს 2016 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტს. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის ბიუჯეტი 2018 წლისთვის უნდა</p>	<p>სსიპ-იურიდიული დახმარების სამსახურის საკასო ხარჯი 2016 წელს იყო 4 848,6 ათასი ლარი, 2017 წელს გათვალისწინებულია 5 800,0 ათასი ლარი, ხოლო 27 ოქტომბრის მდგომარეობით ფაქტი შეადგენს 3 702,9 ათას ლარს და წლის ბოლომდე მოსალოდნელი ათვისება არ გადააჭარბებს 5,0 მლნ ლარს. ათვისების მიუხედავად 2018 წლის პროექტში სამსახურისთვის გათვალისწინებულია 6 000,0 ათასი ლარი (ევროკავშირთან არსებული შეთანხმების გათვალისწინებით),</p>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>შეადგენდეს მინიმუმ 6 380 000 ლარს.</p>	<p>რომლის ფარგლებში მიმდინარე ხარჯები (საიდანაც ფინანსდება სამსახურის ფუნქციები) შეადგენს 5 860,0 ათას ლარს, რაც მიმდინარე წლის გეგმიურ მაჩვენებელზე (4 776,0 ათასი ლარი) 1 084,0 ათასი ლარით (22,7%-ით) მეტია.</p> <p>ზემოაღნიშნულის მიუხედავად გაგრძელდება დამატებითი კონსულტაციები სამსახურთან და საჭიროების შემთხვევაში მოხდება მათი ბიუჯეტის გადახედვა.</p> <p>ამასთან, ევროკავშირთან არსებულ შეთანხმებაში არსებული ჩანაწერის მიხედვით 2018 წლის დაფინანსება 2016 წელთან შედარებით უნდა გაიზარდოს 10,0%-ით, არ არის დაკონკრეტებული რომ თავდაპირველ გეგმასთან შედარებით უნდა იყოს აღნიშნული ზრდა. ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის წარმოდგენამდე დამატებით კონსულტაციებს გავივლით ევროკავშირის წარმომადგენლებთან და გავითვალისწინებთ მათ პოზიციას აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში.</p>
<p>მნიშვნელოვანია სასამართლო ხელისუფლების მხარდაჭერა და სასამართლოს თანამშრომლების სოციალური პროგრამების გაუმჯობესება და შესაბამისი ინფრასტრუქტურული პროგრამების განხორციელება</p>	<p>დამატებითი კონსულტაციები გრძელდება სასამართლოების წარმომადგენლებთან და არსებული რესურსების ფარგლებში ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტში შესაძლებელია ამ მიმართულებით მოხდეს დამატებითი თანხების გამოყოფა.</p>
<p>აუცილებელია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მხარდაჭერა და ამა თვალსაზრისით გათვალისწინებული უნდა იყოს დამატებითი ფინანსური რესურსი</p>	<p>სკოლამდელი აღზრდა სრულად ფინანსდება მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებიდან, რომელთა ტრანსფერიც 2017 წელთან შედარებით იზრდება 45,0 მლნ ლარით.</p>
<p>აუცილებელია განხორციელდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროს თანამშრომელთა სოციალური პირობების და მათის საქმიანობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება</p>	<p>ამ ეტაპზე არსებული რესურსების ფარგლებში ვერ მოხერხდა დამატებითი თანხების გამოყოფა. მიმდინარეობს დამატებითი რესურსების მოძიება და შესაძლებელია ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტში განხორციელდეს ზოგიერთი უწყების დაფინანსების ზრდა.</p>
<p><b>რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტი</b></p>	
<p>ქვეყნის რეგიონის ბუნებრივი აირით უზრუნველყოფის მნიშვნელობიდან გამომდინარე მიზანშეწონილია 2018 წლის ბიუჯეტის პროექტით</p>	<p>2017 წელს გაზიფიცირების სამუშაოებისთვის ენერგეტიკის სამინისტროსთვის გათვალისწინებული იყო 20,5 მლნ ლარი,</p>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>გაზიფიცირებისთვის გათვალისწინებული 30 მილიონი ლარი გაიზარდოს 40 მილიონ ლარამდე</p>	<p>2018 წლის ბიუჯეტის პროექტში აღნიშნული თანხა გაზარდილია და გათვალისწინებულია 30,0 მლნ ლარი. ამასთან, აღსანიშნავია რომ წლის განმავლობაში გარკვეული ეკონომიების ხარჯზე მოხდეს პროგრამისთვის დამატებითი თანხების მოძიება, ისევე როგორც ეს განხორციელდა 2017 წელს. ამ ეტაპზე არსებული რესურსების ფარგლებში ვერ მოხდა პროგრამის დასაფინანსებლად დამატებითი თანხების გამოყოფა.</p>
<p>წინა წლებში აპრობირებული „სოფლის მხარდაჭერის მხარდაჭერის პროგრამა“, მიუხედავად მისი რიგი ნაკლოვანებებისა, მნიშვნელოვანია ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაში მოსახლეობის ჩართულობის თავლსაზრისით. მიზანშეწონილია „სოფლის მხარდაჭერის მხარდაჭერის პროგრამის“, განახლებული ფორმატის დაფინანსება და ამ მიზნისთვის 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში არანაკლებ 50 მილიონი ლარის გათვალისწინება</p>	<p>ამ ეტაპზე არსებული რესურსების ფარგლებში ვერ მოხდა პროგრამის დასაფინანსებლად 50,0 მლნ ლარის მოძიება. მიზანშეწონილია აღნიშნულ საკითხზე დამატებით გაგრძელდეს მსჯელობა ბიუჯეტის განხილვის პროცესში.</p>
<p>მიზანშეწონილია 2018 წლის ბიუჯეტის პროექტში რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების დასაფინანსებლად გათვალისწინებულ იქნას ფინანსური რესურსი არანაკლებ 300 მილიონი ლარისა.</p>	<p>ამ ეტაპზე არსებული რესურსების ფარგლებში ვერ მოხდა პროგრამის დასაფინანსებლად 40,0 მლნ ლარის მოძიება. მიზანშეწონილია აღნიშნულ საკითხზე დამატებით გაგრძელდეს მსჯელობა ბიუჯეტის განხილვის პროცესში.</p>
<p>საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ახალი რეგულაცია ითვალისწინებს აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტებისთვის ჯარიმების გამოყენებას. ამ მიზნისთვის მიზანშეწონილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციას შესაბამისი აპარატურისა და მოწყობილობების შესაძენად გამოეყოს დამატებითი ფინანსური რესურსი.</p>	<p>2018 წლიდან აღნიშნული რეგულაციის მონიტორინგი წარმოადგენს მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებას, და შესაბამისი აპარატურის შესყიდვა უნდა მოხდეს მუნიციპალიტეტების ბიუჯეტიდან.</p>
<p>საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ახალი რეგულაცია ითვალისწინებს სატვირთო ავტომანქანებისთვის დასაშვები ნორმების გადამეტებისთვის ჯარიმების გამოყენებას. ამ მიზნისთვის მიზანშეწონილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს</p>	<p>აღნიშნული არ არის დაკავშირებული დიდ ფინანსურ დანახარჯებთან და შესაძლებელი იქნება დაფინანსდეს სამინისტროსთვის გამოყოფილი თანხების ფარგლებში.</p>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
საკატრულო პოლიციას შესაბამისი აპარატურისა და მოწყობილობების შესაძენად გამოეყოს დამატებითი ფინანსური რესურსი.	
ბიუჯეტის პროექტით სტიქიური მოვლენების შედეგადების ლიკვიდაციისთვის გათვალისწინებულია 60 მილიონი ლარი. მიზანშეწონილია პრიორიტეტულად იქნებ მიჩნეული სტიქიური მოვლენების პრევენციის ღონისძიებების განხორციელება და ამ მიზნისთვის ბიუჯეტში დამატებითი ფინანსური რესურსის მოძიება	გათვალისწინებული იქნება ფონდის განაწილების დროს.
მსოფლიოს წარმატებული ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია მდგრადი წყალმომარაგების უზრუნველყოფის ახალ ფორმატზე გადასვლა. ამ მიზნისთვის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტში სპეციალური წყალსაცავების მოწყობის სამუშაოთა დაპროექტებისა და მშენებლობის თანხების გათვალისწინება	წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციის მიზნით გათვალისწინებული თანხები 2017 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 70,9 მლნ ლარით. მიზანშეწონილია გაგრძელდეს მუშაობა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან ერთად და პროექტების დაგეგმვის პროცესში მოხდეს წარმატებული ქვეყნების გამოცდილების გაზიარება.
აზიური ფაროსანას შემოსევის დაძლევის სახელწმიფოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია კომპლექსური ღონისძიებების გატარება, რომელიც უზრუნველყოფილ უნდა იქნეს შესაბამისი ფინანსური და მატერიალური რესურსებით ქვეყნის მასშტაბით და რეგიონების მიხედვით. ამ მიზნისთვის 2017 წელს დაიხარჯა 16 მილიონი ლარი, მიზანშეწონილია ნაცვლად 2018 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული 4 მილიონი ლარისა, გამოინახოს დამატებითი ფინანსური რესურსი არანაკლებ 15 მილიონი ლარისა.	<b>გათვალისწინებულია</b> - ამ ეტაპზე აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებებისთვის გათვალისწინებულია 14,0 მლნ ლარი, თუმცა აღსანიშნავია რომ კონსულტაციები გრძელდება სამინისტროსთანაც და დონორებთანაც და შესაძლებელია ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტში მოხდეს პროგრამის დაფინანსების ზრდა.
<b>საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი</b>	
საზღვარგარეთ საქართველოს სტრატეგიული ინტერესების გატარების მიზნით, მნიშვნელოვანია პერსპექტივაში გათვალისწინებული იქნას ახალი საელჩოებისა და საკოსულოების გახსნა და საქართველოსთვის პიდლომატიური მისიებისთვის შენობების შექმნა ისეთ ქვეყნებში, სადაც უძრავი ქონების შესყიდვა გრძელვადიანი იჯარაზე უფრო ეფექტურია.	ამ ეტაპზე არსებული რესურსის ფარგლებში 2018 წლის ბიუჯეტში ვერ მოხერხდა საელჩოების შესყიდვის მიზნით თანხების გამოყოფა, თუმცა მომავალში იგეგმება იმ ქვეყნებში საელჩოების შესყიდვა, სადაც შენობის იჯარისა და ახალი შენობის შექმნის ღირებულების გათვალისწინებით გრძელვადიან პერიოდში მოსალოდნელია ეკონომიის მირება.

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>მიზანშეწონილია საგარეო საქმეთა სამინისტროს აპარატის ხელფასების გაზრდა და მათ გათანაბრება სხვა საჯარო სამსახურში დასაქმებულთა ხელფასებთან</p>	<p>საგარეო საქმეთა სამინისტროს აპარატის თანამშრომელთა ხელფასები არ ჩამორჩება ზოგადად სამინისტროებში არსებულ საშუალო შრომის ანაზღაურებას. ამ ეტაპზე ადმინისტრაციული ხარჯების ზრდისთვის რესურსის მოძიება ვერ მოხერხდა.</p>
<p>აუცილებელია შრომითი ინსპექციის სტრუქტურების გაძლიერება და ამ კუთხით 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში თანხების მობილიზება.</p>	<p><b>გათვალისწინებულია</b> - ბიუჯეტის პირველად ვარიანტში შრომის პირობების ინსპექტირებისთვის გამოყოფილი თანხა 2017 წელთან შედარებით გაზრდილი იყო 23%-ით და შეადგენდა 710,0 ათას ლარს. გადამუშავებულ ვარიანტში დამატებით გამოიყო 200,0 ათასი ლარი და პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 910,0 ათას ლარს.</p>
<p><b>საპროცედურო საკითხთა წესების კომიტეტი</b></p>	
<p>„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მე-14 მუხლი ეხება სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტებს და განსახორციელებელ პროგრამებს. აღნიშნული მუხლის 4.16 პუნქტში საუბარია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აპარატსა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სსიპ-ებში თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად საატესტაციო საკითხების ორგანიზებაზე. იმავე საკითხს ეხება აგრეთვე ბიუჯეტის პროექტზე თანდართული დოკუმენტებიც, კერძოდ: „2018-2021 წლებისათვის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების“ დოკუმენტი და „ინფორმაცია საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების მოსალოდნელი შედეგებისა და ინდიკატორების შესახებ“. ვინაიდან „საჯარო სამსახურის შესახებ“ 2015 წლის 27 ოქტომბრის საქართველოს კანონი, რომელიც ამოქმედდა 2017 წლის 1 ივლისიდან და რომლითაც ძალადაკარგულად გამოცხადდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 31 ოქტომბრის კანონი, აღარ ითვალისწინებს „ატესტაციის“ ცნებას, შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს რა იგულისხმება „საქართველოს 2018 წლის</p>	<p><b>გათვალისწინებულია</b></p>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტსა და მასზე თანდართულ დოკუმენტებში მითითებულ „საატესტაციო“ საკითხებში.</p>	
<p>„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მე-14 მუხლის მე-6 პუნქტი ეხება ქვეყნის ინსტიტუციური განვითარებისა და სამართლებრივი მხარდაჭერის საკითხებს. მოცემულ პუნქტში აღნიშნულია, რომ ეტაპობრივად ჩამოყალიბდება საჯარო სამსახურის კარიერული მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს მოხელეთა სამსახურში აყვანასა და კარიერულ წინსვლას ობიექტური კრიტერიუმების შესაბამისად. ამავე საკითხს ეხება „2018-2021 წლებისათვის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების“ დოკუმენტიც, კერძოდ 1.2 პუნქტი (საჯარო მმართველობის რეფორმა, პოლიტიკის სისტემა და სამოქალაქო საზოგადოება). აქ გაუგებარია რა ეტაპებზე და მოხელის კარიერული განვითარების რა მოდელის ჩამოყალიბებაზეა საუბარი, ვინაიდან „საჯარო სამსახურის შესახებ“ 2015 წლის 27 ოქტომბრის საქართველოს კანონმა უკვე დაადგინა (განსაზღვრა) მოხელის კარიერული განვითარების საკითხები. კერძოდ, აღნიშნული კანონის 49-ე მუხლის თანახმად, მოხელის კარიერული განვითარება ხდება ქვედა იერარქიული რანგის თანამდებობიდან ზედა იერარქიული რანგის თანამდებობაზე გადასვლისას, ასევე დაბალი თანამდებობიდან იმავე იერარქიული რანგის მაღალ თანამდებობაზე გადასვლისას. ხოლო მოხელის კარიერული განვითარება ხორციელდება დახურული კონკურსის საფუძველზე, ამ კანონის 34-ე მუხლით დადგენილი წესით. შესაძლებელია აქ იგულისხმებოდეს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოხელის პროფესიული განვითარების შემთხვევა, რა დროსაც მოხელეს პროფესიული განვითარების სავალდებულო პროგრამაში მონაწილეობისათვის ეძლევა ანაზღაურებადი შვებულება პროფესიული განვითარების პროგრამის ხანგრძლივობით. აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას.</p>	<p>გათვალისწინებულია</p>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>გარდა ამისა რედაქციულად შესწორებას საჭიროებს სიტყვა „სამსახურში აყვანა“, ვინაიდან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს მოხელისა და საჯარო სამსახურში დასაქმებულ სხვა პირთა „სამსახურში მიღებას“.</p>	
<p>გარდა აღნიშნულისა „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მე-14 მუხლის მე-6 პუნქტსა და „2018-2021 წლებისათვის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების“ დოკუმენტის 1.2 პუნქტში (საჯარო მმართველობის რეფორმა, პოლიტიკის სისტემა და სამოქალაქო საზოგადოება), საუბარია, რომ დაინერგება ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის სისტემა. გაუგებარია ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის დანერგვაზე საუბარი, ვინაიდან აღნიშნული სისტემა უკვე არსებობს. კერძოდ, „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში სრული და სწორი მონაცემების შეტანისა და დეკლარაციის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის მონიტორინგს ახორციელებს სსიპ საჯარო სამსახურის ბიურო. ამასთან, მოცემული ნორმა თითქმის წელიწადია რაც მოქმედებს. შესაბამისად, ბიუჯეტის პროექტითა და 2018-2021 წლებისათვის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით წარმოდგენილი აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას.</p>	<p>აღნიშნული ჩანაწერები წარმოადგენს, საქართველოს მთავრობის პროგრამის „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“ და ბიუჯეტის გათვალისწინებული 12 პრიორიტეტული მიმართულების ზოგადი აღწერის ნაწილს. დოკუმენტის ეს ნაწილი ასახავს მთავრობის მიერ დასახულ მიზნებს საშუალოვადიან პერიოდში, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება სამინისტროებისა და სხვა მხარჯავი დაწესებულებების პროგრამები/ქვეპროგრამები. შესაბამისად საშუალოვადიანი პერიოდისათვის (სამთავრობო პროგრამის მოქმედების პერიოდში) აღნიშნული ტექსტები რჩება უცვლელი მიუხედავად იმისა, რომ დაგეგმილი ღონისძიებების შესრულება ხორციელდება ეტაპობრივად.</p>
<p>საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მე-14 მუხლის 6.14 პუნქტში, ასევე „2018-2021 წლებისათვის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების“ დოკუმენტსა და „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების მოსალოდნელი შედეგებისა და ინდიკატორების შესახებ ინფორმაციაში“ აღნიშნულია, რომ საჯარო სამსახურის ბიურო განახორციელებს საჯარო სამსახურში ადამიანური</p>	<p>უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად 2018 წლის იანვრამდე გრძელდება გარდამავალი პერიოდი, ხოლო „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი წარდგენილია საქართველოს პარლამენტში გასახილველად და მისი ამოქმედება სავარაუდოდ მოხდება 2018 წლიდან. შესაბამისად საჯარო სამსახურის ბიუროს</p>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>რესურსების მართვისა და ადამიანური რესურსების წლიური გეგმის შემუშავების პროცესის კოორდინაციას, აგრეთვე მოხელეთა ერთიანი კლასიფიკაციის დანერგვას. უნდა ითქვას, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საჯარო სამსახურის ბიურო „კოორდინაციას“ არ უწევს საჯარო დაწესებულებების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულს ადამიანური რესურსების მართვის წლიური გეგმის შემუშავებაში, არამედ „თანამშრომლობს“ საჯარო დაწესებულებების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულებთან აღნიშნული გეგმის შემუშავების პროცესში. ამასთან, გაუგებარია მითითება მოხელეთა ერთიანი კლასიფიკაციის სისტემის დანერგვაზე, ვინაიდან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით და და მის საფუძველზე მიღებული (გამოცემული) კანონქვემდებარე აქტებით მოხელეთა ერთიანი კლასიფიკაცია და რანგირება უკვე დადგენილია. შესაბამისად აღნიშნული საკითხები საჭიროებს დაზუსტებას.</p>	<p>მხრიდან კვალვ აქტიურად ხორციელდება რანგირების სისტემის პრაქტიკაში დანერგვის პროცესში თანამშრომლობა სხვადასხვა საჯარო დაწესებულებებთან;</p>
<p>უნდა ითქვას, რომ „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი ამ ეტაპზე არ განსაზღვრავს თანამდებობრივი სარგოს საბაზო ოდენობას, შესაბამისად, ღიად რჩება საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ მოხდება თანამდებობრივი სარგოს საბაზო ოდენობის განსაზღვრა. გარდა ამისა, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, თუ როგორ წარმართება ამ საკითხზე აღნიშნული საკანონმდებლო აქტების განხილვის, მიღებისა და ამოქმედების შესაბამისობა.</p>	<p><b>გათვალისწინებულია</b></p>
<p>„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის 22-ე მუხლში არ არის გამოყოფილი არამუდმივი ამოცანების შესრულების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა რიცხოვნობის შეზღუდვის წესი და საუბარია ზოგადად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებზე, რომელშიც მოიაზრებიან როგორც დამხმარე ფუნქციების, ისე არამუდმივი ამოცანების შესრულების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები.</p>	<p><b>გათვალისწინებულია</b></p>



რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>ასევე უნდა ითქვას, რომ ადმინისტრაციული და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა რიცხოვნობის საკითხის განსაზღვრა „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის 29-ე მუხლის თანახმად აღნიშნული კანონის პროექტის პრიორიტეტს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ბუნდოვანია, თუ რომელი საკანონმდებლო აქტის პროექტით დადგენილი შეზღუდვის წესი მოქმედებს შრომითი და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებთან მიმართებით და როგორ მოხდება აღნიშნული საკანონმდებლო აქტების პროექტების შესაბამისობა მოცემულ საკითხზე.</p>	
<p>უნდა აღინიშნოს, რომ „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით არ ჩანს 01 01 კოდით (საქართველოს პარლამენტი) განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა 670, წარმოადგენს მხოლოდ პროფესიულ საჯარო მოხელეთა რიცხოვნობას, თუ მასში გათვალისწინებულია აგრეთვე შრომითი და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირებიც. ამასთან, 24 228.0 ათასი ლარი, წარმოადგენს მხოლოდ პროფესიულ საჯარო მოხელეთა შრომის ანაზღაურებას, თუ მასში გათვალისწინებულია შრომითი და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურებაც. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ 670 დასაქმებულში არ მოიაზრება შრომითი და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირები, არის თუ არა ბიუჯეტის პროექტის შესაბამის მუხლში ასახული შრომითი და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების შრომის ანაზღაურება.</p>	<p>დასაქმებულთა რაოდენობასა და შრომის ანაზღაურების მუხლში გათვალისწინებულია სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირების, პროფესიული საჯარო მოხელეების და ადმინისტრაციული ხელშეკრულების დასაქმებული პირების რაოდენობა და მათი ანაზღაურება, რაც შეეხება შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებს, მათი ანაზღაურება გათვალისწინებულია საქონელი და მომსახურების მუხლში.</p>
<b>სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი</b>	
<p>საქართველოს სპორტის პოლიტიკის და მასობრივი სპორტის განვითარების პროგრამის“ (პროგრამული კოდი 39 02 06) ფინანსური რესურსის კონსოლიდაციისთვის, მოხდეს „სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების“ (პროგრამული კოდი 39 02) ქვეპროგრამებიდან მასობრივი სპორტის განვითარებისთვის</p>	<p>გათვალისწინებულია ნაწილობრივ - სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროს ბიუჯეტის გადამუშავებულ ვარიანტში დაემატა 3 000,0 ათასი ლარი, მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სპორტულ სახეობათა განვითარების პროგრამას - 1 600,0 ათასი ლარი;</li> </ul>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>განსაზღვრული ღონისძიებების და ფინანსური რესურსის კომპონენტის გადატანა და შესაბამისად, განმახორციელებლების შეუცვლელად „საქართველოს სპორტის პოლიტიკის და მასობრივი სპორტის განვითარების ქვეპროგრამაში“ (პროგრამული კოდი 39 02 06) ასახვა. ამასთან, მნიშვნელოვანია „საქართველოს სპორტის პოლიტიკის და მასობრივი სპორტის განვითარების ქვეპროგრამის“ მასშტაბების გაფართოების განსაზღვრა, შესაბამისი განფასებების გაკეთება და ახალი, გაზომვადი შუალედური შედეგების და ამ შედეგების ინდიკატორების განსაზღვრა.</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სპორტის პოლიტიკისა და მასობრივი სპორტის განვითარების პროგრამას 150,0 ათასი ლარი;</li> <li>• სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს - 250,0 ათასი ლარი;</li> <li>• ძიუდოს სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამას - 200,0 ათასი ლარი;</li> <li>• ჭიდაობის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამას - 800,0 ათასი ლარი;</li> </ul>
<p>გათვალისწინებული იქნეს 2018 წლის ბიუჯეტის პროექტის მე-2 წარდგენის ვერსიით, ფინანსთა სამინისტროსგან მასობრივი სპორტის გაფართოების ღონისძიებებისთვის ზემოთაღნიშნული განფასებების და განსაზღვრული შუალედური შედეგის ინდიკატორების საფუძველზე დამატებითი თანხების მოთხოვნა, მათ შორის „საქართველოს სპორტის პოლიტიკის და მასობრივი სპორტის განვითარების პროგრამის“ (პროგრამული კოდი 39 02 06) ფარგლებში სასკოლო ოლიმპიადის და სტუდენტური პროგრამების აგრეთვე, მასობრივი სპორტული ღონისძიებების მასშტაბების გაზრდასთან დაკავშირებით, დამატებით 650.0 ათასი ლარის ოდენობით ფინანსური რესურსის მობილიზება;</p>	<p>ოლიმპიური აუზის გადახურვა განხორციელდება შპს „სპორტმშენ სერვისი“-ს რესურსებით.</p>
<p>2018 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნას სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის დაფინანსების გაზრდის საკითხი დამატებით 1 300.0 ათასი ლარით;</p>	
<p>„ოლიმპიური მოძრაობის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამის“ (პროგრამული კოდი 39 02 05) დასაფინანსებლად ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია 3 000.0 ათასი ლარი, საჭიროა დამატებით გამოიყოს 1 200.0 ათასი ლარი (ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი ბუენოს-აირესში და ზამთრის ოლიმპიური თამაშები) და საბოლოოდ განისაზღვროს 4 200.0 ათასი ლარით;</p>	

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>2018 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნას „სპორტულ სახეობათა განვითარების პროგრამა“ (პროგრამული კოდი 39 02 04) დამატებითი დაფინანსების საკითხი რათა მოხდეს სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ღონისძიებების დაფინანსება;</p>	
<p>ბენეფიციართა რაოდენობის და სტიპენდიის ოდენობის ზრდასთან დაკავშირებით, „საქართველოს ეროვნული, ოლიმპიური და ასაკობრივი ნაკრებების წევრთა, მწვრთნელთა, ადმინისტრაციული და საექიმო პერსონალის და პერსპექტიულ სპორტსმენთა სტიპენდიების“ (პროგრამული კოდი 39 03 03) დასაფინანსებლად დამატებით გამოიყოს 400,0 ათასი ლარი;</p>	
<p>საზღვრისპირა ზოლთან მდებარე სოფლებში მცხოვრებ მოსახლეობისთვის მათ შორის, ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით, მოხდეს სპორტული ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა/ რეაბილიტაცია;</p>	
<p>გამოიყოს თანხები, რათა მოხდეს დიღომში, ახალი თბილისის ტერიტორიაზე მდებარე ოლიმპიური აუზის გადახურვა;</p>	
<p>გამოიყოს თანხები (პროგრამული კოდი 39 02 07) თბილისის ცენტრალურ უბნებში სპორტული ინფრასტრუქტურის (მოედნების) ასაშენებლად</p>	
<b>ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა დაცვის კომიტეტი</b>	
<p>იმისათვის, რომ ბიუჯეტი იყოს შედეგებზე ორიენტირებული, აუცილებელია სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით წარმოდგენილი პროგრამების მიმდინარეობისა და შესრულების, ანუ პროცესის და შედეგების ინდიკატორების გაზომვა, რომლებიც იქნება დროში გაწერილი. წარმოდგენილი პროგრამული ინდიკატორების უმეტესობა ვერ აკმაყოფილებს პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიას. სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამების ნაწილი სრულად ვერ ასახავს დარგში არსებულ სამოქმედო გეგმების/სტრატეგიებსა და პრიორიტეტებს.</p>	<p>საქართველოს პარლამენტის მიერ სამინისტროს პროგრამული ბიუჯეტის ნაწილზე გამოთქმული შენიშვნები ძალზეც მნიშვნელოვანია. საქართველოს მთავრობა აგრძელებს მუშაობას პროგრამული ბიუჯეტირების შემდგომი დახვეწის მიმართულებით. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ შედეგზე ორიენტირებული დაგეგმვის რეალურად დანერგვისათვის აუცილებელია წარმატებით განხორციელდეს სამინისტროების შიგნით შიდა ფინანსური მართვისა და კონტროლის დანერგვის რეფორმა, რათა თითოეული პროგრამისა და ქვეპროგრამის მიზნობრიობა,</p>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
	<p>მოსალოდნელი შედეგები და შესრულების პროცესში მიღწეული პროგრესიდან გამომდინარე მათი მიღწევადობა ფასდებოდეს შესაბამისი ჩართული მხარეების მხრიდან. საქართველოს პარლამენტში ბიუჯეტის განხილვისას მსგავსი ხასიათის ინფორმაციის მოთხოვნა და მსჯელობა მის ირგვლვ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან შესაბამისი კომიტეტებთან აქტიური თანამშრომლობა დააჩქარებს პროგრამული ბიუჯეტის სრულყოფის პროცესს.</p>
<p>ჯანმრთელობის ხელშეწყობის პროგრამებისთვის, კერძოდ თამბაქოს კონტროლის და ნარკომანიის პრევენციის მიმართულებით გამოყოფილი თანხები არასაკმარისია, იმ ამოცანების გათვალისწინებით, რაც სახელმწიფოს აქვს დასახული ამ მიმართულებებით.</p>	<p>გათვალისწინებულია ნაწილობრივ - გადამუშავებულ ვარიანტში ჯანმრთელობის ხელშეწყობის პროგრამას დაემატა 800,0 ათასი ლარი და შეადგენს 1,1 მლნ ლარს.</p>
<p>სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის პროგრამას 35 02 03-დაემატოს შემდეგი ქვეპროგრამები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დამხმარე საშუალებების ქვეპროგრამის ფარგლებში, უსინათლო ადამიანებისთვის თვალის პროთეზის კომპონენტით უზრუნველყოფა;</li> <li>• სმენის არმქონე ადამიანებისთვის კოხრეალური იმპლანტის და სმენის აპარატების გარდა, დამხმარე საშუალების სახით შეძენილ იქნას ვიდეო ზარის მხარდამჭერის მქონე სმარტფონები, რაც მათთვის კომუნიკაციის და ინტეგრაციის საშუალება იქნება;</li> <li>• სავარძელ-ეტლების ქვეპროგრამაში მექანიკურ და ელექტროეტლებთან ერთად სასურველია აქტიური ტიპის ეტლების შეძენა, სპინალური დაზიანების მქონე ადამიანებისთვის.</li> </ul>	<p>სამინისტროს მიერ გათვალისწინებული იქნება გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.</p>
<p>ბავშვთა რეაბილიტაციის/აბილიტაციის ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 35 02 03 03, განმახორციელებელი: სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო) დაკავშირებით მიზანშეწონილია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ბენეფიციარების საჭიროებასა და მისთვის გაწეული მომსახურებით მიღწეულ შედეგებს განსაზღვრავდეს დამოუკიდებელი შეფასების</li> </ul>	<p>სამინისტროს მიერ გათვალისწინებული იქნება გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.</p>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>სისტემა, რომელიც შესაძლებელია განხილულ იქნეს შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის (სოციალური მოდელი) მინიჭების სისტემასთან ერთად;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მიზანშეწონილია ოკუპაციური თერაპიის განვითარების სახელმწიფო ხელშეწყობა, კერძოდ პროფესიონალი კადრების მომზადება/გადამზადება. სასურველია გაიზარდოს სერვისის მიმწოდებელთა რაოდენობა, რაც შეამცირებს მომლოდინეთა რიცხვს.</li> </ul>	
<p>მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 35 03 01, განმახორციელებელი: სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო):</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საჭიროა ჰოსპიტალური და გადაუდებელი სერვისების (სტაციონარი) გლობალური ბიუჯეტის ანაზღაურებაზე გადასვლა, რომელიც გაანგარიშებული იქნება დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფების (DRG) მეთოდის გამოყენებით რაც სამართლიანობის პრინციპის დაყრდნობის შესაძლებლობას იძლევა;</li> <li>• მიზანშეწონილია პრევენციული და პირველადი ჯანდაცვის სერვისების კაპიტაციური/ფიქსირებული დაფინანსებიდან, შედეგზე ორიენტირებულ დაფინანსებაზე გადასვლა. გარდამავალ პერიოდში შესაძლებელია შერეული მექანიზმის გამოყენება;</li> </ul>	<p>დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფების (DRG) მეთოდის დანერგვა საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესია და ამ მიმართულებით სამინისტროს დაწყებული აქვს მუშაობა. ასევე შესაძლებელია პირველადი ჯანდაცვის დაფინანსების მოდელის შეცვლა.</p> <p>მისასალმებელია კომიტეტის ჩართულობა აღნიშნული მიმართულებების დახვეწის პროცესში.</p>
<p>ტუბერკულოზის მართვა (პროგრამული კოდი 35 03 02 07, განმახორციელებელი: სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო; სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი):</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ნიშვნელოვანია გლობალ ფონდთან აღებული ვალდებულებების გათვალისწინება;</li> <li>• პროგრამა უნდა გამომდინარეობდეს ტუბერკულოზის კონტროლის 2016-2020 წლების ეროვნული სტრატეგიიდან.</li> </ul>	<p><b>გათვალისწინებულია</b></p>
<p>აივ ინფექცია/შიდსის მართვა (35 03 02 08, განმახორციელებელი: სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო; სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის</p>	<p><b>გათვალისწინებულია</b></p>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი):</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მნიშვნელოვანია გლობალ ფონდთან აღებული ვალდებულებების გათვალისწინება;</li> <li>• პროგრამა უნდა გამომდინარეობდეს აივ/შიდსის პრევენციისა და კონტროლის 2016-2018 წლების ეროვნული სტრატეგიიდან.</li> </ul>	
<p>დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა - 35 03 02 09, განმახორციელებელი: სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო; სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი):</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• უნდა განისაზღვროს შესაბამისი შუალედური შედეგები, ხოლო შეფასების ინდიკატორები უნდა იყოს გაზომვადი და დროში გაწერილი;</li> <li>• უნდა შემუშავდეს დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის მიმართულებით სტრატეგიული დოკუმენტი;</li> </ul>	<p>სამინისტრო გააგრძელებს კომიტეტთან აქტიურ თანამშრომლობას და შესაძლებელი იქნება შესაბამისი დოკუმენტების შემუშავება და დახვეწა.</p>
<p>ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობა 35 03 02 10 - ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია 9 მლნ 200 ათასი ლარი. ქვეყანაში არსებულ ნარკომომხმარებელთა ზრდის ტენდენციისა და დამწყებ მომხმარებელთა რაოდენობის შემცირების მიზნით, აუცილებელია ეფექტიანი მკურნალობა-რეაბილიტაცია და პირველადი პრევენციის დანერგვა, რომლისთვისაც ბიუჯეტის პროექტით წარმოდგენილი თანხა არასაკმარისია;</p>	<p>არსებული რესურსის ფარგლებში ამ ეტაპზე დამატებითი თანხების გამოყოფა ვერ მოხერხდა, თუმცა სამინისტროსთვის გამოყოფილი თანხების ფარგლებში წლის განმავლობაში წარმოქმნილი ეკონომიებით შესაძლებელია პროგრამის ნაწილობრივი ზრდა.</p>
<p>ჯანმრთელობის ხელშეწყობის პროგრამა 35 03 02 11 - ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია 300 ათასი ლარი, აქედან თამბაქოს მოხმარების კონტროლის გაძლიერებისათვის გათვალისწინებულია 140 000 ლარი. საზოგადოებაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისთვის და თამბაქოს მოხმარების მავნე ნივთიერებების თავიდან ასაცილებლად, ასევე საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად, ბიუჯეტის პროექტით წარმოდგენილი თანხა არ არის</p>	<p>გათვალისწინებულია - თამბაქოს კონტროლის ღონისძიებებისთვის დამატებით გამოიყო 800,0 ათასი ლარი.</p>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
საკმარისი	
<p>ფსიქიკური ჯანმრთელობა (პროგრამული კოდი 35 03 03 01, განმახორციელებელი: სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო):</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• შეფასების ინდიკატორები უნდა იყოს გაზომვადი და დროში გაწერილი;</li> <li>• პროგრამა თანხვედრაში უნდა მოვიდეს „ფსიქიკური ჯანმრთელობის</li> <li>• განვითარების სტრატეგიული განვითარების დოკუმენტთან და 2015-2020 წლის სამოქმედო გეგმასთან“, ასახული უნდა იყოს 2016-2018 წლების ვალდებულებები.</li> <li>• სასურველია ამბულატორიული და ქრონიკულ ავადმყოფებზე მიმართული კომპონენტების დაფინანსების გაზრდა</li> <li>• პირველადი ფსიქიატრიული დახმარების ინტეგრირება პირველად ჯანდაცვაში - ოჯახის ექიმთა რეალური მონაწილეობა ფსიქიკური პრობლემების გამოვლენაში, საჭიროების შემთხვევაში პაციენტის რეფერირება ფჯ სისტემაში და უკურეფერალის მიხედვით შემთხვევათა შემდგომი მართვა აუცილებელია ფსიქიკური ჯანმრთელობის მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად. მნიშვნელოვანია პირველადი ჯანდაცვის პერსონალის შესაძლებლობების გაძლერება, რათა დროულად, პირველადი ჯანდაცვის დონეზე მოხდეს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების პრევენცია, იდენტიფიცირება და პრობლემის მართვა. ეს საბოლოოდ აგვარიდებს მწვავე შემთხვევათა გარკვეულ რაოდენობას, რაც ფინანსურად დიდი ტვირთია ქვეყნისათვის. აგრეთვე ხანგრძლივ პერსპექტივაში გააიაფებს პროგრამის მომსახურებას, შეამცირებს რეჰოსპიტალიზაციას, ხოლო გამოთავისუფლებული რესურსი წარიმართება სხვა პრიორიტეტული სეგმენტის დასაფინანსებლად.</li> <li>• თემზე დაფუძნებული ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების</li> </ul>	<p>პროგრამის ბიუჯეტი 2017 წელს შედარებით გაზრდილია 30%-ზე მეტით. სამინისტრო გააგრძელებს კომიტეტთან აქტიურ თანამშრომლობას და ჯამურად გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში შესაძლებელი იქნება პროგრამის ეფექტურობის გაზრდა და მისი მონიტორინგისათვის შესაბამისი ინდიკატორების ჩამოყალიბება.</p>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>ძირითადი პრიორიტეტი მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე ადგილობრივ პირთა დახმარებაა. მრავალი კვლევებითა და სისტემური მიმოხილვებით, სადაც სტაციონარული და სათემო გუნდების მუშაობაა შედარებული, ნაჩვენებია, რომ მულტიდისციპლინურ სათემო გუნდების მომსახურებას აშკარა უპირატესობა აქვს: მათ შეუძლიათ გააუმჯობესონ პაციენტის ჩართულობა ფსიქიატრიულ სერვისებში, გაზარდონ მომხმარებლის კმაყოფილება, უკეთესად დააკმაყოფილონ მათი საჭიროებები და გააუმჯობესონ მკურნალობის რეჟიმის დაცვა. ამასთან, ზრუნვის უწყვეტობა და მომსახურების მოქნილობა ბევრად უკეთ არის უზრუნველყოფილი იქ, სადაც თემში მომუშავე ფსიქიკური ჯანმრთელობის გუნდის მოდელი არსებობს.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია, რომელიც მოიაზრებს პაციენტის, როგორც პიროვნების, აღდგენას და რაც გულისხმობს მოვლისა და მხარდაჭერის სამსახურების მრავალგოლიანი ქსელის განვითარებას, რომელიც ფსიქიკური პრობლემების მქონე პირებს საზოგადოებაში დამოუკიდებელი ცხოვრების ოპტიმალური დონის მიღწევაში შეუწყობს ხელს.</li> </ul>	
<p>სამედიცინო საქმიანობის რეგულირების პროგრამა-35 01 02 წინა წლებთან შედარებით პროგრამის ბიუჯეტი უმნიშვნელოდ არის გაზრდილი - 70 ათასი ლარით. მონიტორინგისა და კონტროლის სისტემის გაუმჯობესებისათვის, წარმოდგენილი ბიუჯეტი და ადმინისტრაციული რესურსი არასაკმარისია.</p>	<p>არსებული რესურსის ფარგლებში ამ ეტაპზე დამატებითი თანხების გამოყოფა ვერ მოხერხდა, თუმცა სამინისტროსთვის გამოყოფილი თანხების ფარგლებში წლის განმავლობაში წარმოქმნილი ეკონომიებით შესაძლებელია პროგრამის ნაწილობრივი ზრდა.</p>
<b>იურიდიული დეპარტამენტის დასკვნა</b>	
<p>„კარების (წიგნების) და თავების ნუმერაციისას გამოიყენება რომაული ციფრები, ხოლო მუხლების და პუნქტების ნუმერაციისას – არაბული ციფრები. ქვეპუნქტების თანამიმდევრობა ქართული ანბანის ასოებით აღინიშნება“, თუმცა კანონის პროექტის მე-14 მუხლის პუნქტების შემადგენლობაში შემავალი შინაარსობრივად ქვეპუნქტების შესატყვისი</p>	<p>წლიური ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის პროექტის მომზადების, წარდგენისა და დამტკიცების, ასევე კანონის დაზუსტების წესი განისაზღვრება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით და მნიშვნელოვნად განსხვავდება „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით და საქართველოს</p>



რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>ტექსტების თანმიმდევრობა აღნიშნულია არა ქართული ანბანის ასოებით, არამედ არაბული ციფრებით. ასევე თითოეულ მათგანს აქვს სათაური. მაგალითად მე-14 მუხლის პირველი პუნქტის სათაურია „1. ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა“ აღნიშნული პუნქტის ნუმერაცია შემდეგი სახითაა წარმოდგენილი: „1, 1.1, 1.1.1, 1.1.2“ და ასე შემდეგ. თითოეული მათგანი დასათაურებულია, მაშინ როდესაც „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად ნორმატიული აქტის პუნქტი და ქვეპუნქტი უსათაუროა.</p> <p><b>ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კანონის პროექტით გათვალისწინებული მე-14 მუხლი საჭიროებს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობაში მოყვანას.</b></p>	<p>კანონმდებლობით კანონპროექტებთან მიმართებაში არსებული რეგულაციების და პრაქტიკისაგან.</p> <p>მე-5 თავი მოიცავს მხოლოდ ერთი მუხლს და მასში მითითებული ნუმერაცია არ წარმოადგენს ამ მუხლის პუნქტებსა და ქვეპუნქტებს. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტი, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე საჭიროებს ბიუჯეტის გათვალისწინებული პროგრამებისა და ქვეპროგრამების კლასიფიცირებას ბიუჯეტით გათვალისწინებული პრიორიტეტების ფარგლებში და ამ მუხლში მითითებული ნუმერაცია შეესაბამება სწორედ თითოეული პრიორიტეტის ქვეშ სხვადასხვა მხარჯავი დაწესებულების პროგრამული კოდის ადგილს და შეესაბამება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანხმად წლიური ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ პროგრამულ კლასიფიკაციას.</p>
<p>1.1.4 ნუმერაციით გათვალისწინებული პროგრამა „სოციალური შეღავათები მაღალმთიან დასახლებებში (პროგრამული კოდი 35 02 04)“ წარმოდგენილი არ არის კანონის პროექტის მე-15 მუხლში, რომლითაც განისაზღვრება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით. აღსრულების პროცესში გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით მიზანშეწონილია, ამ ნორმების შესაბამისობაში მოყვანა;</p>	<p>გათვალისწინებულია, წარმოდგენდა ტექნიკურ ხარვეზს და გადამუშავებულ ვერსიაში მე-15 მუხლი ითვალისწინებს აღნიშნულ ქვეპროგრამას;</p>
<p>4.16 ნუმერაციით (პროგრამული კოდი 26 04) გათვალისწინებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა გადამზადება და სასწავლო ცენტრის განვითარება, რაც გულისხმობს საკონკურსო, საატესტაციო და საკვალიფიკაციო ტესტირებათა ორგანიზებას. აღსანიშნავია, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს ატესტაციას. ამდენად, ამ პროექტით გათვალისწინებული საატესტაციო ტესტირებათა ორგანიზება</p>	<p>გათვალისწინებულია</p>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>წინააღმდეგობაში მოვა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონთან. მიზანშეწონილია, ეს საკითხი განხილულ იქნეს დამატებით.</p>	
<p>„საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი და მისგან გამომდინარე კანონპროექტები და ამ კანონის პროექტის 21-ე და 22-ე მუხლებით გათვალისწინებული ნორმები მოყვანილი უნდა იქნეს შესაბამისობაში, კერძოდ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის პირველი მუხლით წესრიგდება საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურებისა და ადმინისტრაციული და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის განსაზღვრის საკითხები. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილი არ არის „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით იმ საკითხების დარეგულირება, რომლებიც უკვე გათვალისწინებულია სხვა კანონის პროექტით. გარდა ამისა, აღნიშნული კანონების პროექტების ნორმები ერთმანეთს არ შეესაბამებიან. კერძოდ, „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის 21-ე მუხლის მე-3-მე-9 პუნქტებითა და 22-ე მუხლით და „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მე-12, მე-15, 22-ე, 26-ე, 28-ე და 29-ე მუხლებით გათვალისწინებული ერთი და იგივე შინაარსის საკითხები განსხვავებულად რეგულირდება;</li> <li>• „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ კანონის პროექტის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით, მე-7 მუხლითა და 29-ე მუხლის მე-4 პუნქტით განისაზღვრა ის საკითხები, რომლებიც უნდა მოწესრიგდეს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ წლიური კანონით, კერძოდ, საბაზო თანამდებობრივი სარგოს ოდენობა, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული</li> </ul>	<p>გათვალისწინებულია, ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებული ვარიანტი ადგენს საბაზო ხელფასს და „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით გათვალისწინებულ სხვა დებულებებს;</p>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>საჯარო მოსამსახურეების რიცხოვნობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების წესი და არამუდმივი ამოცანების შესრულების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების ზღვრული ოდენობა. „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით აღნიშნული საკითხები სამართლებრივი რეგულირების მიღმა რჩება;</p> <p>„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედდებამდე ამ კანონის 21-ე მუხლის მე-3-მე-6 პუნქტებით და 22-ე მუხლებით გათვალისწინებული გამონაკლისი საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებას არ საჭიროებს. „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის 36-ე მუხლის თანახმად, კანონის ძირითადი დებულებების ამოქმედების ვადად განისაზღვრა 2018 წლის 1 იანვარი, ხოლო „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის 34-ე მუხლის მიხედვით, ეს კანონი ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვრიდან. აქედან გამომდინარე, ორივე კანონი ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვრიდან და აღსრულების პროცესში სამართლებრივ მნიშვნელობას დაკარგავს „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის დათქმა.</p>	
<p>„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ნორმა, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, კანონის გარდამავალი დებულებაა. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 პუნქტის მიხედვით ნორმატიული აქტი შეიძლება შეიცავდეს გარდამავალ დებულებებს, თუ განსაზღვრული ვადით დგინდება ძირითადისგან განსხვავებული ნორმები ან თუ ამ ნორმატიული აქტის სრულად</p>	<p>კანონპროექტის 22-ე და 23-ე მუხლები განსხვავებულად ჩამოყალიბდა და ითვალისწინებს „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით გათვალისწინებულ რეგულაციებს, თუმცა იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ზემოაღნიშნული კანონის პროექტზე საპარლამენტო განხილვება არ დასრულებულა, 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტი მოიცავს</p>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>ასამოქმედებლად გარკვეული პირობები და დროა საჭირო. ამდენად, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ნორმის ასახვა კანონის ძირითად ნაწილში სამართლებრივად და იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით მიზანშეუწონელია.</p>	<p>ალტერნატიული რეგულირების შესაძლებლობას ზემოაღნიშნული კანონპროექტის ამოქმედებამდე პერიოდისათვის;</p> <p>ამასთან „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი მტკიცდება მხოლოდ 1 წლიანი პერიოდისათვის და მე-8 თავის განსაზღვრული ყველა რეგულაცია თავისთავად შემოსაზღვრულია 1 წლიანი პერიოდით;</p>
<p>კანონის პროექტის 23-ე მუხლის მუხლის „ე“ ქვეპუნქტში არის ამგვარი მითითება: „ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას.“ იურიდიული ტექნიკიდან გამომდინარე, ეს მითითებითი ნორმა უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ამ მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას.“.</p>	<p>გათვალისწინებულია</p>
<p>კანონის პროექტის 32-ე მუხლის თანახმად, კანონის პროექტის მე-15 მუხლით საქართველოს საერთო სასამართლოებისათვის განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა არ ზღუდავს საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეების და მათთან დაკავშირებული თანამშრომლების (თანაშემწე, რეფერენტი და სხვა) დანიშვნას. მოცემულ ნორმასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პარლამენტში ინიცირებული „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის 29-ე მუხლით დადგენილია ადმინისტრაციული და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა რიცხოვნობის შეზღუდვასთან დაკავშირებული საკითხები, კერძოდ, დადგენილია ამგვარ დასაქმებულთა საერთო რაოდენობის ზედა ზღვრები. ამასთანავე, აღნიშნული კანონპროექტის პირველი მუხლის შესაბამისად, იგი ვრცელდება საერთო სასამართლოების თანამშრომლებზე (გარდა მოსამართლეებისა). შესაბამისად, „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე</p>	<p>„საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი ადგენს ზოგად ზღვრებს ზოგიერთი კატეგორიის დასაქმებულებთან მიმართებაში, ხოლო წლიური ბიუჯეტის კანონი კვლავაც დაარეგულირებს კონკრეტული საბიუჯეტო წლისათვის საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულთა ზედა ზღვარს, კანონმდებლობით დადგენილი ზღვრების ფარგლებში.</p>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>მუხლის მოქმედების ფარგლებში ვერ მოექცევიან საერთო სასამართლოების ის თანამშრომლები, რომლებიც წარმოადგენენ ადმინისტრაციული ან შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულებს.</p>	
<p>კანონის პროექტს აქვს ორი ერთი და იგივე შინაარსის ორი დასკვნითი დებულება. სამართლებრივი და იურიდიული ტექნიკიდან გამომდინარე ერთ-ერთი მათგანი ამოღებულ უნდა იქნეს.</p>	<p>კანონის მე-9 თავი ითვალისწინებს დასკვნით დებულებას, რომელიც მოიცავს მხოლოდ 34-ე მუხლს და განსაზღვრავს კანონის ამოქმედების ვადებს;</p>

ინფორმაცია საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ

საქართველოს მთავრობამ განიხილა საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციები. წარმოდგენილი რეკომენდაციების დიდ ნაწილს საქართველოს მთავრობა იზიარებს და წარმოადგენს საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სამოქმედო გეგმის ნაწილს. **გასათვალისწინებელია, რომ სახელმწიფო აუდიტის დასკვნაში მითითებული რეკომენდაციების დიდი ნაწილი ეყრდნობა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ 2017 წელს გამოქვეყნებულ „საქართველოს ფისკალური გამჭვირვალობის შეფასების“ <http://www.imf.org/en/publications/cr/issues/2017/09/27/georgia-fiscal-transparency-evaluation-45274> შედეგებს.** აღნიშნული შეფასება განხორციელდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მოთხოვნით და ჩართულობით. შეფასების დოკუმენტთან თანდართული სამოქმედო გეგმა წარმოადგენს საქართველოს მთავრობის სამოქმედო გეგმას, რომლითაც საქართველოს მთავრობა ადასტურებს მის განზრახვას განხორციელოს შემდგომი რეფორმები საჯარო ფინანსების მართვის სფეროში აღნიშნული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ვადებში. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნაში მითითებული რეკომენდაციების ნაწილი საქართველოს მთავრობის მიერ უკვე გაცხადებულად აღებული ვალდებულებათა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების ვადები მითითებულია საქართველოს ფისკალური გამჭვირვალობის შეფასების დოკუმენტზე თანდართული საქართველოს მთავრობის სამოქმედო გეგმით 2017-2020 წლებისათვის.

**გასათვალისწინებელია, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ, ფისკალური გამჭვირვალობის კოდექსის საფუძველზე მომზადებულ საქართველოს ფისკალური გამჭვირვალობის შეფასებაში, სამი ძირითადი მიმართულებით (ანგარიშგება, ფისკალური პროგნოზირება და ბიუჯეტირება, ფისკალური რისკების ანალიზი და მართვა) - შეფასდა 36 ინდიკატორი, საიდანაც 18 ინდიკატორი შეფასდა, როგორც საუკეთესო ან კარგი, (მათ შორის საშუალოვადიანი დაგეგმვა, საბიუჯეტო კანონმდებლობა, კვარტალური და წლიური ანგარიშების მომზადების სიხშირე, საბიუჯეტო კლასიფიკაცია, პროგრამული ბიუჯეტირება, მაკროეკონომიკური და ფისკალური რისკები და სხვა), 10 ინდიკატორი აკმაყოფილებს ძირითად მოთხოვნებს, ხოლო 8 ინდიკატორთან მიმართებაში არ არსებობს შესაბამისი პრაქტიკა, აღნიშნული 8 ინდიკატორიდან მხოლოდ 3 ინდიკატორს (ფისკალური წესები, მაკროეკონომიკური პროგნოზების ურთიერთშედარება, კერძო-საჯარო პარტნიორობიდან გამომდინარე ვალდებულებები) მიენიჭა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ მაღალი მნიშვნელობა და ყველა მათგანთან მიმართებაში სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს სათანადო ღონისძიებების გატარებას. ის ფაქტი, რომ ფისკალური გამჭვირვალობის ანგარიშში ინდიკატორთა ნახევარი აკმაყოფილებს საუკეთესო/კარგი პრაქტიკის მოთხოვნებს და მათი უმრავლესობა შეესაბამება ძირითად მოთხოვნებს წარმოადგენს საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის, მათ შორის 2014-2017 წლების სტრატეგიით გათვალისწინებული ღონისძიებების წარმატებულად განხორციელების შედეგს. (საჯარო ფინანსების მართვის რეფორმა საქართველოში და ევროკავშირის მიერ მისი დახმარება შეჯამდა მიმდინარე წელს შეაბამისი კონფერენციითა და პუბლიკაციით**

<http://mof.ge/images/File/biujeti/European Union Finish 14 09 2017.pdf>). საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადდა სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების თვითშეფასება (PEFA მეთოდოლოგიით). თვითშეფასების შედეგები მნიშვნელოვან გაუმჯობესებას აჩვენებს 2012 წლის იგივე დოკუმენტთან მიმართებაში. თვითშეფასების ანგარიში ვალიდაციისთვის გაეგზავნა მსოფლიო ბანკს და შედეგები საჯარო გახდება ვალიდაციის პროცესის დასრულების შემდგომ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმდინარეობს მუშაობა საჯარო ფინანსების მართვის 2018-2021 წლების სტრატეგიის დოკუმენტზე, რომელშიც აისახება რეფორმის შემდგომი ეტაპები ასევე, გათვალისწინებული იქნება შესაბამისი შეფასებები განხორციელებული კვლევების საფუძველზე გამოვლენილი შედეგები და მიღებული რეკომენდაციები.

კონკრეტულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით წარმოგიდგენთ ინფორმაციას თანდართულ ცხრილში:

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში (BDD) წარმოდგენილი ძირითადი საპროგნოზო მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, როგორებიცაა ეკონომიკური ზრდა, მშპ ერთ სულ მოსახლეზე, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი და ინფლაცია, საჭიროებს დამატებით განმარტებას გაანგარიშების საფუძვლებისა და ფისკალურ პარამეტრებზე მათი ზეგავლენის შესახებ. მსგავსი ტიპის ანალიზის არსებობა, მოგვცემს სარწმუნო სურათს არსებული და მოსალოდნელი ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს რეალისტური მოლოდინების ჩამოყალიბებას და აამაღლებს სამთავრობო გადაწყვეტილებების სანდოობის ხარისხს.</p>	<p>საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ახორციელებს მაკროეკონომიკური პარამეტრების პროგნოზირებას დანერგილი ეკონომეტრიკული მოდელის საშუალებით, რის საფუძველზეც ხდება ფისკალური აგრეგატების მოსალოდნელი მნიშვნელობების განსაზღვრა. აღნიშნული მოდელის სპეციფიკაციის გაცნობის საშუალება ეძლევა ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს. მოდელის ტექნიკური ხასიათიდან გამომდინარე, მათი თანდართვა სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტებზე შესაძლებელი არ არის.</p> <p>საერთაშორისო სავალუტო ფონდის „ფისკალური გამჭვირვალობის ანგარიში“ სამოქმედო გეგმის თანახმად ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტის წარმოდგენისას დოკუმენტს თან დაერთვება ინფორმაცია დაშვებებსა და პროგნოზებს შორის არსებული სხვაობის შესახებ .</p>
<p>რამდენადაც მაკროეკონომიკური ინდიკატორების საპროგნოზო მაჩვენებლების რეალისტურობას კრიტიკული გავლენა აქვს ფისკალურ პარამეტრებზე, მნიშვნელოვანია ბიუჯეტის კანონის პროექტი მოიცავდეს ინფორმაციას თუ რა გახდა აღნიშნული მაჩვენებლების დაკორექტირების მიზეზი და რა ზეგავლენა იქონია ამ მოვლენამ ფისკალურ პარამეტრებზე. ამ მიმართულებით არსებულ ხარვეზებზე ასევე ყურადღება იქნა გამახვილებული IMF-ის ანგარიშში „საქართველოს ფისკალური გამჭვირვალობის შეფასება“.</p>	<p>პროგნოზების კორექტირებისას მხედველობაში ვიღებთ, როგორც საქართველოში არსებულ მდგომარეობას და ტენდენციებს, ისე სავაჭრო პარტნიორების და მსოფლიოში არსებულ ვითარებას, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებს. მიმდინარეობს მუშაობა დოკუმენტზე, რომელიც აღწერს იმ ფაქტორებს, რომელთაც განაპირობებს მაკროეკონომიკური პროგნოზების ცვლილება და ფისკალურ პროგნოზებზე მათი გავლენის ხარისხს. აღნიშნული დოკუმენტი დაერთვება საბიუჯეტო დოკუმენტაციას საბოლოო ვარიანტის წარდგენის დროს, ფისკალური გამჭვირვალობის შეფასების საფუძველზე გაწერილი სამოქმედო გეგმის მიხედვით.</p>
<p>შეფასების ანგარიშში წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმის მიხედვით, 2018 წლის ბიუჯეტის კანონის პროექტზე თანდართული BDD უნდა მოიცავდეს დეტალურ ინფორმაციას და</p>	<p>მაკროეკონომიკური პროგნოზები მოცავს ეკონომიკის ყველა სექტორს, მათ შორის, ფისკალურ და მონეტარულ პროგნოზებს და ამ პროგნოზებს შორის ურთიერთკავშირებს. რაც შეეხება</p>



რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>განმარტებას მასში წარმოდგენილი მაკროეკონომიკური პროგნოზების საფუძვლებისა და როგორც ცვლადებს შორის, ასევე ფისკალურ პარამეტრებთან მიმართებაში არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირების შესახებ. თუმცა პროექტზე თანდართულ არცერთ დოკუმენტში მსგავსი ტიპის ანალიზი წარმოდგენილი არ არის.</p>	<p>მაკროეკონომიკური მოდელის აღწერას, რომლითაც ხდება პროგნოზების გაანგარიშება, მისი ტექნიკური ხასიათიდან გამომდინარე, ბიუჯეტის განმარტებითი ბარათში მისი აღწერა შეუძლებელია.</p> <p>საერთაშორისო სავალუტო ფონდის „ფისკალური გამჭვირვალობის ანგარიშის“ სამოქმედო გეგმის თანახმად ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტის წარმოდგენისას დოკუმენტს თან დაერთვება ინფორმაცია დაშვებებსა და პროგნოზებს შორის არსებული სხვაობის შესახებ .</p>
<p>მთავრობის საშუალოვადიან ჩარჩოში ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებაზე ნაერთი ბიუჯეტიდან მიიმართება 8%-ზე მეტი. თუმცა, არც აღნიშნული დოკუმენტით და არც სხვა ნორმატიული აქტით განსაზღვრული არ არის თუ რა შეიძლება ჩაითვალოს ინფრასტრუქტურული ხასიათის პროექტად და შესაბამისად, აღნიშნული მიმართულებით გაწეულ გადასახდელად. ამასთანავე, დოკუმენტი არ განმარტავს თუ რომელ პარამეტრთან მიმართებაში უნდა მოხდეს ზემოხსენებული მიზნობრივი მაჩვენებლის გაანგარიშება. ყოველიყო აღნიშნული კი ანგარიშგების ეტაპზე გაართულებს მიზნობრივი ნიშნულის შესრულების მონიტორინგის პროცესს. აუცილებელია კანონპროექტი მოიცავდეს დეტალურ განმარტებას აღნიშნული ინდიკატორის გაანგარიშების მეთოდოლოგიის შესახებ. ამასთან, გაცხადებული მიზნობრივი მაჩვენებლის რეალურობის უზრუნველსაყოფად, იგი შესაბამისობაში უნდა იყოს „ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების“ დოკუმენტში წარმოდგენილ საშუალოვადიან საპროგნოზო მაჩვენებლებთან.</p>	<p>საქართველოს მთავრობის მიერ დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები ხორციელდება, როგორც საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ისე სახელმწიფო საწარმოების მიერ (კაპიტალში შეტანის გზით), შესაბამისად, ბიუჯეტით გათვალისწინებული არაფინანსური აქტივებისა და ფინანსური აქტივების ზრდის ოპერაციებით ხდება ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.</p> <p>საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად მოძიებული სახსრები ასახულია „ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების“ დოკუმენტში.</p>
<p>საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საპროგნოზო მაჩვენებლები განსხვავდებიან კანონპროექტით წარმოდგენილი პროგნოზებისაგან. <b>ეკონომიკური ზრდის</b> მოსალოდნელი ოდენობა BDD-ის მიხედვით (გადამუშავებული ვარიანტი), 2018 წლისათვის 4.5%-ის დონეზეა</p>	<p>ფინანსთა სამინისტრო ახორციელებს დამოუკიდებელ პროგნოზებს, რისთვისაც იყენებს ეკონომეტრიკულ მოდელს. <b>ეკონომიკური ზრდის</b> განსხვავებული პროგნოზების არსებობა გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ სხვადასხვა ორგანიზაცია</p>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>განსაზღვრული და 0.5 პროცენტული პუნქტით აჭარბებს მსოფლიო ბანკის (4.0%) და 0.3 პროცენტული პუნქტით საერთაშორისო სავალუტო ფონდისა (IMF) (4.2%) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) (4.2%) პროგნოზებს. IMF-ის პროგნოზით, მიმდინარე წლის ბოლოს ინფლაციის ოდენობა 6.0%-ს გაუტოლდება და გადააჭარბებს მიზნობრივ მაჩვენებელს (4.0%). IMF-ის პროგნოზი 0.5 პროცენტული პუნქტით ჩამორჩება, ხოლო ADB-ის პროგნოზი 0.5 პროცენტული პუნქტით აჭარბებს BDD-ით განსაზღვრულს (3.5%). ამასთან, 2017 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი მნიშვნელოვნად, 2.0 პროცენტული პუნქტით ჩამორჩება IMF-ის, ხოლო 1.7 პროცენტული პუნქტით ADB-ის პროგნოზებს. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების 2017 წლის ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აჭარბებს BDD-ით განსაზღვრულს, თუმცა 2018 წლის შემთხვევაში, განსხვავება მცირეა.</p> <p>თუ გავითვალისწინებთ, რომ 9 თვის მონაცემებით, ინფლაციის წლიური მაჩვენებელი 6.2%-ს შეადგენს, ხოლო წლის ბოლო პერიოდი ხასიათდება ინფლაციური პროცესების გააქტიურებით, მოსალოდნელია 2017 წლის ინფლაციის წლიური მაჩვენებლის გადაცდომა ეროვნული ბანკის მიზნობრივ მაჩვენებელზე (4.0%). აქედან გამომდინარე, სასურველია კანონპროექტი შეიცავდეს დამატებით განმარტებას 2018 წლის ინფლაციური პროცესების შესახებ.</p>	<p>ხელმძღვანელობს განსხვავებული მეთოდებით. აქვე უნდა ითქვას, რომ როგორც რეკომენდაციაშია აღნიშნული, საერთაშორისო ორგანიზაციების პროგნოზებიც განსხვავდება ერთმანეთისაგან იგივე მიზეზის გამო. იქიდან გამომდინარე, რომ პროგნოზებს ცდომილების გარკვეული ალბათობა ახასიათებს, შესაძლებელია რომელიმე წელს ფაქტობრივ მაჩვენებელთან უფრო ახლოს აღმოჩნდეს კონკრეტული ორგანიზაციის პროგნოზი, მაშინ როდესაც სხვა პერიოდში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გეგმური მაჩვენებელი უფრო მეტი სიზუსტით ხასიათდებოდა.</p> <p>გასათვალისწინებელია, რომ თავად საერთაშორისო ინსტიტუტებიც გარკვეული პერიოდულობით ცვლიან თავიანთ პროგნოზებს. მაგალითისათვის საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ აპრილში გამოქვეყნებული მიმოხილვის თანახმად საქართველოს ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 2017 წლისათვის 3.5%-ით იყო განსაზღვრული, ხოლო 2018 წელს 4.0%-ით.</p> <p><a href="http://www.imf.org/en/Publications/WEO/Issues/2017/04/04/world-economic-outlook-april-2017">http://www.imf.org/en/Publications/WEO/Issues/2017/04/04/world-economic-outlook-april-2017</a>), მიმდინარე წლის ოქტომბერში გამოქვეყნებული ახალი რეპორტის თანახმად კი 2017 წელს გაზრდილია 4%-მდე, ხოლო 2018 წელს 4.2%-მდე. ასევე გასათვალისწინებელია, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის შემფასებელ მისიასთან, რომელიც არსებული პროგრამის შესრულებას ამოწმებს განხილული იქნა 2017 და 2018 წლების მაკროეკონომიკური ჩარჩო და ფონდისა და საქართველოს მთავრობის პროგნოზები მეტად დაუხლოვდა ერთმანეთს.</p> <p><a href="https://www.imf.org/en/Publications/WEO/Issues/2017/09/19/world-economic-outlook-october-2017">https://www.imf.org/en/Publications/WEO/Issues/2017/09/19/world-economic-outlook-october-2017</a></p>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
	<p>რაც შეეხება ინფლაციის მაჩვენებელს, განახლებული მაკროეკონომიკური პროგნოზების მიხედვით მომდევნო წელს ინფლაციის მაჩვენებელი 2018 წლის ბოლოსთვის შეადგენს 3,0%-ს, რაც შესაბამისობაშია ეროვნული ბანკის მიზნობრივ მაჩვენებელთან. აღნიშნული მაჩვენებელი ასევე თანხმედრაშია საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზთანაც (ფონდის პროგნოზი 2,8%-ს შეადგენს), რომელიც ეფუძნება არამხოლოდ საქართველოში არსებულ ტენდენციებს, არამედ საერთაშორისო ბაზარზე ფასების ცვლილების პროგნოზებს.</p> <p>აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს მიზნობრივ ინფლაციასთან შედარებით მაღალი მაჩვენებელი გამოწვეულია ერთჯერადი ეფექტებით (საიმპორტო პროდუქციის ფასების ზრდით და აქციზის განაკვეთების ცვლილებით), რაც მომდევნო წლის ინფლაციის მაჩვენებელზე ვეღარ იმოქმედებს.</p>
<p>IMF-ის საპროგნოზო მაჩვენებლებისგან მნიშვნელოვანი განსხვავებაა <b>ექსპორტ-იმპორტთან</b> მიმართებაშიც. კერძოდ, კანონპროექტით განსაზღვრული ექსპორტის მოსალოდნელი ზრდა 9.3%-ს შეადგენს და 2.7 პროცენტული პუნქტით აჭარბებს IMF-ის პროგნოზს. იმპორტის</p>	<p>ფინანსთა სამინისტრო ახორციელებს დამოუკიდებელ პროგნოზებს, რისთვისაც იყენებს ეკონომეტრიკულ მოდელს. ექსპორტ-იმპორტის განსხვავებული პროგნოზები არსებობა გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ სხვადასხვა ორგანიზაცია</p>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>შემთხვევაში ანალოგიური სხვაობა 1.2 პროცენტული პუნქტია. საშუალოვადიან პერიოდში აღნიშნული განსხვავება კიდევ უფრო იზრდება. ალტერნატიული პროგნოზებიდან მსგავსი მასშტაბის გადახრების გათვალისწინებით, სასურველია, კანონპროექტი მოიცავდეს დამატებით განმარტებას ექსპორტ-იმპორტის საპროგნოზო მაჩვენებლების შესახებ.</p>	<p>ხელმძღვანელობს განსხვავებული მეთოდებით. იმის გამო, რომ პროგნოზებს ცდომილების გარკვეული ალბათობა ახასიათებს, შესაძლებელია რომელიმე წელს ფაქტობრივ მაჩვენებელთან უფრო ახლოს აღმოჩნდეს კონკრეტული ორგანიზაციის პროგნოზი, მაშინ როდესაც სხვა პერიოდში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გეგმური მაჩვენებელი უფრო მეტი სიზუსტით ხასიათდებოდა.</p>
<p>კანონპროექტში არ არის წარმოდგენილი განმარტებები პროგნოზირებული ფისკალური მაჩვენებლების „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ ორგანული კანონით დადგენილ ლიმიტებთან შესაბამისობის შესახებ (გადასახდელების წესი - 30.0% (მშპ-სთან), ბიუჯეტის ბალანსის წესი (ბიუჯეტის დეფიციტი) - 3.0% (მშპ-სთან), ვალის წესი - 60.0% (მშპ-სთან)). ფისკალური ინფორმაცია არასრულყოფილადაა წარმოდგენილი ბიუჯეტის შესრულების ანგარიშშიც.</p> <p>ორგანული კანონის მიხედვით, თუ საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი არ შეესაბამება ზღვრულ მაჩვენებლებს, საქართველოს მთავრობა ვალდებულია შეიმუშაოს და საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგინოს შემდგომი ორი წლის ბიუჯეტების პარამეტრები, რომლებიც უნდა ითვალისწინებდეს მოცემულ პერიოდში ამ დადგენილ ზღვრებში დაბრუნების გეგმას. ამასთან, ორგანული კანონის მიხედვით, საქართველოს პარლამენტის მიერ აღნიშნული ზღვრების შეუსაბამო ბიუჯეტის დამტკიცება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარე წლის ბიუჯეტი ამ ზღვრის/ზღვრების შესაბამისი იყო, გარდა საგანგებო ან საომარი მდგომარეობისა ან/და ეკონომიკური რეცესიისა. თუმცა, <b>კანონმდებლობა არ განსაზღვრავს, თუ რა ტიპის ღონისძიებები უნდა გატარდეს მთავრობის მხრიდან ფისკალური წლის ბოლოს ზემოხსენებული ზღვრების დარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში და როგორი უნდა იყოს შემდგომი პერიოდის ფისკალური პოლიტიკა.</b> კანონმდებლობა განიხილავს მხოლოდ მომავალი</p>	<p>ფისკალური წესებით გათვალისწინებულ პარამეტრებზე ინფორმაცია წარმოდგენილია „მირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების“ დოკუმენტში და საბიუჯეტო დოკუმენტაცია მოიცავს ყველა იმ ინფორმაციას, რომლის საჯაროობაც საქართველოს კანონმდებლობით არის განსაზღვრული.</p> <p>ამასთან, საჯარო ფინანსების მართვის პროცესში ფისკალური წესების უკეთესი ინტეგრირების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მოთხოვნილ იქნა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკური დახმარება. მისიამ შეისწავლა საქართველოს კანონმდებლობა ამ მიმართულებით და ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა საბოლოო ანგარიშსა და რეკომენდაციებზე.</p> <p>მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, ფისკალური გამჭვირვალობის შეფასების შემდეგ შემუშავებული 2017-2020 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ვადებში განხორციელდება ფისკალური წესების მიხედვით დაგეგმვისა და შესრულების ანგარიშგების მიმართულებით სათანადო ცვლილებები, განიმარტება პარამეტრების ვერ შესრულების შემთხვევაში შემდგომი ქმედებები, მათ შორის მიმდინარეობს მუშაობა საბიუჯეტო დოკუმენტაციაში აღნიშნული ინფორმაციის უფრო</p>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>წლის ბიუჯეტის კანონის პროექტის გეგმური პარამეტრების შესაბამისობას დადგენილ ლიმიტებთან, რაც თითქმის ყოველთვის აკმაყოფილებს ზემოხსენებულ ზღვრებს.</p> <p>2014-2016 წლების განმავლობაში ადგილი ჰქონდა გადასახდელების წესის ზღვრული მაჩვენებლიდან გადაცდომას და იგი ზრდადი ტენდენციით ხასიათდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ 2015-2016 წლებში პარამეტრის გეგმური მაჩვენებლები დასაშვები ნორმის ფარგლებში იყო დაგეგმილი (2015 წელს 29.8%; 2016 წელს 30.0%). ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებში წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია არც აღნიშნული ფაქტების გამომწვევი მიზეზებისა და მაჩვენებლის ზღვრული ნორმის ფარგლებში დაბრუნებისათვის გასატარებელი შესაბამისი ღონისძიებებისა ან/და პოლიტიკის და არც თვითონ პარამეტრის ფაქტიური ოდენობის შესახებ. აღნიშნული საკითხი ხაზგასმულ იქნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებაში. 2017 წელს, ნაერთი ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამური ოდენობის ფარდობა მშპ-სთან 29.9%-ის დონეზეა განსაზღვრული, თუმცა 6 თვის მონაცემებით 32.4%-ს უტოლდება და აჭარბებს კანონმდებლობით დაწესებულ ზღვრულ ნიშნულს.</p> <p>თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული გეგმის გარდა ადგილი აქვს წლის განმავლობაში მობილიზებული სხვა დამატებითი რესურსების (მიზნობრივი გრანტებისა და პირდაპირი საინვესტიციო ჩარიცხვების ფარგლებში) ფაქტობრივ ხარჯვას, რაც 2014-2016 წლების განმავლობაში საშუალოდ მშპ-ის 0.5%-ს შეადგენდა, ამასთან, იმ ფაქტსაც, რომ პარამეტრის მოცემულ ოდენობას (29.9%) მოქნილობის სივრცე ფაქტიურად არ გააჩნია (ზღვრულ ოდენობას ჩამორჩება მხოლოდ 0.1%-ით), მნიშვნელოვნად იზრდება ორგანული კანონით დადგენილი ლიმიტის დარღვევის რისკი. გარდა ზემოაღნიშნულისა, გასული წლების პრაქტიკიდან გამომდინარე, წლის განმავლობაში ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების მუხლების</p>	<p>სრულყოფილად წარმოდგენის მიმართულებით.</p>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>ოდენობა ასევე იზრდება, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვის „ვალდებულებების კლების“ მუხლიდან ასიგნებების გადანაწილების ხარჯზე. მაგალითად, ამ წყაროდან 2016 წლის განმავლობაში ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ჯამური ოდენობა 47 მლნ ლარით გაიზარდა (2016 წლის მშპ-ის 0.14%-ით).</p> <p>საყურადღებოა, რომ ფისკალური წესების მოსალოდნელი მაჩვენებლების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ბიუჯეტის კანონის პროექტის სხვადასხვა დოკუმენტებში, თუმცა, არცერთი დოკუმენტი არ მოიცავს განმარტებებს, რამდენად შესაბამისობაშია პროგნოზირებული მაჩვენებლები ორგანული კანონით განსაზღვრულ ლიმიტებთან და გასული წლების განმავლობაში რამ გამოიწვია ზღვრული მაჩვენებლების დარღვევა.</p>	
<p>მნიშვნელოვანია, ბიუჯეტის კანონის პროექტის შემდგომი წარდგენა მოიცავდეს განმარტებას თუ რა პარამეტრები განაპირობებენ განსხვავებას ბიუჯეტის დეფიციტის პროექტში წარმოდგენილ მაჩვენებლებს შორის. კერძოდ, 2018 წლის ბიუჯეტის დეფიციტის საპროგნოზო მაჩვენებელი 2001 წლის GFSM (Government Finance Statistics Manual) მეთოდოლოგიით 1.6%-ს, IMF-თან შეთანხმებული მეთოდოლოგიით 3.3%-ს, ხოლო „ფისკალური სექტორის მაკროეკონომიკური რისკების ანალიზის“ დოკუმენტში წარმოდგენილი ბიუჯეტის დეფიციტის კიდევ ერთი პარამეტრის მიხედვით 3.7% შეადგენს, რომელიც თავის მხრივ, არ მოიცავს განმარტებას თუ რა მეთოდოლოგიის საფუძველზეა გაანგარიშებული. 2017 წლის ანალოგიური მაჩვენებლები GFSM 2001-ით 0.2%-ს, ხოლო IMF-თან შეთანხმებული მეთოდოლოგიით 4.1%-ს შეადგენს.</p>	<p>ბიუჯეტის დეფიციტი განმარტებულია საქართველოს კანონით „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ და განისაზღვრება საერთაშორისო სავალუტო ფონდის GFSM 2001 კლასიფიკაციით. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ სავალუტო ფონდთან არსებული პროგრამების ფარგლებში (წინა წლებში) ტექნიკური მემორანდუმი ითვალისწინებდა GFSM 1986 კლასიფიკაციის მიხედვით დეფიციტის დათვლას, GFSM 1986 კლასიფიკაციას სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო და სარეიტინგო კომპანიები დღემდე იყენებენ და შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროც 2017 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ხელმოწერილი პროგრამის ფარგლებში პირველად მოხდა შეთანხმება GFSM 1986 კლასიფიკაციის GFSM 2001 კლასიფიკაციით შეცვლის თაობაზე. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ხშირ შემთხვევაში სახელმწიფო საწარმოების მიერ ხორციელდება და ფინანსური აქტივებით ოპერაციებს მნიშვნელოვანი წილი</p>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
	<p>უჭირავს ახალი პროგრამის თანახმად გამოიყენებს მოდიფიცირებულ დეფიციტს, GFSM 2001 კლასიფიკაციით, რომელიც დეფიციტის გამოთვლის მიზნებისათვის მთლიან სალდოსთან ერთად ითვალისწინებს ფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან წმინდა ზრდას (აღნიშნული ახსნილია პროგრამის TMU-ში და დოკუმენტი საჯაროა <a href="http://www.imf.org/~media/files/publications/cr/2017/cr1797.ashx">http://www.imf.org/~media/files/publications/cr/2017/cr1797.ashx</a> ) დოკუმენტში ასევე მოცემულია დამატებითი ინფორმაცია, რომელიც ანალიტიკური ხასიათისაა და განკუთვნილია IMF-ისთვის წარსადგენად. რეკომენდაცია მეთოდოლოგიის დაზუსტების თაობაზე გათვალისწინებული იქნება.</p>
<p>საერთაშორისო სავალუტო ფონდთან არსებული პროგრამის ფარგლებში ფისკალური ჩარჩოს ინდიკატორად გამოიყენება მოდიფიცირებული დეფიციტი (GFSM 1986-ის ბაზაზე გაანგარიშებული), რომელიც წარმოდგენილი კანონპროექტის შემთხვევაში 3.3%-ს უტოლდება და აჭარბებს ბიუჯეტის ბალანსის წესის ზღვრულ ლიმიტს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ კანონპროექტზე თანდართულ „ფისკალური სექტორის მაკროეკონომიკური რისკების ანალიზის“ დოკუმენტში ასევე წარმოდგენილია ბიუჯეტის დეფიციტის კიდევ ერთი პარამეტრი, რომელიც 3.7%-ს შეადგენს, თუმცა დოკუმენტი არ შეიცავს განმარტებას, თუ რომელი მეთოდოლოგიის მიხედვითაა გაანგარიშებული აღნიშნული მონაცემი და რა განაპირობებს განსხვავებას დეფიციტის წარმოდგენილ მაჩვენებლებს შორის. მნიშვნელოვანია, ბიუჯეტის კანონის პროექტის შემდგომი წარდგენა მკაფიოდ განმარტავდეს დოკუმენტებში ასახული მონაცემების გაანგარიშების მეთოდოლოგიას და მათ შორის განსხვავებას.</p>	<p>2017 წელს ხელმოწერილი პროგრამის თანახმად მოდიფიცირებული დეფიციტი ითვლება GFSM 2001 კლასიფიკაციის ბაზაზე და ემატება ფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან წმინდა ზრდა. „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული 3.0%-იანი დეფიციტი ეხება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ დეფიციტს, რომელიც GFSM 2001 კლასიფიკაციით ითვლება და შეადგენს 1.6%-ს, შესაბამისად სრულ შესაბამისობაშია კანონმდებლობით დადგენილი დეფიციტის წესის ზღვრულ მაჩვენებელთან. გადამუშავებული ვარიანტის მიხედვით მთლიანი სალდო ანუ ჩვენი კანონმდებლობით განსაზღვრული დეფიციტის მოცულობა შეადგენს მშპ-ს 1,4%-ს, ხოლო IMF-თან შეთანხმებული მეთოდოლოგიის მიხედვით დეფიციტის მოცულობა განსაზღვრულია მშპ-ს 3%-ის ოდენობით.</p>
<p>საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) მისიის მიერ მომზადებულ იქნა რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმა, რომელიც ამ მიმართულებით ითვალისწინებს 2018 წლის ბიუჯეტის კანონის პროექტის</p>	<p>ცენტრალური ბიუჯეტის გადასახდელების შესახებ ინფორმაცია წარედგინა პარლამენტს, ასევე განთავსებულია ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე <a href="http://mof.ge/images/File/biujetis-">http://mof.ge/images/File/biujetis-</a></p>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>პაკეტში სახელმწიფო ბიუჯეტისა და სსიპ-ების შესახებ კონსოლიდირებული ინფორმაციის შესახებ ანგარიშის არსებობას. თუმცა ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული 2018 წლის ბიუჯეტის კანონის პროექტი ასეთ დოკუმენტს არ შეიცავს, მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტისთვის გაგზავნილი პაკეტი აღნიშნულ დანართს მოიცავდა.</p>	<p><a href="http://kanoni2017/damtkicebuli/centraluri-28-09-2017.pdf">kanoni2017/damtkicebuli/centraluri-28-09-2017.pdf</a> აღნიშნული დანართი წინა წლებშიც მზადდებოდა. ფისკალური გამჭვირვალობის ანგარიშით გათვალისწინებულ ვალდებულებასთან მიმართებაში, 2018 წლის ბიუჯეტის პროექტის მე-3 წარმოდგენისას, ასევე, გათვალისწინებული იქნება ცენტრალური ბიუჯეტის კონსოლიდირებული ბალანსი.</p>
<p>საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) მიხედვით, ფისკალური მდგრადობის ანალიზის პროცესში მიზანშეწონილია ისეთი ანალიტიკური ფისკალური ინდიკატორების გაანგარიშება, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია ფისკალურ მდგომარეობაზე მოქმედი კონტროლირებადი და არაკონტროლირებადი ფაქტორების გავლენის ინდივიდუალურად შეფასება. კერძოდ, გარდა ბიუჯეტის ბალანსის დათვლისა, მიზანშეწონილია სტრუქტურული ბალანსისა და ციკლზე მორგებული ბალანსის გაანგარიშება. აღნიშნული ბალანსების შემუშავება და მონიტორინგი სახელმწიფო ვალის მაჩვენებლის მშპ-სთან მდგრადობის შენარჩუნებას ემსახურება. ბიუჯეტის კანონის პროექტი არ მოიცავს საკმარის ინფორმაციას სტრუქტურული და ციკლზე მორგებული დეფიციტის შესახებ, რომელთა შემუშავება და მონიტორინგი სახელმწიფო ვალის მაჩვენებლის მშპ-სთან მდგრადობის შენარჩუნებას ემსახურება. IMF-ის პროგნოზით, 2018 წლისათვის საქართველოს წინა ბიუჯეტის ციკლზე მორგებული ბალანსი (დეფიციტი) -2.4%-ს, ხოლო სტრუქტურული ბალანსი (დეფიციტი) -2.7%-ს გაუტოლდება. მიზანშეწონილია, ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვისა და შემდგომში ანგარიშგებისათვის გამოყენებულ იქნეს საერთაშორისო პრაქტიკით აპრობირებული ფისკალური ინდიკატორები. მათი საშუალებით შესაძლებელია პოლიტიკის დანერგვის მონიტორინგის პროცესის გაუმჯობესება და უარყოფითი ეფექტებისა თუ დადგენილი პოლიტიკიდან გადახვევების დროული იდენტიფიცირება. ამასთან,</p>	<p>საქართველოს კანონმდებლობა არ მოითხოვს მსგავსი ტიპის ანალიტიკური მაჩვენებლების წარმოდგენას და ბიუჯეტის კანონის პროექტი შედგენილია კანონმდებლობის დაცვით. ამასთან აღსანიშნავია, რომ სტრუქტურული ბალანსის შეფასება რეგულარულად ხორციელდება ანალიტიკური მიზნებისთვის. თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ეკონომიკა მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებების პროცესშია, ამ ფისკალური ინდიკატორის კომუნიკაცია არ არის მიზანშეწონილი. სტრუქტურული ბალანსის გაანგარიშება შეფასებით ხასიათს ატარებს. როგორც წესი, განვითარებად ეკონომიკაში, სადაც საშუალო ციკლი და მიმდინარე ეკონომიკური ციკლი მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან მაღალია სტრუქტურული დეფიციტის შეფასების მნიშვნელოვანი და ხშირი კორექტირების ალბათობა. ეს თავის მხრივ ართულებს მისი მონიტორინგის პროცესს დაინტერესებული მხარეების მიერ და გაურკვევლობის საფუძველს იძლევა.</p>



რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>დამატებითი ინდიკატორების არსებობა ხელს შეუწყობს პარლამენტსა თუ სხვა დაინტერესებულ მხარეებს, განახორციელონ მიმდინარე ფისკალური პროცესების მუდმივი მონიტორინგი და გაზარდონ მთავრობის ანგარიშვალდებულების ხარისხი.</p>	
<p>გასული წლის მსგავსად, მაკროეკონომიკური და ფისკალური რისკების დოკუმენტში ვაჭრობის გაფართოება ერთ-ერთ ძირითად პოზიტიურ ფაქტორად სახელდება. თუმცა, IMF-ის მიხედვით, დიდი ზომის გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ზრდის ტემპის შემცირებით გამოწვეული ერთობლივი მოთხოვნის კლება ნეგატიურად შესაძლებელია აისახოს საქართველოს სავაჭრო პარტნიორებზეც. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია დოკუმენტში იქნეს წარმოდგენილი დამატებითი დასაბუთება ვაჭრობის მიმართულებით არსებული პოტენციური ფაქტორებისა და ქვეყნის ფისკალურ მდგომარეობაზე მათი შესაძლო გავლენის შესახებ.</p>	<p>ვაჭრობის გაფართოება ნამდვილად წარმოადგენს ექსპორტის ზრდის საშუალებას, რის გამოც შეიძლება ჩაითვალოს როგორც დადებითი ფაქტორი. ევროკავშირსა და სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში ეკონომიკური ვითარების დასტაბილურების ფონზე, მოსალოდნელია ვაჭრობის გაფართოება, როგორც ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან, ასევე ევროკავშირთან. დოკუმენტში საუბარია ვაჭრობის გაფართოების შესაძლო გავლენაზე მისი არსებობის შემთხვევაში.</p>
<p>მაკროეკონომიკური და ფისკალური რისკების დოკუმენტი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდას განიხილავს დადებით ფაქტორად, თუმცა, ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით, 2017 წლის 6 თვისათვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 5.5%-ით შემცირდა გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია დოკუმენტი მოიცავდეს დამატებით ინფორმაციას 2018 წლის განმავლობაში მოსალოდნელი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საპროგნოზო მაჩვენებლის ან ამ მიმართულებით მისაღები მსხვილი ინვესტიციების შესახებ.</p>	<p>პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა ნამდვილად წარმოადგენს ეკონომიკის სტიმულირების საშუალებას, რის გამოც შეიძლება ჩაითვალოს როგორც დადებითი ფაქტორი. რაც შეეხება, ინვესტიციების ზრდას, ამ შემთხვევაში, შეიძლება დაფიქსირდეს ან არ დაფიქსირდეს მისი არსებობა. დოკუმენტში საუბარია მის შესაძლო გავლენაზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდის დაფიქსირების შემთხვევაში.</p>
<p>საყურადღებოა, რომ მაკროეკონომიკური და ფისკალური რისკების დოკუმენტისა და IMF-ის პოზიცია ნავთობის მსოფლიო ტენდენციების გავლენის შესახებ არ არის თანხვედრაში. კერძოდ, დოკუმენტის მიხედვით, ნავთობის მსოფლიო მოსალოდნელი ტენდენციები პოტენციური პოზიტიური ფაქტორია და დადებითად აისახება ერთობლივ მიწოდებაზე. აქედან გამომდინარე, სასურველია დოკუმენტი მოიცავდეს</p>	<p>როგორც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, ამ შემთხვევაშიც, ნავთობის ფასის შემცირება წარმოადგენს საქართველოს მსგავსი ქვეყნის (რომელიც ახორციელებს ნავთობის იმპორტს) ეკონომიკისათვის დადებითი მიწოდების შოკს. რაც შეეხება, ნავთობის ფასის შემცირებას, ამ შემთხვევაში, შეიძლება დაფიქსირდეს ან არ დაფიქსირდეს</p>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>არგუმენტირებულ ანალიზს აღნიშნული დადებითი ეფექტის შესახებ.</p>	<p>მისი არსებობა. დოკუმენტში საუბარია მის შესაძლო გავლენაზე ნავთობის ფასის შესაძლო შემცირების შემთხვევაში.</p>
<p>ფისკალური რისკების ანალიზისა და მართვის მიზნით მომზადებულ დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია საჭიროებს შემდგომ სრულყოფას. 2017 წლისგან განსხვავებით, 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტზე თანდართული მაკროეკონომიკური და ფისკალური რისკების დოკუმენტი არ მოიცავს სახელმწიფო საწარმოებთან (PPP) და გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებებთან (PPA) დაკავშირებული ფისკალური რისკების ანალიზს. სახელმწიფო საწარმოების ვალდებულებების ფისკალური წნეხის სრულყოფილად შესაფასებლად და მაღალ-რისკიანი სახელმწიფო საწარმოების ფისკალური რისკების მატერიალიზების მაღალი ალბათობიდან გამომდინარე, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ რომ მსგავსი ტიპის პრეცედენტს უკვე ჰქონდა ადგილი (შპს „მექანიზატორი“), სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მიზანშეწონილია, ფინანსთა სამინისტრომ მოამზადოს სახელმწიფო საწარმოების ანალიზი ბიუჯეტის კანონის პროექტის შემდგომი წარდგენისათვის.</p>	<p>საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახელმწიფო საწარმოებიდან გამომდინარე ფისკალური რისკების შესწავლის მიზნით, უპირველეს ყოვლისა, ხდება ფისკალური რისკისთვის მნიშვნელოვან საწარმოთა ბაზის შექმნა რისთვისაც მზადდება სახელმწიფო საწარმოების ერთიანი რეესტრი. ანალიზისთვის მნიშვნელოვანი სახელმწიფო საწარმოების შერჩევა ხდება ინდივიდუალურად, გარკვეული კრიტერიუმების (ფინანსური მაჩვენებლების) გათვალისწინებით.</p> <p>2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის თანდართული მაკროეკონომიკური და ფისკალური რისკების დოკუმენტი არ მოიცავდა შპს „მექანიზატორის“ ფინანსური საქმიანობის ანალიზს, რადგან ვერ მოხვდა შერჩეულთა სიაში. აღსანიშნავია, რომ შპს „მექანიზატორისთვის“ თანხის გამოყოფა არ იყო გამოწვეული რომელიმე რისკის რეალიზაციით. 2011 წელს, როდესაც მირებულ იქნა გადაწყვეტილება აღნიშნული საწარმოს მიერ სესხის აღებაზე, ყველასტვის ცნობილი იყო, რომ მისი გასტუმრება ბიუჯეტიდან უნდა მომხდარიყო, ვინაიდან აღნიშნული საწარმოს შემოსავლები მცირე იყო და მიდი ფუნქციონირება ძირითადად ბიუჯეტიდან სუბსიდიის ხარჯზე ხორციელდებოდა.</p> <p>მიმდინარე ეტაპზე გრძელდება ფისკალური რისკების ანალიზისთვის მნიშვნელოვან საწარმოთა ფინანსური მაჩვენებლების შეფასება, კონკრეტულ საწარმოთა ფინანსური მდგრადობისა და პოტენციური ფისკალური რისკების გამოვლენის მიზნით.</p> <p>ამ ეტაპზე მიმდინარეობს სახელმწიფო საწარმოთა ანალიზი და</p>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
	<p>თუ შპს „მექანიზატორი“ დააკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმებს და მოხვდება შერჩეულ საწარმოთა სიაში, მისი ფინანსური მაჩვენებლები, სხვა საწარმოებთან ერთად, აისახება 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის თანდართულ მაკროეკონომიკური და ფისკალური რისკების დოკუმენტში ბიუჯეტის პროექტის ბოლო წარდგენაზე იქიდან გამომდინარე, რომ ზემოაღნიშნული ინფორმაცია დამუშავებისა და ანალიზის პროცესშია.</p>
<p>ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებული მაკროეკონომიკური და ფისკალური რისკების დოკუმენტი არცერთ წელს არ მოიცავდა PPP პროექტებიდან მოსალოდნელი რისკების შეფასებას. შესაბამისად, IMF-ის შეფასებით, საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების კომპონენტში საქართველოს ფისკალური რისკების ანალიზი ვერ აკმაყოფილებს ფისკალური გამჭვირვალობის კოდექსის პრინციპებს.</p>	<p>დაწყებულია მუშაობა საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტებიდან მოსალოდნელი რისკების შესახებ ინფორმაციის შეგროვების, აღრიცხვისა და ანალიზის მიზნით. კანონი „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ არ არსებობდა, ამ ეტაპზე პროექტი წარდგენილია პარლამენტში და ძალაში შედის 2018 წლიდან. კანონპროექტის მიხედვით, საერთაშორისოდ აღიარებული კრიტერიუმების და მოთხოვნების გათვალისწინებით ხდება საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულებების პროექტების იდენტიფიკაცია და შესაბამისი ხელშეკრულებების ანალიზი. ანალიზის შედეგები და ამგვარი პროექტებიდან მომდინარე მოსალოდნელი რისკები აისახება მომდევნო წლების სახელმწიფო ბიუჯეტის თანდართულ მასალებში. აქვე აღსანიშნავია, რომ მაკროეკონომიკური და ფისკალური რისკების დოკუმენტი, რომელიც დაერთო 2017 წლის ბიუჯეტის დოკუმენტაციას მოიცავს PPP პროექტებიდან, კერძოდ PPA პროექტებიდან (რომლებიც PPP პროექტების უდიდეს ნაწილს შეადგენს) მომდინარე ფისკალური რისკების ანალიზს, რაც ერთმნიშვნელოვნად მკვეთრად დადებითად არის შეფასებული საქართველოს ფისკალური გამჭვირვალობის შეფასების დოკუმენტის სპეციფიური</p>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
	რისკების ნაწილში და ფისკალური გამჭვირვალობის კოდექსს სრულად აკმაყოფილებს, ხოლო მაკროეკონომიკური და ფისკალური რისკების ინიდიკატორები შეფასებულია, როგორც საუკეთესო პრაქტიკა (Advanced).
სახელმწიფო ვალთან მიმართებით, საყურადღებოა, რომ ვალის მართვის სტრატეგიის გამოქვეყნების თარიღად 2016 წლის I კვარტალი განისაზღვრა, თუმცა 2017 წლის 9 თვის მდგომარეობით დოკუმენტის გამოქვეყნება არ მომხდარა. ამასთან, 2018 წლის ბოლოსათვის მოსალოდნელია ვალის ტვირთის ინიდიკატორის (სახელმწიფო ვალი/მშპ) 1.4 პროცენტული პუნქტით გაზრდა 44.8%-მდე (2017 წლის გეგმა 43.4%) და 2016-2017 წლების მსგავსად, კვლავ გადააჭარბებს საქართველოს სოციალ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“-ით დადგენილ 40%-იან ნიშნულს.	სახელმწიფო ვალის მართვის სტრატეგიის დოკუმენტზე მიმდინარეობს აქტიური მუშაობა და მისი გამოქვეყნება იგეგმება მიმდინარე წლის ბოლომდე. რაც შეეხება „საქართველო 2020“-ით განსაზღვრულ 40%-იან ნიშნულს, აღსანიშნავია რომ აღნიშნული ნიშნული იყო მიზნობრივი მაჩვენებელი და არა საკანონმდებლო მოთხოვნა. აღნიშნული დოკუმენტის დამტკიცების შემდგომ მოხდა სავალუტო კურის ცვლილება და შესაბამისად მშპ-სთან მიმართებაში ვალის მაჩვენებლის ერთჯერადი ზრდა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით არამიზანშეწონილია ყველა ანგარიშში აქცენტი იყოს გამახვილებული აღნიშნულ დოკუმენტზე.
2018 წელს სახელმწიფო ვალის ზრდაში საგარეო ვალის ზრდის ეფექტი 84%-ს შეადგენს, რის შედეგადაც სავალუტო კურსის ცვლილება კვლავ რჩება სახელმწიფო ვალის პორტფელის მთავარ რისკ-ფაქტორად.	საქართველოს მთავრობა ყოველწლიურად ამზადებს ვალის მდგრადობის ანალიზს, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა რისკ-ფაქტორებს, მათ შორის სავალუტო კურსის ცვლილებიდან გამომდინარე არსებულ რისკებს. ვალის მდგრადობის ანალიზში ასახულია სხვადასხვა სტრეს-ტესტებს და არცერთი რისკის დადგომის შემტხვევაში სახელმწიფო ვალი არ აღწევს კანონით განსაზღვრულ 60%-იან ნიშნულამდე. ამასთან, გრძელვადიან პერიოდში მიზანშეწონილია სახელმწიფო ვალის მეტი დივერსიფიკაცია, რისთვისაც საქართველოს მთავრობა ახორციელებს საშინაო ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებებს.
სახელმწიფო ვალის პორტფელის ზრდის შესაბამისად 624 მლნ ლარით იზრდება სახელმწიფო ვალის მომსახურებისა და დაფარვის ხარჯები 2017	IMF-ის მეთოდოლოგიის მიხედვით, ლიკვიდობის კოეფიციენტი, რომელიც ეხება სახელმწიფო საგარეო ვალს

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>წელთან შედარებით, რაც ლიკვიდობის რისკის ინდიკატორს 20%-დან 25%-მდე აუარესებს და 3 პროცენტული პუნქტით აჭარბებს IMF-ის მიერ დადგენილ 22%-იან ლიმიტს.</p>	<p>(სახელმწიფო საგარეო ვალის მომსახურების ფარდობა ბიუჯეტის შემოსავლებთან), 2018 წლის მდგომარეობით შეადგენს 9.0%-ს. აღნიშნული მაჩვენებელი შესაბამისობაშია IMF-ის მიერ დადგენილ ლიმიტთან. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ვალზე გადახდილი ნომინალური ეფექტური პროცენტი (მომდევნო პერიოდში გადასახდელი საპროცენტო ხარჯის ფარდობა მიმდინარე წლის ვალის ნომინალურ მოცულობასთან) არ აღემატება 4.0%-ს, რაც ნაკლებია ნომინალურ ეკონომიკურ ზრდაზე. აგრეთვე, სახელმწიფო ვალის პროცენტის ხარჯის ფარდობა ბიუჯეტის შემოსავლებთან არის 5.0%-ის ფარგლებში. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სახელმწიფო ვალის მომსახურება არ უქმნის ვალის მდგრადობას საფრთხეს და არც სახელმწიფო ბიუჯეტისთვის წარმოადგენს დიდ წნეხს.</p>
<p>ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, შემუშავდეს და გამოქვეყნდეს სახელმწიფო ვალის მართვის სტრატეგიის დოკუმენტი, რომელშიც წარმოდგენილი იქნება მთავრობის ხედვა სახელმწიფო ვალის მართვასთან დაკავშირებით და ასევე, შესაბამისობაში იქნება სხვა პარალელურად მოქმედ სტრატეგიულ დოკუმენტებთან, მათ შორის „კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგიასთან“.</p>	<p>როგორც აღინიშნა, წლის ბოლომდე, იგეგმება სახელმწიფო ვალის მართვის სტრატეგიის დოკუმენტის გამოქვეყნება, სადაც ნათლად იქნება გაცხადებული სხვადასხვა ინდიკატორების გონივრული და სასურველი დონეები/ზღვრები რათა უზრუნველყოფილ იქნას სახელმწიფო ვალის მდგრადობა და მოხდეს სახელმწიფო ვალის უფრო ეფექტური მართვა.</p>
<p>ფისკალური რისკების ეფექტიანი მართვისათვის, მნიშვნელოვანია საჯარო ფინანსების გრძელვადიანი სტაბილურობის რეგულარული შეფასება. მიმდინარე მდგომარეობით ფინანსთა სამინისტრო ამზადებს მომდევნო 7 წლის ვალის მდგრადობის ანალიზს, თუმცა მიზანშეწონილია, აღნიშნული ანალიზი მომზადდეს 10 წლის პერიოდისათვის, სადაც გათვალისწინებული იქნება საჯარო ინვესტიციების, საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტებისა (PPP) და გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებების (PPA) მოსალოდნელი ზრდა.</p>	<p>საქართველოს ფინანსთა სამინისტრო პერიოდულად ამზადებდა სახელმწიფო ვალის მდგრადობის ანალიზს 5 წლიანი პერიოდისთვის, მაგრამ მას შემდეგ რაც დაიგეგმა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების დაჩქარებული ტემპით განხორციელება, მდგრადობის ანალიზის პერიოდი გახანგრძლივდა 7 წლამდე. აღნიშნულის მიზეზი იყო სტრატეგიული მნიშვნელობის ძირითადი ინფრასტრუქტურული პროექტების დასრულების შემდეგ ვალის მდგრადობის შეფასება. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო</p>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
	<p>ვალის მდგრადობის ანალიზის მოცვის გახანგრძლივება დაგეგმილია 10 წლიან პერიოდზე. ასევე, მიმდინარეობს პირობითი ვალდებულებების დათვლა და მეთოდოლოგიის შემუშავება, რათა მოხდეს მათი გათვალისწინება ვალის მდგრადობის ანალიზში, როგორც ერთ-ერთი შოკის სცენარი.</p>
<p>საყურადღებოა ისეთი საინვესტიციო პროექტები, რომელთა 2017 წლის შესრულების მდგომარეობა დაბალია. კრედიტის სახით გამოყოფილი სახსრების დაგვიანებით ათვისება კი ზრდის სესხის მომსახურების ხარჯებს, რადგან კონტრაქტების ნაწილი ითვალისწინებს მსესხებლისათვის ვალდებულების გადასახადის დაკისრებას სესხის ათვისებელ ნაწილზე. 2017 წლის 8 თვის მდგომარეობით, გადახდილ იქნა 2.7 მლნ ლარის ოდენობის ვალდებულების გადასახადი (commitment fee). აღნიშნული შესაძლებელია რიგ შემთხვევებში დაკავშირებული იყოს მთავრობის პრიორიტეტების ან/და სტრუქტურულ ცვლილებებსა და დისკრეციულ გადაწყვეტილებებთან, თუმცა მნიშვნელოვანია გამოყოფილი სესხების დროული და ეფექტიანი ათვისება და 2018 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში პროექტების მიმდინარე შესრულების მდგომარეობის გათვალისწინება.</p>	<p>ვალდებულების გადასახდელის დარიცხვა ხდება სესხის თანხის ხელმისაწვდომ, ასათვისებელ ნაწილზე და განაკვეთი არის განსხვავებული დონორის მიხედვით.</p> <p>სესხის თანხის ათვისება დამოკიდებულია პროექტის განხორციელებაზე. საინვესტიციო პროექტების განხორციელებისათვის საშუალოდ 3-4 წელი არის განსაზღვრული. სასესხო ხელშეკრულება დონორთან ფორმდება სესხის მთლიან თანხაზე, თუმცა მისი ათვისება ხდება ეტაპობრივად, პროექტის განხორციელების შესაბამისად განსაზღვრული გრაფიკით. გრაფიკისაგან განსხვავებულ ოდენობაზე, მათ შორის იმ შემთხვევაშიც, როდესაც პროექტის ღირებულება ეკონომიის ხარჯზე ნაკლებია პროექტის საორიენტაციო ღირებულებასთან და შესაბამისად სესხის მთლიან მოცულობასთან მიმართებაში, ათვისებელ ნაწილზე ხორციელდება მსგავსი დარიცხვები,</p> <p>აღნიშნული დაახლოებით 2.66 მილიონი ლარია დარიცხული და გადახდილი არის დაახლოებით 1.95 მილიარდი ლარის (დაახლოებით 781 მილიონი აშშ დოლარი) ოდენობის სესხზე (სესხის მთლიანი მოცულობის 0.1%). აღნიშნული თანხის დარიცხვა მოხდა მიმდინარე პროექტების დარჩენილ ასათვისებელ ნაწილზე. შესაბამისად, საინვესტიციო აქტივობის გაზრდიდან გამომდინარე ვალდებულების გადასახდელის მოცულობაც იზრდება და პირდაპირი</p>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>გადასახადის გადახდა აღარ ხორციელდება გადასახადების თითოეული სახისთვის განსაზღვრულ სახაზინო კოდებზე, რის ნაცვლადაც გადასახადის გადამხდელების მიერ გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიანი სახაზინო კოდზე (101001000), „სხვა გადასახადების“ მუხლში, სადაც ხდება გადახდილი გადასახადების აკუმულირება გადახდის ვადის დადგომამდე. ამის შემდეგ თანხები ნაწილდება შესაბამის საგადასახადო შემოსავლების მუხლებში. აღნიშნულმა მიდგომამ გაამარტივა გადასახადის გადამხდელების მიერ გადასახადების გადახდის პროცედურა, თუმცა ამავდროულად, სირთულეები შექმნა ცალკეული საგადასახადო შემოსავლების მომავალი წლის საპროგნოზო მაჩვენებლების განსაზღვრის პროცესში, რამდენადაც პროგნოზირებისას მოდელში გამოყენებულ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს მიმდინარე მდგომარეობით მობილიზებული თითოეული საგადასახადო შემოსავლის ფაქტობრივი ოდენობა.</p>	<p>კავშირი პროექტების ფარგლებში აუთვისებლობასთან კავშირში არ არის.</p> <p>რეფორმა გულისხმობს გადასახადების ერთიანი ანგარიშზე გადახდილი გადასახადების განაწილებას ბიუჯეტებისა და გადასახადის სახეების მიხედვით ვადადამდგარი საგადასახადო დეკლარაციების შესაბამისად. შესაბამისად სხვა გადასახადების სახიდან გადასახადების სხვა სახეებში გადახდილი თანხები ნაწილდება ყოველდღიურად დეკლარაციების მიხედვით.</p> <p>მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ რეფორმის პირველ წელს წინა წლების ფაქტიური მაჩვენებლების გამოყენება ართულებს გადასახადების პროგნოზირების პროცესს, რეალურად რეფორმისმთავარი მიზანი არის გადასახადების აღრიცხვის და შესაბამისად მისი დაგეგმვის მეტი სიზუსტის უზრუნველყოფა. კონკრეტული საბიუჯეტო წლის ბოლოს სხვა გადასახადებში აღრიცხული სახსრები მომდევნო საბიუჯეტო წელს გადანაწილდება გადასახადების სხვა სახეებში (გარდა სხვა გადასახადების იმ ნაწილისა სადაც აღრიცხება ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი გადასახადები).</p>
<p>კანონპროექტით წარმოდგენილი „გრანტების“ მუხლის საპროგნოზო მაჩვენებელი არ მოიცავს სსიპ-ების კანონმდებლობით ნებადართული საკუთარი შემოსავლებიდან ბიუჯეტში მისამართ თანხებს, 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტით „გრანტების“ მუხლით მისაღები შემოსავლების გეგმური მაჩვენებელი შემცირებული ოდენობითაა წარმოდგენილი.</p> <p>კერძოდ, „გრანტების“ მუხლის გეგმური მაჩვენებელი (265 მლნ ლარი), რომელიც 6.8%-ით არის შემცირებული 2017 წლის გეგმასთან შედარებით, არ მოიცავს სსიპ-ების მიერ საკუთარი შემოსავლებიდან ბიუჯეტში მისამართ თანხებს.</p>	<p>გადამუშავებულ ვარიანტში 2018 წლის სსიპ-ების საკუთარი შემოსავლებიდან ბიუჯეტში მისამართი თანხების საპროგნოზო მოცულობა გათვალისწინებულია გრანტების ნაწილში.</p>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>ანგარიშგების ეტაპზე გეგმასთან შესაბამისობისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია პროექტი შეიცავდეს ინფორმაციას მისაღები დივიდენდების წყაროების შესახებ. კანონპროექტზე თანდართულ განმარტებით ბარათში არაფერია ნათქვამი მისაღები დივიდენდების წყაროების შესახებ. თუმცა ფინანსთა სამინისტროდან მიღებული ინფორმაციით, 60 მლნ ლარი მიმდინარე წლის მსგავსად, მობილიზებული იქნება ეროვნული ბანკიდან. გასული წლების განმავლობაში დივიდენდების მობილიზების უარყოფითი ტენდენციებისა და 2018 წელს ამ მუხლით მისაღები შემოსავლების მხოლოდ ერთ წყაროზე კონცენტრირებით, გარკვეული რისკის ქვეშ დგება დივიდენდების გეგმის შესრულების საკითხი. ამასთან, რამდენადაც ფინანსთა მინისტრის ბრძანებით „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების შესახებ“, სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოებიდან და ეროვნული ბანკიდან მისაღები დივიდენდები აკუმულირდება სხვადასხვა კლასიფიკატორზე, თითოეული წყაროდან მისაღები შემოსავლების ზუსტი ოდენობის განსაზღვრისა და შესაბამისად, გამჭვირვალობისა და ანგარიშგების ეტაპზე გეგმასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია ბიუჯეტის კანონის პროექტი შეიცავდეს დივიდენდების ჩაშლას აღნიშნული ქვემუხლების მიხედვით.</p>	<p>2018 წლის ბიუჯეტში დივიდენდების ჩაშლაში წარმოდგენილია ეროვნული ბანკიდან და სხვა სახემწიფო საწარმოებიდან მიღებული დივიდენდების მოცულობები.</p>
<p>„პროცენტის“ მუხლით მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი წარმოდგენილი კანონპროექტით 48 მლნ ლარს შეადგენს და 2 მლნ ლარით აჭარბებს 2017 წლის გეგმას. ამ კუთხით, გასათვალისწინებელია, რომ 2017 წლის ივლისიდან ფინანსთა სამინისტროს ფულადი სახსრების პროგნოზირებისა და მართვის დეპარტამენტი აქტიურად ახორციელებს ბიუჯეტის ნაშთის აუქციონის გზით განთავსებას კომერციული ბანკებში, დეპოზიტებზე, საპროცენტო შემოსავლის მიღების მიზნით. კერძოდ, მიმდინარე მდგომარეობით ჩატარდა 11 აუქციონი და დეპოზიტებზე, 3 თვის ვადით, განთავსდა 550 მლნ ლარი (თითოეული აუქციონის შემთხვევაში 50 მლნ ლარი). მიუხედავად ამისა, კანონის პროექტით</p>	<p>გათვალისწინებულია - პროექტის გადამუშავებულ ვარიანტში პროცენტის სახით მიღებული შემოსავლები შეადგენს 73,0 მლნ ლარი.</p>



რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>წარმოდგენილ „პროცენტის“ მუხლის საპროგნოზო მაჩვენებელში არ არის გათვალისწინებული აღნიშნული დეპოზიტებიდან მისაღები საპროცენტო შემოსავლები. შესაბამისად, „პროცენტის“ მუხლი შემცირებული ოდენობითაა განსაზღვრული.</p>	
<p>გარკვეულ შემთხვევებში სხვაობა მიმდინარე წლის ათვისების ტენდენციასა და მომავალი წლის გეგმას შორის შესაძლებელია დაკავშირებული იყოს მთავრობის პრიორიტეტების ან/და სტრუქტურულ ცვლილებებსა და დისკრეციულ გადაწყვეტილებებთან. თუმცა, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების დაგეგმვისას, სხვა მიზეზებთან ერთად მიზანშეწონილია გათვალისწინებულ იქნეს გასული და მიმდინარე წლების შესრულების ტენდენციებიც, რათა დასაგეგმი საბიუჯეტო წლისთვის უზრუნველყოფილ იქნეს საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი გამოყენება და დაგეგმილი ასიგნებების სრულად ათვისება. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია გასული წლების განმავლობაში და მიმდინარე მდგომარეობით დაბალი ათვისების მქონე პროგრამების იდენტიფიცირება, ანალიზი და შეფასება, მითუმეტეს თუ მათი დაფინანსება 2018 წლისათვის იზრდება ან იგივე დონეზე ნარჩუნდება.</p>	<p>სხვადასხვა პროგრამის განხორციელებას განსხვავებული სპეციფიკა აქვს და მათი შესრულების ტენდენციებიც სხვადასხვა მიზეზებთანაა დაკავშირებული.</p> <p>პროექტის მომზადების დროს გათვალისწინებულ იქნა პროგრამების მიმდინარე წლის ათვისების ტენდენციები, ასევე გაანალიზდა ათვისებლობის მიზეზები და დაგეგმილი ცვლილებები, რის საფუძველზეც განხორციელდა მათი ასიგნებების დაგეგმვა.</p> <p>გასათვალისწინებელია, 9 თვის მდგომარეობით რომ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახადელები 9 თვის გეგმასთან შედარებით შესრულებულია 95.9%-ით.</p>
<p>2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის მიხედვით, სახელმწიფო ვალის საპროგნოზო ზღვრული მოცულობა განისაზღვრა 18.1 მლრდ ლარის ოდენობით, რაც 2017 წლის დაგეგმილ მაჩვენებელს 2.2 მლრდ ლარით (14%) აღემატება. 2017 წლის ბიუჯეტის კანონში წარმოდგენილი მონაცემებით, წლის ბოლოს სახელმწიფო ვალი მშპ-ის (2018-2021 წლების BDD - გადამუშავებული ვარიანტი) 43.4%-ს გაუტოლდება, ხოლო 2018 წლის ბიუჯეტის კანონის პროექტის მიხედვით, ანალოგიური მაჩვენებელი 44.8%-ს შეადგენს. შედეგად, 2018 წლის ბოლოსათვის მოსალოდნელია ვალის ტვირთის ინდიკატორის (ვალი/მშპ) 1.4 პროცენტული პუნქტით გაზრდა. საყურადღებოა, რომ წინა ორი წლის მსგავსად, წარმოდგენილი ბიუჯეტის კანონის პროექტის მიხედვით, სახელმწიფო ვალის მოცულობა მშპ-თან მიმართებაში კვლავ გადააჭარბებს</p>	<p>40.0% ეს არის ვალის მიზნობრივი დონე გრძელვადიანი პერიოდისთვის. თუმცა, აღნიშნული მაჩვენებლიდან გადახრა არ ნიშნავს ვალის წესის დარღვევას. აღნიშნული მაჩვენებლიდან დროებით გადახრა მთავრობას შესაძლებელია დასჭირდეს ორ შემთხვევაში: პირველი, ეკონომიკური ტურბულენტობის დროს კონტრციკლური პოლიტიკის გასატარებლად, რათა ამით დაეხმაროს ეკონომიკურ ზრდას და მეორე, მნიშვნელოვანი სტრატეგიული საინვესტიციო პროექტების მშენებლობის გამო. საქართველო სწორედ ასეთ სტადიაზე არის ამჟამად.</p> <p>აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ვალი დაბალია ვალის „უსაფრთხო“ დონეზე. ვალის „უსაფრთხო“ დონე არის</p>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“-ით დადგენილ 40%-იან ნიშნულს.</p> <p>შედეგად, მიზანშეწონილია, დამატებითი ყურადღება გამახვილდეს სავალუტო კურსის ცვლილების შედეგად გამოწვეული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების მინიმიზაციაზე. აღნიშნული მიმართულებით ერთ-ერთ მიდგომად განიხილება სახელმწიფო ვალის პორტფელში საგარეო ვალის წილის შემცირება, რისთვისაც მნიშვნელოვანია ქვეყანაში არსებობდეს განვითარებული საშინაო საკრედიტო ბაზარი. მოცემული საკითხი განხილულ იქნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებულ სახელმწიფო ვალის მართვის ეფექტიანობის აუდიტის ფარგლებში, რის შედეგადაც გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები.</p>	<p>ნიშნული, რომლის ფარგლებშიც პოტენციური შოკების სიმულაცია ვერ ზრდის ვალს მის კრიტიკულ დონემდე, მშპ-ის 60.0 პროცენტამდე.</p> <p>როგორც ვალის მდგრადობის ანალიზი გვიჩვენებს, გრძელვადიან პერიოდში, როგორც კი დასრულდება დაგეგმილი მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები, სახელმწიფო ვალის ფარდობა მშპ-თან ჩამოსცდება 40.0 პროცენტს.</p>
<p>2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტით დაფინანსება ეზრდება ისეთ საინვესტიციო პროექტებს (14), რომელთა შესრულების მდგომარეობა 2017 წლის 8 თვის მდგომარეობით 9 თვის გეგმასთან მიმართებაში 50%-ზე დაბალია.</p> <p>შესაბამისად, მნიშვნელოვანია პროექტის განმახორციელებელმა უწყებებმა უზრუნველყონ გამოყოფილი სესხების დროული და ეფექტიანი ათვისება, ასევე, დამატებითი ყურადღება გაამახვილონ აღნიშნული პროექტების მომავალი წლის გეგმის განსაზღვრის პროცესში და გაითვალისწინონ პროექტების მიმდინარე შესრულების მდგომარეობა, რათა თავიდან იქნეს აცილებული სესხზე ვალდებულების გადასახადით გაწეული დამატებითი ხარჯებისა და დროში გაწეული ან/და დაუსრულებელი პროექტების რაოდენობის ზრდა.</p>	<p>სხვადასხვა პროგრამის განხორციელებას განსხვავებული სპეციფიკა აქვს და მათი შესრულების ტენდენციებიც სხვადასხვა მიზეზებთანაა დაკავშირებული.</p> <p>პროექტის მომზადების დროს გათვალისწინებულ იქნა პროგრამების მიმდინარე წლის ათვისების ტენდენციები, ასევე განალიზდა ათვისებლობის მიზეზები და დაგეგმილი ცვლილებები, რის საფუძველზეც განხორციელდა მათი ასიგნებების დაგეგმვა.</p> <p>გასათვალისწინებელია, რომ 9 თვის მდგომარეობით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახადელები 9 თვის გეგმასთან შედარებით შესრულებულია 95.9%-ით. .</p> <p>ამასთან, საინვესტიციო პროექტებთან მიმართებაში აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წელს, 4 პუნქტიანი სამოქმედო გეგმის ფარგლებში დაიწყო საინვესტიციო პროექტების განხორციელების აქტიური ფაზა ძირითად საგზაო და ტურისტული ინფრასტრუქტურის მიმართულებით, მათ შორის აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული</p>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
	<p>მაგისტრალის ახალი მონაკვეთების განხორციელება. პირველი ეტაპზე პროექტირებისა და წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოებისათვის საჭიროა შესაბამისი დრო და რესურსები, რომელიც ზოგ შემთხვევაში დაგეგმილზე მეტ დროს მოითხოვს..</p> <p>საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ 9 თვეში ათვისა დაზუსტებული გეგმის 97.7%, ხოლო წლიური გეგმის 74.0%. მოსალოდნელია რომ სამინისტროს მიერ წლის ბოლომდე ათვისებული სახრები გადააჭარბებს წლიურ გეგმას (პირდაპირი გადახდების გათვალისწინებით). დასკვნაში მითითებული დაბალი ათვისების მქონე პროექტების დიდი ნაწილი სწორედ აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის ახალი მონაკვეთები და ე.წ. ახალი ტურისტული გზებია, რომლებიც წელს პროექტირების და წინასწარი სამუშაოების ეტაპზეა. სამუშაოების შესრულება 2017 წლის IV კვარტლიდან დაიწყება და 2018 წელს აქტიურ ფაზაში იქნება.</p>
<p>პროგრამული ბიუჯეტის მომზადება 2012 წლიდან დაიწყო, იგი ჯერ კიდევ მხოლოდ დანართის სახით ერთვის ბიუჯეტის კანონს და არ მტკიცდება. ამასთან, ბიუჯეტის პროგრამული ფორმატით მომზადების პროცესსა და პროგრამების შესახებ წარმოდგენილ ინფორმაციაში ჯერ კიდევ შეინიშნება მნიშვნელოვანი ხარვეზები, რაც ართულებს, რიგ შემთხვევებში კი შეუძლებელს ხდის შეფასდეს პროგრამების ეფექტიანობა.</p>	<p>პროგრამული ბიუჯეტის დანერგვა გრძლევადიანი გამოწვევაა და 2012 წლიდან დღემდე არაერთი ცვლილება შევიდა პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიაში. ამასთან შედეგზე ორიენტირებული დაგეგმვისათვის მნიშვნელოვანია დაგეგმვა ამ კუთხით განხორციელდეს არა მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადების მიზნებისათვის, არამედ განვითარდეს საბიუჯეტო ორგანიზაციების შიგნით სათანადო პროცესები, რაც უზრუნველყოფს ღონისძიებების დაგეგმვისას მოსალოდნელი შედეგების სწორ ანალიზს. 2018 წლის ბიუჯეტის დაგეგმვას საფუძვლად დაედო სამინისტროების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები მოსალოდნელი შედეგებით, შესრულების</p>
<p>ბიუჯეტის პროგრამული ფორმატით მომზადებაში ხარვეზები შეინიშნება შემდეგი მიმართულებებით:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების მომზადება;</li> <li>• პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში მოსალოდნელი შედეგების ფორმირება;</li> <li>• პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში შედეგების</li> </ul>	

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>შეფასების ინდიკატორების შემუშავება; მეთოდოლოგიური ხარვეზები.</p>	<p>შეფასების ინდიკატორებით და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვებით.</p>
<p>ზოგიერთი სამინისტროს შემთხვევაში სამოქმედო გეგმებში წარმოდგენილი ინფორმაცია ღონისძიებების შესახებ (აღწერა, განმახორციელებელი, საბაზისო მაჩვენებელი, ღონისძიების განხორციელების შედეგად მისაღები სამიზნე მაჩვენებელი, დაფინანსების წყარო, ხარჯთაღრიცხვა და ა.შ.) არასრულია, ან გარკვეული ხარვეზებით ხასიათდება, რაც შემდგომ სრულყოფასა და ხარისხობრივ გაუმჯობესებას საჭიროებს.</p> <p>კერძოდ, სამინისტროების მიერ დამტკიცებულ საშუალოვადიან სამოქმედო გეგმებში ხარვეზები შეინიშნება შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პროგრამების/ქვეპროგრამების დეტალურ ღონისძიებებად ჩაშლა</li> <li>• ღონისძიებების განმახორციელებლების კომპეტენციების გამიჯვნა</li> <li>• ღონისძიების საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლების შემუშავება</li> <li>• ინდიკატორის გაზომვისთვის საჭირო მონაცემების წყაროს მითითება</li> <li>• დამატებითი დაფინანსების საჭიროების განსაზღვრა და შესაბამისი სცენარის განხილვა</li> </ul> <p>სამინისტროების საშუალოვადიან გეგმებში გამოვლენილი ზემოხსენებული ნაკლოვანებები მიუთითებს გეგმების სრულყოფისა და ხარისხობრივი გაუმჯობესების საჭიროებაზე. მიზანშეწონილია, სამინისტროების მიერ საშუალოვადიანი გეგმების შემუშავების პროცესში მხედველობაში იქნეს მიღებული მეთოდოლოგიით გათვალისწინებული ძირითადი პრინციპები და მოხდეს განსაზღვრული ინფორმაციის სრულყოფილად წარმოდგენა.</p>	<p>GIZ-თან ერთად მზადდება პროგრამული ბიუჯეტის განახლებული მეთოდოლოგია მუნიციპალიტეტებისათვის. ამ მიმართულებით მუშაობა კვლავ გაგრძელდება, მათ შორის შიდა ფინანსური კონტროლისა და მართვის რეფორმის ფარგლებში, ასევე, ამ მეთოდოლოგიის დახვეწისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების მიმართულებით .</p>
<p>2018 წლის ბიუჯეტის კანონის პროგრამულ დანართში წარმოდგენილი 145 პროგრამიდან მხოლოდ 17 პროგრამაა წარმოდგენილი ქვეპროგრამების სახით, რაც მთლიანი რაოდენობის 12%-ს წარმოადგენს. ამასთან,</p>	

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>აღსანიშნავია, რომ 16 სამინისტროდან მხოლოდ 8-ს აქვს პროგრამების ჩაშლა ქვეპროგრამებად,</p>	
<p>2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტზე თანდართულ პროგრამული ბიუჯეტის დანართში წარმოდგენილი პროგრამების/ქვეპროგრამების მოსალოდნელი საბოლოო/შუალედური შედეგების ნაწილს კვლავ არ გააჩნია მიზნობრივი მაჩვენებლები. მიუხედავად იმისა, რომ განახლებული „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის“ თანახმად, საბაზისო და მიზნობრივი მაჩვენებლების მითითება ცალ-ცალკე ხდება, ზოგიერთ შემთხვევაში მაინც არ არის განსაზღვრული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში მისაღწევი კონკრეტული მიზანი, რაც ანგარიშგების ეტაპზე გაართულებს აღნიშნული პროგრამის/ქვეპროგრამის ეფექტიანობის შეფასებას</p>	
<p>პროგრამულ დანართში ზოგიერთი ქვეპროგრამა წარმოდგენილია ძალიან ბევრი მოსალოდნელი შედეგით, რომელთაგანაც ზოგიერთი მათგანი წარმოადგენს გრძელვადიან და გლობალურ შედეგს, რაც მეთოდოლოგიის მიხედვით შეესაბამება პროგრამას. მსგავსი ტიპის ხარვეზი შეუძლებელს ხდის საბოლოო და შუალედური შედეგების ერთმანეთისაგან გამიჯვნას და მათ შორის ურთიერთკავშირის დადგენას</p>	
<p>ზოგიერთი პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში შემუშავებული შედეგების შეფასების ინდიკატორები ვერ უზრუნველყოფს მიღწეული შედეგების გაზომვას და პროგრამის ეფექტიანობის შეფასებას.</p>	
<p>პროგრამებისა და ქვეპროგრამების ნაწილი საჭიროებს დამატებით ინდიკატორს, რათა სრულყოფილად იქნეს შეფასებული მიღწეული საბოლოო/შუალედური შედეგები. კერძოდ, ინდიკატორების დიდი ნაწილი რაოდენობრივია, თუმცა რამდენადაც ქვეპროგრამების მნიშვნელოვან ნაწილს მიზნობრივი მაჩვენებლები არ გააჩნია, მხოლოდ რაოდენობრივი ინდიკატორებით მათი შეფასება რთულდება. ასევე, ყველა მოსალოდნელ შედეგს არ მიემართება ინდიკატორი ან შედეგების შეფასებისათვის მხოლოდ ერთი ტიპის ინდიკატორია გამოყენებული, მაშინ როდესაც საჭიროა რამდენიმე ტიპის ინდიკატორის შემუშავება</p>	

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
დაგეგმილი შედეგების სრულყოფილად შეფასებისათვის.	
რიგი პროგრამის/ქვეპროგრამის ინდიკატორების შემთხვევაში არ ხდება ცდომილების ალბათობისა და შესაძლო რისკების მაჩვენებლების განსაზღვრა. ინდიკატორში აღნიშნული მაჩვენებლის წარმოდგენის შემთხვევაში კი, მოყვანილი მონაცემები ხშირად, არარეალისტურია ან არ შეესაბამება მიზნობრივ მაჩვენებელს	
მიზანშეწონილია, მომზადდეს დაგეგმვისა და ანგარიშების უფრო დეტალური ინსტრუქციები საშუალოვადიანი გეგმების, პროგრამის ფარგლებში მოსალოდნელი და მიღწეული შედეგების და შეფასების ინდიკატორებისთვის, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. ასევე, მიზანშეწონილია მაკოორდინირებელი უწყების მხრიდან მოხდეს მხარჯავი დაწესებულებების წარმომადგენლების გადამზადება და შესაძლებლობების განვითარება ბიუჯეტის პროგრამული ფორმატით მომზადებაში.	

**საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ სახელმწიფო აუდიტის  
სამსახურის რეკომენდაციები**

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ წარმოდგენილი დასკვნები/რეკომენდაციები ეხება არა მხოლოდ წლიური ბიუჯეტის კანონის პროექტს და თანდართულ მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების მიმოხილვას, არამედ ასევე ითვალისწინებს კონკრეტულ უწყებებში ჩატარებული აუდიტის შედეგების ანალიზის შესაბამისი უწყებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკის გათვალისწინებით. ზოგ შემთხვევაში წარმოდგენილი მიგნებები და რეკომენდაციები ასახავს საჯარო სამსახურთან დაკავშირებული საკითხების უფრო ფართო სურათს და არა მხოლოდ საჯარო ფინანსებთან დაკავშირებულ საკითხებს. მსგავს დასკვნებთან და რეკომენდაციებთან მიმართებაში მიზანშეწონილია სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან შემდგომი მჭიდრო თანამშრომლობა გაგრძელდეს შესაბამისი დარგობრივი სამინისტროების მიერ, შესაბამისად ყველა მათგანის განხილვა ბიუჯეტის პროექტის განხილვის კონტექსტში შესაძლოა ნაკლებად პროდუქტიული აღმოჩნდეს.

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<b>საქართველოს მთავრობას</b>	
<p>სახელმწიფო ბიუჯეტიდან შრომის ანაზღაურების სახით გაწეული დანახარჯების აღრიცხვა-ანგარიშგების პროცესის გამჭვირვალობისა და „შრომის ანაზღაურების“ მუხლში სრულყოფილი ინფორმაციის წარმოდგენის უზრუნველსაყოფად, მოხდეს დასაქმებულ მომუშავეებზე გაწეული შრომის ანაზღაურების ყველა ხარჯის ერთგვაროვანი მიდგომით აღრიცხვა;</p>	<p>სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების, მათ შორის დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების აღრიცხვა ხორციელდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული საბიუჯეტო კლასიფიკაციის თანახმად, რომელიც მათ შორის ითვალისწინებს ზოგიერთ შემთხვევაში შრომის ანაზღაურების ხარჯების „სუბსიდიის“ მუხლიდან დაფინანსების შესაძლებლობას.</p> <p>გასათვალისწინებელია, რომ ბოლო წლების მანძილზე აქტიურად მიმდინარეობს სუბსიდიის მუხლიდან მიმდინარე ხარჯების დაფინანსების შემთხვევების შემცირება, როგორც ცენტრალურ ისე ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე და აღნიშნული აღრიცხვიანობის მოწესრიგება პირდაპირ კავშირშია საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში სსიპებისა და მუნიციპალიტეტების ხაზინის მომსახურებაზე გადმოყვანასა და ელექტრონული სისტემების (E-Budget და E-Treasury) განვითარებასთან.</p> <p>„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით, რომელიც</p>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
	<p>2016 წელს მიიღო საქართველოს პარლამენტმა აყალიბებს საჯარო სამსახურის ახალ სისტემას, ხოლო „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონპროექტი, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ წარდგენილია საქართველოს პარლამენტში დაარეგულირებს შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ საკითხებს და პრინციპულად ერთიან მიდგომას ჩამოაყალიბებს, რაც თავის მხრივ გააუმჯობესებს აღრიცხვიანობასაც.</p>
<p>სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი მოიცავდეს ინფორმაციას შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურების გეგმური მაჩვენებლის შესახებ, რაც უზრუნველყოფს ამ მიმართულებით ათვისებული საბიუჯეტო რესურსების შესადარისობას გეგმურ მაჩვენებელთან და შესაბამისად, ხელს შეუწყობს საჯარო ფინანსების მართვისა და ანგარიშგების პროცესის გამჭვირვალობის გაუმჯობესებას;</p>	<p>აღნიშნული რეკომენდაციებით გათვალისწინებული საკითხები მოცულია საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფციით და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით.</p> <p>კანონი განსაზღვრავს საჯარო სამსახურის ახალ სისტემას. მომზადდა „შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი და წარდგენილია საქართველოს პარლამენტში განსახილველად. კანონპროექტი განსაზღვრავს შრომის ანაზღაურების ერთიან ჩარჩოს საჯარო დაწესებულებებში დასაქმებული პირებისათვის, ადგენს დანამატისა და ფულადი ჯილდოს ზედა ზღვარს. კანონპროექტი ითვალისწინებს შრომის ანაზღაურების სისტემის მოწესრიგებას საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული ყველა პირისათვის, მათ შორის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირებისათვის. კანონი ასევე დაადგენს შრომითი და ადმინისტრაციული ხელშეკრულებებით დასაქმებული პირების რიცხოვნობის განსაზღვრის პრინციპებს.</p>
<p>მიზანშეწონილია, მაღალმთიანი დასახლებების ფონდიდან ასიგნებების კონკრეტული უწყებებისათვის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება</p>	<p>2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული</p>



რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>მიღებული იქნეს დროულად, რაც ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტების მიერ პროექტების უფრო ადრე დაწყებას, ხოლო მეორე მხრივ, სეზონური კლიმატური პირობების ცვლილების გამო მათი განხორციელების პროცესის შეფერხების თავიდან აცილებას.</p>	<p>მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის განაწილება განხორციელდა მიმდინარე წლის აპრილის თვეში, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 4 აპრილის №693 განაკარგულებით, მაშინ როდესაც 2016 წელს გადაწყვეტილება მიღებული იქნა 2016 წლის ივლისის თვეში, რაც დაკავშირებული იყო იმ ფაქტთან, რომ 2016 წელი პირველი წელი იყო, როდესაც მსგავსი ფონდი შეიქმნა წლიური ბიუჯეტის კანონით და გარკვეული გადაწყვეტილებების მიღება იყო საჭირო ფონდის განკარგვასთან დაკავშირებით.</p> <p>მომდევნო წლებში მიზანშეწონილია, რომ კიდევ უფრო ადრეულ პერიოდში მოხდეს სახსრების განაწილება. ამასთან რესურსის განაწილება თავის მხრივ დამოკიდებულია თავად მუნიციპალიტეტების მიერ წარმოდგენილი პროექტების დროულობაზე, რაც შესაბამისად დაკავშირებულია მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო პროცესების და საჯარო ფინანსების მართვის პრაქტიკის შემდგომ გაუმჯობესებასთან</p>
<b>საქართველოს ფინანსთა სამინისტროს</b>	
<p>სსიპ-ების მიერ საკუთარი შემოსავლების სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართვა აისახოს „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის“ მოთხოვნის შესაბამისად, „გრანტების“ მუხლში.</p>	<p>გათვალისწინებულია 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის გადამუშავებულ ვარიანტში</p>
<p>სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული დანახარჯების ანგარიშგების პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმდინარე შესრულების შესახებ ანგარიში მოიცავდეს ინფორმაციას საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წლის განმავლობაში რეალურად დასაქმებულ თანამშრომელთა</p>	<p>ვეთანხმებით აღნიშნული ინფორმაციის წლიურ ანგარიშგებაში წარმოდგენის საჭიროებას, თუმცა აღნიშნული მოითხოვს მთელ რიგ სამუშაოებს, მათ შორის, ტექნიკური ხასიათის და მიზანშეწონილად მიგვაჩნია სათანადო სისტემა აეწყო საჯარო სამსახურის რეფორმით გათვალისწინებული ღონისძიებების</p>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
რაოდენობების შესახებ.	პარალელურად.
<p>კრედიტის სახით გამოყოფილი სახსრების დაგვიანებით ათვისება ზრდის სესხის მომსახურების ხარჯებს, რადგან კონტრაქტების ნაწილი ითვალისწინებს მსესხებლისათვის ვალდებულების გადასახადის დაკისრებას სესხის ათვისებულ ნაწილზე. 2017 წლის 8 თვის მდგომარეობით, გადახდილ იქნა 2.7 მლნ ლარის ოდენობის ვალდებულების გადასახადი (commitment fee).</p>	<p>ვალდებულების გადასახდელის დარიცხვა ხდება სესხის თანხის ხელმისაწვდომ, ასათვისებელ ნაწილზე და განაკვეთი არის განსხვავებული დონორის მიხედვით.</p> <p>სესხის თანხის ათვისება დამოკიდებულია პროექტის განხორციელებაზე. საინვესტიციო პროექტების განხორციელებისათვის საშუალოდ 3-4 წელი არის განსაზღვრული. სასესხო ხელშეკრულება დონორთან ფორმდება სესხის მთლიან თანხაზე, თუმცა მისი ათვისება ხდება ეტაპობრივად, პროექტის განხორციელების შესაბამისად განსაზღვრული გრაფიკით. გრაფიკისაგან განსხვავებულ ოდენობაზე, მათ შორის იმ შემთხვევაშიც, როდესაც პროექტის ღირებულება ეკონომიის ხარჯზე ნაკლებია პროექტის საორიენტაციო ღირებულებასთან და შესაბამისად სესხის მთლიან მოცულობასთან მიმართებაში, ათვისებულ ნაწილზე ხორციელდება მსგავსი დარიცხვები,</p> <p>აღნიშნული დაახლოებით 2.66 მილიონი ლარია დარიცხული და გადახდილი არის დაახლოებით 1.95 მილიარდი ლარის (დაახლოებით 781 მილიონი აშშ დოლარი) ოდენობის სესხზე (სესხის მთლიანი მოცულობის 0.1%). აღნიშნულ თანხის დარიცხვა მოხდა მიმდინარე პროექტების დარჩენილ ასათვისებელ ნაწილზე. შესაბამისად, საინვესტიციო აქტივობის გაზრდიდან გამომდინარე ვალდებულების გადასახდელის მოცულობაც იზრდება და პირდაპირი კავშირი პროექტების ფარგლებში ათვისებლობასთან კავშირში არ არის.</p>
<b>ფინანსთა სამინისტროსა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს</b>	
შეიქმნას კომისიის მიერ მოგების განაწილების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებებისა და შეთანხმებების შესრულების მონიტორინგის	საქართველოს მთავრობის 2011 წლის 12 აპრილის №174 დადგენილების თანახმად, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>ქმედითი მექანიზმი, რაც უზრუნველყოფს კომისიასთან შეთანხმებების საფუძველზე განსაზღვრული თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში დროულად და სრულად მობილიზებას.</p>	<p>სააგენტოსა და სამინისტროს, რომლის მართვაში გადაცემულია სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმო, ევალუბათ უზრუნველყონ კომისიის სხდომის ოქმით მიღებული გადაწყვეტილებებისა და გაფორმებული ერთობლივი შეთანხმებების შესრულება. ამდენად, მიღებული გადაწყვეტილებების უზრუნველსაყოფად ქმედითი მექანიზმების გამოყენება ზემოაღნიშნული სტრუქტურების პრეროგატივაა.</p> <p>სააგენტო სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში დივიდენდების მობილიზების მონიტორინგს ახორციელებს სისტემატიურად და „სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგების განაწილებისა და გამოყენების შესახებ წინადადებების განხილვისა და გადაწყვეტილების მიმღები კომისიის შემადგენლობისა და საქმიანობის წესის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 12 აპრილის N174 დადგენილების თანახმად, შესაბამისი ინფორმაცია ყოველწლიურად წარედგინება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს. აღნიშნული კომისიის გადაწყვეტილებების თანახმად საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს შორის გაფორმებული შეთანხმებების საფუძველზე ყველა შესაბამის საწარმოს ეგზავნება წერილები სახელმწიფო ბიუჯეტში დივიდენდების მობილიზების თაობაზე;</p>
<p><b>საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საბიუჯეტო ორგანიზაციებს</b></p>	
<p>წლის ბოლოსათვის აუთვისებელი საბიუჯეტო სახსრების მასშტაბური ხარჯვა, მათ შორის, წლის დასასრულს შესყიდვების გეგმებში/გაფორმებულ ხელშეკრულებებში განხორციელებული ცვლილებები და მათ საფუძველზე დაჩქარებული ტემპით საბიუჯეტო თანხების გახარჯვა, ქმნის რესურსების არაეფექტიანად და</p>	<p>ბოლო წლების განმავლობაში ბიუჯეტის ხარჯვა თანაბარი ტენდენციით ხასიათდება და ამ მიმართულებით მთავრობა აგრძელებს მუშაობას. ამასთან აღსანიშნავია, რომ წლის ბოლოსათვის მაღალი ათვისების ტენდენცია ბუნებრივია და დამოკიდებულია ბევრი პროექტის შინაარსსა და კონტექსტზე,</p>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა																									
<p>არამიზნობრივად გახარჯვის რისკს. შესაბამისად, მიზანშეწონილია, როგორც მხარჯავი დაწესებულებების, ისე მაკოორდინირებელი უწყების მხრიდან, ეტაპობრივად შემუშავდეს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს წლის განმავლობაში ბიუჯეტის თანაბარპროპორციულ ათვისებას.</p>	<p>ასევე შემოსულობების მიღების დინამიკაზე.</p> <table border="1" data-bbox="1325 219 1759 435"> <thead> <tr> <th></th> <th>I კვ</th> <th>II კვ</th> <th>III კვ</th> <th>IV კვ (პრ)</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>2017</td> <td>21.0%</td> <td>25.5%</td> <td>25.3%</td> <td>28.3%</td> </tr> <tr> <td>2016</td> <td>22%</td> <td>23.5%</td> <td>25.8%</td> <td>28.7%</td> </tr> <tr> <td>2015</td> <td>21.6%</td> <td>23.8%</td> <td>25.8%</td> <td>28.8%</td> </tr> <tr> <td>2014</td> <td>20.6%</td> <td>23.5%</td> <td>24.5%</td> <td>31.4%</td> </tr> </tbody> </table>		I კვ	II კვ	III კვ	IV კვ (პრ)	2017	21.0%	25.5%	25.3%	28.3%	2016	22%	23.5%	25.8%	28.7%	2015	21.6%	23.8%	25.8%	28.8%	2014	20.6%	23.5%	24.5%	31.4%
	I კვ	II კვ	III კვ	IV კვ (პრ)																						
2017	21.0%	25.5%	25.3%	28.3%																						
2016	22%	23.5%	25.8%	28.7%																						
2015	21.6%	23.8%	25.8%	28.8%																						
2014	20.6%	23.5%	24.5%	31.4%																						
<p>ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მხედველობაში იქნეს მიღებული გასული და მიმდინარე წლების გამოცდილება, რათა თავიდან იქნეს აცილებული წლის განმავლობაში განხორციელებული მასშტაბური ხასიათის გადანაწილებებისა და აუთვისებელი/დაბალი ათვისების მქონე პროგრამების/ქვეპროგრამების არსებობა.</p>	<p>სხვადასხვა პროგრამის განხორციელებას სხვადასხვა სპეციფიკა აქვს და მათი შესრულების ტერნდენციებიც სხვადასხვა მიზეზებთანაა დაკავშირებული. პროექტის მომზადების დროს გათვალისწინებულ იქნა პროგრამების მიმდინარე წლის ათვისების ტენდენციები, ასევე გაანალიზებულ იქნა აუთვისებლობის მიზეზები და დაგეგმილი ცვლილებები და შესაბამისად მოხდა აღნიშნული პროგრამების ასიგნებების დაგეგმვა.</p>																									
<p>სარეზერვო ფონდების კუთხით საყურადღებოა მთავრობის სარეზერვო ფონდის განკარგავსთან დაკავშირებული საკითხები: წლის განმავლობაში ფონდის მოცულობის მასშტაბური ზრდის ტენდენცია (100%-ზე მეტით), განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ფონდიდან გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ათვისებაზე არ ვრცელდება ასიგნებების გადანაწილებასთან დაკავშირებული ლიმიტები და არც შესყიდვების შესახებ კანონით დადგენილი მოთხოვნები; ფონდიდან ისეთი გადასახდელების დაფინანსება, რომელთა გათვალისწინება თავიდანვე შეიძლებოდა შესაბამისი მხარჯავი დაწესებულებების ასიგნებებში.</p> <p>მიზანშეწონილია, საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის წინასწარ ცნობილი ღონისძიებები, მათ განსახორციელებლად საჭირო ასიგნებებით, აისახოს ბიუჯეტის კანონში, რათა თავიდან იქნეს აცილებული სარეზერვო ფონდიდან ისეთი დანახარჯების დაფინანსება,</p>	<p>საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად სარეზერვო ფონდების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნების მთლიანი ოდენობის 2%-ს. ამასთან აღსანიშნავია, რომ სარეზერვო ფონდების ხარჯვა აღნიშნულ ზღვარს არ აღემატება.</p> <p>საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტს, რომლის საფუძველზეც ხორციელდება სარეზერვო ფონდებიდან თანხის გამოყოფა, ყოველთვის თან ახლავს განმარტებითი ბარათი, სადაც დეტალურადაა აღწერილი თანხის გამოყოფის აუცილებლობა და მიზნობრიობა. გადაწყვეტილების მიღება კი ხორციელდება საქართველოს მთავრობის მიერ.</p> <p>წლის განმავლობაში წარმოქმნილი გამოწვევების ფონზე, ზოგ შემთხვევაში საჭირო ხდება სხვადასხვა ღონისძიებებისათვის რესურსის მოძიება.</p>																									

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>რომელთა გათვალისწინება ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე იყო შესაძლებელი.</p>	<p>ამასთან, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ მომზადებული საქართველოს ფისკალური გამჭვირვალობის შეფასების დოკუმენტს თან ერთვის საქართველოს მთავრობის 2017-2020 წლების სამოქმედო გეგმა (<a href="http://www.imf.org/~media/Files/Publications/CR/2017/cr17291.ashx">http://www.imf.org/~media/Files/Publications/CR/2017/cr17291.ashx</a>), რომელიც მათ შორის, ითვალისწინებს სარეზერვო ფონდების მართვის დეტალური წესებისა და პროცედურების დანერგვას.</p>
<b>საბიუჯეტო ორგანიზაციებს</b>	
<p>ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე მოხდეს სამტატო რიცხოვნობისა და შესაბამისი შრომის ანაზღაურების ფონდის რეალური ოდენობით განსაზღვრა, რათა თავიდან იქნეს აცილებული წლის განმავლობაში დიდი რაოდენობით თავისუფალი სამტატო ერთეულებისა და შრომის ანაზღაურების ფონდში წარმოქმნილი მნიშვნელოვანი ეკონომიების არსებობა.</p>	<p>ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე შრომის ანაზღაურების ფონდის განსაზღვრა ხდება დამტკიცებული სამტატო რიცხოვნობებისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობების შესაბამისად, გამომდინარე იქიდან, რომ უზრუნველყოფილი იყოს ვაკანსიების შევსების შემთხვევაში წლის განმავლობაში შესაბამისი სახსრების არსებობა.</p> <p>ამასთან საჯარო სამსახურის რეფორმის ფარგლებში საჯარო მოხელეთა შრომის ანაზღაურების ახალი სისტემის დანერგვის პროცესში მოწესრიგდება რეკომენდაციაში მითითებული მთელი რიგი საკითხები.</p> <p>მომზადდა „შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი და წარდგენილია საქართველოს პარლამენტში განსახილველად. კანონპროექტი განსაზღვრავს შრომის ანაზღაურების ერთიან ჩარჩოს საჯარო დაწესებულებებში დასაქმებული პირებისათვის, ადგენს დანამატისა და ფულადი ჯილდოს ზედა ზღვარს. კანონპროექტი ითვალისწინებს შრომის ანაზღაურების სისტემის მოწესრიგებას საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული ყველა პირისათვის, მათ შორის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირებისათვის. კანონი</p>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
	<p>ასევე დაადგენს შრომითი და ადმინისტრაციული ხელშეკრულებებით დასაქმებული პირების რიცხოვნობის განსაზღვრის პრინციპებს.</p>
<b>მხარჯავ დაწესებულებებს</b>	
<p>მხარჯავი დაწესებულებების ანალიზის პროცესში იდენტიფიცირებულ იქნა საბიუჯეტო სახსრების მართვასთან დაკავშირებული 4 ძირითადი სახის სისტემური ხასიათის ნაკლოვანება: ხარჯთაღრიცხვის ხშირი და მასშტაბური ცვლილებები; საბიუჯეტო სახსრების გადანაწილების უკუპროცესი; აუთვისებელი თანხების გადანაწილება სხვა პროგრამებზე/ ქვეპროგრამებზე; დაუგეგმავი ღონისძიებების/პროექტების დასაფინანსებლად საბიუჯეტო სახსრების გადანაწილება.</p> <p>ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მხედველობაში იქნეს მიღებული გასული და მიმდინარე წლების გამოცდილება, რათა თავიდან იქნეს აცილებული წლის განმავლობაში განხორციელებული მასშტაბური ხასიათის გადანაწილებებისა და აუთვისებელი/დაბალი ათვისების მქონე პროგრამების/ქვეპროგრამების არსებობა.</p>	<p>საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი განსაზღვრავს გადანაწილების წესს და ზღვარს (5% პროგრამებს შორის). აღნიშნული წესი არეგულირებს გადატანის შესაძლებლობას მხარჯავი დაწესებულების შიგნით არსებულ პროგრამებს/ქვეპროგრამებს და კლასიფიკაციის მუხლებს შორის. მხარჯავი დაწესებულების მთლიანი ასიგნების 5%-ით იზღუდება პროგრამებს შორის ცვლილების შესაძლებლობა. საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს შეზღუდვას დაზუსტებების სიხშირისა და პერიოდულობის შესახებ, შესაბამისად ხარჯთაღრიცხვების დაზუსტება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.</p> <p>აღნიშნული საკითხის დარეგულირებისთვის მნიშვნელოვანია პროგრამული ბიუჯეტირების დახვეწა და შედეგზე ორიენტირებულ მართვაზე გადასვლა. ასევე, მნიშვნელოვანია შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის დანერგვა და დახვეწა მხარჯავ დაწესებულებებში, რათა დაინერგოს პროგრამების/ქვეპროგრამების სწორი მონიტორინგი და შეფასების მექანიზმები, რაც თავის მხრივ, ბიუჯეტის უკეთესი დაგეგმვის გარანტია იქნება.</p> <p>თავისთავად ბიუჯეტის პროგრამებს შორის ცვლილებების მეტად შეზღუდვა შედეგის მომტანი ნაკლებად იქნება, მუშაობა მიმდინარეობს აღმასრულებელი ხელისუფლების, ისე მაკონტროლებელი ორგანოების მხრიდან რათა სრულყოფილად დაინერგოს შედეგებზე ორიენტირებული ბიუჯეტირება.</p>
<p>მიუხედავად მთავრობის 2014 წლის 15 ივლისის №449</p>	<p>საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფცია მოიცავს აღნიშნული</p>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>დადგენილებით განსაზღვრული ლიმიტებისა, გარკვეულ შემთხვევებში ადგილი აქვს როგორც პრემიის, ისე დანამატის თანამდებობრივ სარგოზე მეტი ოდენობით გაცემის ფაქტებს. რიგი საბიუჯეტო ორგანიზაციების შემთხვევაში, დანამატის გაცემის ფაქტი დასაბუთებულია ზეგანაკვეთური მუშაობით ან/და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვით, თუმცა უწყებების მიერ ვერ ხდება აღნიშნული ფაქტების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა. რამდენადაც დანამატი წარმოადგენს მოხელის ზეგანაკვეთური მუშაობისა და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით, ყოველწლიურად შრომის ანაზღაურების ფონდში წარმოქმნილი ეკონომიის ფარგლებში გასაცემ ფულად ჯილდოს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მისი წინასწარ, მთელი წლის მანძილზე დანიშვნა, გამართლებულ პრაქტიკად ვერ ჩაითვლება. ცალკეულ შემთხვევებში, წლის განმავლობაში საბიუჯეტო ორგანიზაციებში რეალურად დასაქმებულ მომუშავეთა (საშტატო) რიცხოვნობა, მნიშვნელოვნად ჩამორჩება ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე განსაზღვრულ საშტატო რიცხოვნობას. აღნიშნულის შედეგად, „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნებები ან აუთვისებელი რჩება ან ნაწილდება თანამშრომლებზე პრემიებისა და დანამატების სახით, რაც სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით არ შეიძლება მისაღებ პრაქტიკად ჩაითვალოს.</p>	<p>რეკომენდაციებით გათვალისწინებულ საკითხებს და რეგულირდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით, რომელიც 2016 წელს მიიღო საქართველოს პარლამენტმა.</p> <p>კანონი განსაზღვრავს საჯარო სამსახურის ახალ სისტემას. ამასთან, მომზადებულია და საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილია საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ საქართველოს კანონპროექტი, რომელიც დაარეგულირებს სწორედ შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ საკითხებს.</p> <p>კანონპროექტი განსაზღვრავს შრომის ანაზღაურების ერთიან ჩარჩოს საჯარო დაწესებულებებში დასაქმებული პირებისათვის, ადგენს დანამატისა და ფულადი ჯილდოს ზედა ზღვარს. კანონპროექტი ითვალისწინებს შრომის ანაზღაურების სისტემის მოწესრიგებას საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული ყველა პირისათვის, მათ შორის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირებისათვის. კანონი ასევე დაადგენს შრომითი და ადმინისტრაციული ხელშეკრულებებით დასაქმებული პირების რიცხოვნობის განსაზღვრის პრინციპებს.</p>
<b>საინვესტიციო პროექტების განმახორციელებელ უწყებებს</b>	
<p>საკრედიტო რესურსით, განსაკუთრებით კი მსგავსი ტიპის სესხებით, მიღებული თანხების მაქსიმალურად ეფექტიანად (მინიმალური</p>	<p>საინვესტიციო პროექტების განხორციელებისას სახსრების ათვისება დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე, პროექტის</p>

რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
<p>ხარჯების გაწევით) გამოყენებისა და სესხზე არამიზნობრივი ხარჯების გაწევის თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილია, პროექტის განმახორციელებელმა უწყებებმა დროულად უზრუნველყონ პროექტების შესრულების ხელისშემშლელი ფაქტორების იდენტიფიცირება და შესაბამისი ქმედითი ღონისძიებების გატარებით, ხელი შეუწყონ მოზიდული რესურსების დროულ და ეფექტიან გამოყენებას.</p>	<p>სირთულიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, რაც ზოგ შემთხვევაში იწვევს ათვისების დაყოვნებას. აუდიტის სამსახურს, მოთხოვნის შესაბამისად ყოველ პროექტზე მიეწოდა ინფორმაცია ათვისების შეფერხების მიზეზებთან დაკავშირებით.</p> <p>ასევე კოორდინაციის გაუმჯობესების, პროექტების შესრულების ხელისშემშლელი ფაქტორების დროულად გამოვლენისა და შესაბამისი ღონისძიებების გატარების (დაგეგმვის) მიზნით ფინანსთა სამინისტრო პერიოდულად მართავს შეხვედრებს საგარეო წყაროებიდან მიღებული დაფინანსებით მიმდინარე პროექტების განმახორციელებლებთან (მხარჯავ დაწესებულებებთან) დონორების მონაწილეობით, სადაც იხილება პროექტის მიმდინარეობის არსებული მდგომარეობა/დეტალები.</p> <p>2016 წელს მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით შემუშავდა საინვესტიციო პროექტებთან მიმართებაში საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 22 აპრილის N191 დადგენილება) და დეტალური მეთოდოლოგია (საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 22 ივლისის N165 ბრძანება). აღნიშნული მიზნად ისახავს საინვესტიციო პროექტების მართვის ერთიანი ციკლის შემუშავებას, განსაზღვრულია საინვესტიციო პროექტების შემუშავების წესები და პროცედურები, მონაწილე უწყებების როლები და პასუხისმგებლობები სახელმწიფო ინვესტიციების მართვის პროცესის ყველა სტადიისათვის საინვესტიციო პროექტების განხორციელების დაწყებამდე. აღნიშნული მეთოდოლოგიის დანერგვა ეტაპობრივად იგეგმება ყველა</p>



რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
	ინფრასტრუქტურულ პროექტთან მიმართებაში.